ახალ სოფლისაკენ

4

იანვარი

ს.ს.ს.რ. განსახკომი 1929–30 ტფილისი

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის
ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი
წელ. VII

ახალ სკოლისაკენ

4884

4 (53)
იანვარი
1929-30

საქ. მეცნიერებათა აკადემია
Академия

ტფილისი

ს. ს. მ. ო. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა ალექსანოვის პროსპექტი № 91.

მთავარლიტი 237. შეკვეთა № 748. ტირაჟი 3200.

ვ. ლენინი

მარიამ ოკრახელაშვილი

ლენინის ანდერძით დიადი მუშაობის ექვსი წელი.

21 იანვარს სრულდება 6 წელი მას შემდეგ, რაც მსოფლიო პროლეტარიატმა, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაჰკარგა თავისი საყვარელი ბელადი, ხელმძღვანელი და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის საუკეთესო თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი — ამხ. ლენინი. ეს დიდი დანაკლისი პროლეტარული რევოლუციის ყველა ცოცხალი ძალისაგან მოითხოვდა რიგების შემჭიდროებას, მტკიცე, უძლეველი კოლექტივის შექმნას და სოციალიზმის მშენებლობის საქმის, რომელიც ესოდენ სწორედ და ღრმად დაიწყო ამხ. ლენინმა, უშიშრად განგრძობას. ჩვენ ყველამ უნდა შევაჯამოთ ამ დღეს ულენინოდ, მაგრამ მისი ანდერძის, მისი გზის მისედვით ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა. ლენინის ანდერძები ამხ. სტალინმი, ლენინის საუკეთესო და უერთგულესმა მოწაფემ, მისი დამახასიათებელი გარკვეულობით, სიმტკიცით და სიძლიერით გამოხატა, როდესაც შეჰფიცა ლენინს ბოლშევიკური პარტიის სახელით, მაგრამ, რაც უმთავრესია, ეს ანდერძები არა თუ სწორედაა გამოხატული, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და სტალინის მეთაურობით მთელი ამ ექვსი წლის განმავლობაში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა და სოციალისტური აღმშენებლობის ყველა ხაზზე წარმოებული მუშაობა არის ლენინის ანდერძების განხორციელება, გაღრმავება და გაფართოება.

„ქარიშხალსა და ყოველგვარ გასაჭირს გავუძლებთ“, „სიძნელეების წინაშე უშიშრად ვიქნებით, სულით არ დავეცემით, პანიკა ვერ შეგვიპყრობს“ — აი, რას უნდა გრძნობდეს პარტიის წევრი, აი რა აღუთქვა სტალინმა ლენინს პარტიის სახელით. ამ მიმართულებით მუშაობდა ჩვენი პარტია, მისი ცეკა მთელი ამ ხნის განმავლობაში. კომუნისტური პარტია სისტემატიურად აძევებდა პარტიიდან სუსტ, მერყევ, უვარგის, კომუნისტურად გამოუბრძმედელ ელემენტებს, ის ავსებდა პარტიას უშიშარი, ჯანმრთელი პროლეტარიატით, მსოფლიო კომუნიზმისათვის მებრძოლებით, ვინაიდან მხოლოდ ისეთ პარტიას შეუძლია დიდი ბრძოლის ხელმძღვანელობა და სხვა-

დასხვა დიდი გამარჯვების ზეიმი, რომელიც თითოეული თავისი წევრისაგან მოითხოვს უმწიკვლოდ და შეუბღალავად ატაროს პარტიის წევრის სახელი.

პარტია, სტალინის მეთაურობით, შეუბრალებლად და მედგრად ებრძოდა, ებრძვის და მომავალშიც შეებრძოლება გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრას, ებრძვის ყოველგვარ „მემარცხენე" გადახრას და მემარცხენე შემოტევას, აგრეთვე მემარჯვენე ოპორტუნიზმს, რომ დაიცვას ლენინიზმის პრინციპების სიწმინდე, რომ შეუბღალავი იყოს პარტიის წევრის სახელი, რომ შევინარჩუნოთ რკინის პარტდისციპლინა და სწორი იყოს სოციალისტური აღმშენებლობის გზები. ლენინის პირველი ანდერძი განხორციელებულია, სტალინის დაპირება შესრულებულია.

როდესაც გვშორდებოდა, ლენინმა დაგვავალა „ისე გავფრთხილებოდით ჩვენი პარტიის მთლიანობას, როგორც თვალის ჩინს". აი რა სახით ჩამოაყალიბა სტალინმა ლენინის მეორე ანდერძი, და ჩვენ ვხედავთ, რომ მეტად დიდი ენერგია, მთელი ძალ-ღონე, მთელი ცოდნა და უნარი და პარტიული ცხოვრების მთელი ორმოცდაათი წლის გამოცდილება გამოიყენა მთელმა პარტიამ, სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, რომ შეენარჩუნებინა ბოლშევიკთა რიგების აბსოლუტური მთლიანობა და შემჭიდროება ბურჟუაზიული გარემოცვის და სოციალიზმის მშენებელთა წინააღმდეგ შემოტევის დროს. მრავალი მილიონი მშრომელის სახელით შეჰფიცა ლენინს საუკეთესომ მათში, რომელნიც დარჩენ, რომ განაგრძონ სოციალიზმის მშენებლობის საქმე, და აღუთქვა, რომ როგორც მის დროს, დიდი მასწავლებელის და ხელმძღვანელის დროს, შემჭიდროებით, მთლიანობით, რკინის დისციპლინით და ფოლადის ნებისყოფით ვიმარჯვებდით გაცოფებულ ბურჟუაზიასა და მემამულეებზე, ვიგერიებდით აურაცხელი მტრის შეიარაღებულ თავდასხმას, ვძლევდით ნგრევას, შიმშილს, სიცივეს, — ისე უიმისოდაც მის ვზას მიჰყვება, მის დირექტივებს შეასრულებს და თავის პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელიც სოციალიზმის გზას ადგია, შემდგომი გამარჯვებებისკენ წაიყვანს კომუნისტური პარტია. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ამხანაგებო, რომ სტალინის დაპირება შესრულებულია. პარტიამ ყველა დაბრკოლებიდან გამოიყვანა მუშათა კლასი, მან დასძლია ყოველგვარი სიძნელე.

კლასობრივი გარკვეულობა მუშაობაში, ბრძოლისა და აღმშენებლობის რთულ და ძნელ პირობებში სწრაფად და სწორედ გარკვევის უნარი, პროლეტარიატის სწორი რევოლუციონური ტაქტიკის დასახვის უნარი, ლენინისაგან შეთვისებული, — აი რა დაეხმა-

რა პარტიასა და მის ცეკას, რომლებმაც შესძლეს დაეყენებიათ ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის და სოფლის რეკონსტრუქციის ფართო ვზაზე და მათ დაეცვათ ყოველი ჯურის ოპორტუნისტებისაგან წმინდად, შეუბღალავად ლენინის თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობის და ამათ კი მსოფლიო რევოლუციის მოახლოვების შესახებ.

ყველა ეს მიღწევა-გამარჯვება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევინარჩუნებთ, განვამტკიცებთ და განვაღრმავებთ პროლეტარიატის დიქტატურას, რაც ლენინის ერთ-ერთი მთავარი ანდერძია, და მთელი მუშაობა ჩვენი პროფკავშირების, ჩვენი საბჭოების, ჩვენი კომკავშირის, პარტიის ხელმძღვანელობით, ამ წლების განმავლობაში იქითკენ იყო მიმართული, რომ შეგვესრულებია ლენინის ანდერძი — ხელი შეგვეწყო პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის. მაგრამ ლენინი გვასწავლიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი, თუ კავშირი იქნება მუშებსა და გლეხებს შორის, თუ გლეხობის ხელმძღვანელი იქნება პროლეტარიატი, თუ ისინი ერთად გამოვლენ კულაკისა და ნეპმანის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად და ქალაქსა და სოფელს შორის იქნება სამეურნეო თანამშრომლობა. სტალინმა არა თუ წაიყვანა პარტია ამ კავშირის განმტკიცების გზით, მან, როგორც ლენინელმა-დიალექტიკოსმა, განავითარა ლენინის კოოპერატიული გეგმა ახალ რეკონსტრუქციულ ეტაპზე — პირველ რიგში წამოაყენა ქალაქსა და სოფელს შორის საწარმოო კავშირის და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა რაც შეიძლება მეტად განვითარების იდეა. ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, დღევანდელი ტემპი ინდუსტრიალიზაციის და საბჭოთა მეურნეობათა განვითარებისა, აგრეთვე ღატაკთა და საშუალო გლეხთა ფართოდ შეკავშირება კოლექტიურ მეურნეობაში — აი იმის საუკეთესო ილუსტრაცია, რომ მშრომელმა მასებმა შეიგნეს და მხარი დაუჭირეს თავისი ბელადის, ლენინის, ანდერძს — მუშისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცებას.

„როდესაც გვშორდებოდა, ამბ. ლენინმა გვიანდერძა რესპუბლიკათა კავშირის განმტკიცება და გაფართოება". სტალინმა, რომელიც ლენინის საუკეთესო მოწაფეა ნაციონალური პოლიტიკის საკითხებშიაც, ჩვენი მრავალეროვნებიანი კავშირის რთულ პირობებში ნაციონალური პოლიტიკის გამოყენების და გადაჭრის საკითხში და გამწვავებულ მძიმე საერთაშორისო პერიოდში სწორი ხემძღვანელობის გაწევით ლენინის მიერ დასახული სწორი გზით წაიყვანა პარ-

ტია და, მართლაც, ამჟამად ჩვენა ვართ იმის მოწმე, თუ როგორ იზრდება, ვითარდება და მტკიცდება ჩვენი კავშირი, როგორი მჭიდრო ძმობა და სოლიდარობა აქვთ ახლა ერთმანეთს შორის წინათ ცარიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხებს, ნაციებს და ტომებს, მაშინ ერთმანეთი რომ ეზარებოდათ, ერთმანეთს რომ მტრობდენ, ახლა კი ჩამორჩენილებს ამხნენევებენ, შველიან, ეხმარებიან ერთმანეთს დიდ კომუნისტურ საზოგადოებად ჩამოყალიბებაში; ჩვენ ვართ მოწმე იმისა, თუ რა ერთსულოვნად აიმართება ხოლმე მათი ჯავშნიანი მძლავრი მუშტი შინაური თუ გარეშე კლასობრივი მტრების მხრივ მოსალოდნელი ოდნავი საშიშროების დროს.

საბჭოთა კავშირის ნაციონალური პოლიტიკა, ლენინის მიერ ნაანდერძევი, რომელიც ხალხთა ნაციონალური განვითარების საუკეთესო საშუალებაა, ამავე დროს მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებში რევოლუციონური სულისკვეთების გაღვივების საუკეთესო საშუალებაც გამოდგა და სამუდამოდ დააკავშირა მთელი მსოფლიოს ჩაგრულნი პროლეტარული რევოლუციის ამოცანებსა და ინტერესებთან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ 6 წლის განმავლობაში ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდენ ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძალ-ღონის განმტკიცება-გაუმჯობესებისათვის, მისი ცოდნის გაღრმავებისათვის, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და პროლეტარულ-ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ამჟამად ყველა ქვეყნის პროლეტარიატს, მთელი მსოფლიოს ჩაგრულთ ჩვენი წითელი არმია მიაჩნიათ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ერთგულ და საუკეთესო დამცველად, ისეთ დამცველად, რომელიც კლასობრივადაც გათვითცნობიერებულია და საკმაო სამხედრო-ტექნიკური და პოლიტიკური ცოდნაც აქვს, ხოლო ჩვენი სოფელი, რომლის სოციალისტური გარდაქმნა უკვე დაწყებულია, მოელის წითელარმიელთა შინ დაბრუნებას, მოელის მათ, როგორც საუკეთესო კულტურულ-პოლიტიკურ მუშაკებს. რომლებსაც მოაქვთ სოფლად წითელი ყაზარმებიდან წიგნი, ელნათურა, აგრონომიული ცოდნა და კულტურული ჩვევები.

აქვე სიჭიროა, ამხანაგებო, აღვნიშნოთ, რომ ლენინმა არა თუ დაგვისახა სოციალისტური აღმშენებლობის მთავარი დარგები, არა თუ განსაზღვრა და წამოაყენა ამოცანები, მანვე გვიჩვენა მათი განხორციელების გზები, მეთოდები და საშუალებანი. თუ ავიღებთ ჩვენი ინდუსტრიალიზაციის ტემპს, თუ ავიღებთ კოლექტივიზაციის და

მსხვილი სოციალისტური მეურნეობის გზაზე ჩვენი სოფლის დაყენების ტემპს, ავიღებთ ქალაქისა და სოფლის კლასობრივ მტერთან მედგარ ბრძოლას, ან და თვითკრიტიკას, რამაც სოციალისტური მშენებლობის საქმეში ჩააბა მშრომელთა მრავალი მილიონი, თუ ავიღებთ სოციალისტურ შეჯიბრს, ჩვენი კავშირის მშრომელთა დიდ გამოძახებას შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, სამუშაო საათების გაცდენის წინააღმდეგ, ყოველგვარი გაჭიანურების წინააღმდეგ, და ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად, — ყველგან და ყოველი საკითხი ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან, მის ანდერძებთან არის დაკავშირებული.

არ არის არცერთი დარგი ჩვენი მუშაობისა, რომელსაც ვეწევით ულენინოდ ამ 6 წლის განმავლობაში, რომლის შესახებაც არ შეიძლებოდეს ლენინის მოძღვრების მრავალრიცხვოვანი ტომებიდან მთელი გვერდების, სიტყვების, წერილების და თვით ტომების მოყვანაც, სადაც დაწვრილებით, მკაფიოდ, გარკვევით და დამაჯერებლად არის დასაბუთებული ამ ღონისძიებათა აუცილებლობა, რომლების განხორციელებაზე ვზრუნავთ ახლა.

ერთი რამ კიდევ უნდა აღინიშნოს, რასაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ყოველივე ზემოთქმულს — ლენინმა დაგვიტოვა მტკიცედ შეკავშირებული პარტია ბოლშევიკებისა და თავისი ღირსეული მოსწავლენი, მის გვერდით, მასთან აღზრდილნი, მისი კომუნისტური პრინციპულობით, სიმტკიცით, პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალების რწმენით, მსოფლიო რევოლუციის უეჭველი გამარჯვების რწმენით, მისი ძალით, ნებისყოფით და გამარჯვების სურვილით გაჟღენთილნი. ყოველი ეს თვისება, მის მიერ პარტიისა და ძველი ბოლშევიკური გვარდიისთვის, ნახევარსაუკუნოვან ბრძოლაში მისი თანამოსანგრეებისათვის, თანამებრძოლთათვის გადაცემული, — საშუალებას გვაძლევს შედარებით ადვილად, რაც შეიძლება ნაკლები ძალ-ღონისა და დროის დახარჯვით, დავძლიოთ ყოველი სიძნელე და ნაყოფიერად განვაგრძოთ სოციალიზმის მშენებლობის საქმე პროლეტარიატის დიქტატურის ერთადერთ ქვეყანაში.

ხუთწლიანი გეგმის გაშლის თვალწარმტაცი ბრძოლის პანორამის დროს, საკონტროლო ციფრების მჭერმეტყველების დროს, როდესაც ეს ციფრები თითქოს რკინა-ბეტონის აგურებით აგებენ ახალი წესწყობილების შენობას, როდესაც გაისმის სოფლად სოციალურ-ტექნიკური გარდატეხის ხმაური, — განათლების მუშაკებმაც, კულტურული რევოლუციის მუშაკებმა, უნდა გადაათვალიერონ, შეაჯამონ მთელი თავისი მუშაობა, აღრიცხონ მისი შედეგები.

ჩვენ ახლა არ გვჭირდებიან მხოლოდ „თანამგზავრები“, ჩვენ ახლა ვერ დავკმაყოფილდებით ლოიალობით, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალური განწყობილებით. ამჟამად სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგში საჭირო არიან ენტუზიასტები, საჭირო ყრიან ისინი, რომლებსაც სწამთ კომუნიზმი, თავის მუშაობას უთანხმებენ ხუთწლიანი გეგმის მოთხოვნებს და ფეხდაფეხ მიჰყვებიან, უკან არ რჩებიან ჩვენი მშენებლობის ტემპს. **ვინც ახლა სავსებით და მთლიანად არ არის კომუნისტურ პარტიასთან,** საბჭოთა ხელისუფლებასთან, ის სასწრაფოდ უნდა ჩამოგვეცალოს გზიდან, ხელი არ შეგვიშალოს ერთისადაიმავე ადგილის ტკეპნით, ვინაიდან სოციალისტური აღმშენებლობის აქაფებული ტალღები წალეკავს და მოსპობს მას.

დაბოლოს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლენინური საკავშირო კომპარტია, მისი ცეკა და მისი მტკიცე, რკინის გენერალური მდივანი, რომელნიც მტკიცედ და ურყევლად განაგრძობენ ლენინის საქმეს და მთელ თავის გზას ლენინიზმით აშუქებენ, — სამართლიანად მიაჩნია მთელ მუშათა კლასს და მთელი მსოფლიოს ჩაგრულებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დი საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის **ბელადად და ხელმძღვანელად.**

ლენინი შემდგომაც გააერთიანებს და შეაკავშირებს რევოლუციის მამოძრავებელ მსოფლიო ძალებს თავისი საკავშირო კომპარტიის ირგვლივ შემდგომი ბრძოლისთვის, საბოლოო გამარჯვებისათვის.

ლ. ციხისთავი

შრომის სკოლების ბოლნაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება ერთი უდიდესი პრობლემათაგანია თანამედროვე პერიოდის სოციალისტურ მშენებლობაში: ამ პრობლების ნაყოფიერ და დამაკმაყოფილებლად გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული შემდგომი მუშაობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა საერთოდ, და კერძოდ მემინდვრეობისა, სოციალისტური მშენებლობის გაფართოვების მთავარი მუხრუჭია და ერთერთი მიზეზი იმ სიძნელეებისა,

რომელსაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში განვიცდით ნედლეულისა და სასურსათო ბაზრებზე.

დღევანდელი საბჭოთა კავშირი ძველადგანვე ითვლებოდა სასოფლო მეურნეობის ქვეყნად და ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება განსაზღვრავდა ქვეყნის ეკონომიკას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მრავალი აგრიკულტურული ღონისძიებისა, ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობას დღესდღეობით მხოლოდ მე-24 ადგილი უჭირავს მსოფლიოში. სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ასეთი დაბალი დონე მაჩვენებელია იმ პოლიტიკური და ეკონომიური სიდუხჭირისა, რომელსაც განიცდიდა ჩვენი მშრომელი ხალხი რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის უღელ ქვეშ. ოცდამეოთხე ადგილი მაჩვენებელია ჩვენი სოფლის მეურნეობის ექსტენსიური ხასიათისა და ჩამორჩენილობის. მართლაც, ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა და მისი დაქუცმაცება წვრილ გლეხურ მეურნეობად ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ ხშირად გვაკლდება პური, ექსპორტზე რომ არაფერი ვთქვათ, მაშინ, როდესაც ჩვენი კავშირი დაჯილდოვებულია საკმაოდ მაღალი ხარისხის მრავალი სახნავი მიწით. თუ გადავავლებთ თვალს ძველი რუსეთის სოფლის მეურნეობის ევოლუციას, დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება ძველ რუსეთში ხდებოდა უმთავრესად სათესი ფართობის გაზრდით. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან თვითმპყრობელობა ნაკლებად ფიქრობდა აგრიკულტურულ ღონისძიებათა გავრცელებაზე და სასოფლო-სამეურნეო განათლებაზე, ხოლო მაშინდელი უგვგმო სარკინისგზო მშენებლობა შესაძლებლობას აძლევდა მოსახლეობას გამოეყენებიათ მანამდე მიუწვდომელი სახნავი მიწები.

ცხადია, მოსავლიანობის გადიდების პრობლემა, რომელიც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად არის წამოყენებული პარტიისა და ხელისუფლების მიერ, ვერ შემოიფარგლება მხოლოდ სათესი ფართობის გადიდებით, არამედ, სათესი, ფართობის მაქსიმალურ გადიდებასთან ერთად, ნახმარი იქნება ყველა ხელმისაწვდომი აგრიკულტურული ღონისძიება. რამდენადაც მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის პირობებში სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული დიად ლოზუნგთან „დავეწიოთ და გავასწროთ“ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ამდენადვე ამ პრობლემის ნაყოფიერი გადაჭრა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპის დაჩქარების უტყუარი თავდებია. მართალია, ეს პრობლემა დღევანდლამდეც იდგა ყოველდღიური მუ-

შაობის საკითხად, მაგრამ სოფლის მეურნეობის აღდგენისა და 1921 წ. შიმშილიანი წლის ლიკვიდაციის პერიოდში მას სათანადო ყურადღება ვერ ექცეოდა. პარტიისა და ხელისუფლების ყურადღება მიპყრობილი იყო იქით, რომ დროზე აღედგინა ომის წინადროინდელი მდგომარეობა, ხოლო როცა ეს ამოცნა უკვე შესრულებულია, თავისთავად იჭრება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი, საკითხი არა უბრალო ზრდისა, არამედ სოფლის მეურნეობის ახალ საფუძვლებზე მოწყობისა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სოფლის მეურნეობის აღდგენის პერიოდში იყო მისი რეკონსტრუქციის ელემენტებიც, მაგრამ ეს იყო შემთხვევითი, სტიქიური. დღეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, მრეწველობის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, ცენტრალურ საკითხთა რიგში დგას, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მოსავლიანობის გადიდების პრობლემა, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან ერთად ჩვენი საგეგმო და სამიწათმოქმედო ორგანოების ყურადღების ცენტრში დგას, ამ პრობლემის ირგვლივაა დაჭიმული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება, ამ პრობლემის სრული და ნაყოფიერი გადაჭრით მეტად დაინტერესებულია მთელი მშრომელი მოსახლეობა.

დღესდღეობით კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ აუცილებელია პურის რესურსების რაოდენობის მაქსიმალური გადიდება, გადიდება საჭიროა როგორც შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე მსოფლიო ბაზარზე გასატანადაც. მაგრამ პურის მარაგის დაგროვება შეიძლება მხოლოდ ორი გზით: შინაურ მოთხოვნილებათა შეკვეცით ან მოსავლიანობის გადიდებით; ცხადია, პირველი გზა ჩვენთვის მიუღებელია. დაგვრჩენია მხოლოდ ერთადერთი გზა—მოსავლიანობის გადიდება. ამიტომ მოსავლიანობის გადიდების პრობლემას არ შეიძლება ექნეს ერთდროული კამპანიის ხასიათი, მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებანი პროგრესიულად უნდა იზრდებოდენ და ჰქმნიდენ ისეთ პირობებს, რომელთა მეოხებითაც მოსავლიანობის პროცენტი ყოველწლიურად გაიზრდება.

ნიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანია, საერთოდ მარცვლეული კულტურების და კერძოდ სასურსათო პურეული მცენარეების სათესი მოედნისა და მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, მიზნად ისახავს ტექნიკურ კულტურათა სათესი მოედნის გაფართოება-გა-

დიდებას და განსაკუთრებით კი მესაქონლეობის განვითარებას და მის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნას. რამდენადაც მიმდინარე თესვის კამპანიის ყურადღების ცენტრში მემინდვრეობაა, იმდენად ჩვენს წინაშე აქტუალურად იჭრება მესაქონლეობის საკითხიც. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ორ დარგს შორის ისეთი მტკიცე და ორგანიული კავშირია და მემინდვრეობა ისე არის დამოკიდებული მესაქონლეობისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი მემინდვრეობისაგან, რომ რომელიმე ამ დარგის განვითარების ტემპის შენელება სავსებით შეაფერხებს სოფლის მეურნეობაში დასახული ამოცანების განხორციელებას.

დასახული მოსავლიანობის გადიდების ერთ უმთავრეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს მიწათმოქმედების განსაზოგადოებული ფორმები—კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობები და სხვ. დღეს კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის დაბალი მოსავლიანობის მთავარი მიზეზი ჩამორჩენილი პრიმიტიული წვრილი გლეხური მეურნეობაა. ჩვენი ქვეყნის წვრილ გლეხურ მეურნეობაში თითქმის შეუძლებელი ხდება რაიმე გაუმჯობესებულ ღონისძიებათა გამოყენება, მსხვილ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მარქსისტული სოფლის მეურნეობის ეკონომიისათვის უკვე დამტკიცებული ფაქტია მსხვილი წარმოების უპირატესობა წვრილთან შედარებით, და, მართლაც, კოლმეურნეობათა მშენებლობის დღევანდელი ფაქტი ადასტურებს ზემოთმოყვანილ დებულებას. ჩვენ კოლმეურნეობებში უკვე გამოყენებულია ყოველგვარი აგრიკულტურული ღონისძიება და მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. კოლმეურნეობათა არსებობის მცირე ხნის ისტორია მოწმობს მოსავლიანობის სწრაფ ზრდას მსხვილ მეურნეობაში. ზოგიერთი ცნობებით, კოლმეურნეობათა საშუალო მოსავლიანობა, ჯერ კიდევ 1927 წ. 20% სჭარბობდა ინდივიდუალური მეურნეობის მოსავლიანობას. ცხადია, ასეთი წარმოება ფართოდ იზიდავს ულარიბეს და საშუალო გლეხობას კოლექტივებში, რასაც ამტკიცებს კოლმეურნეობათა ქსელის გაფართოება და მთელი სოფლებისა და რაიონების გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე.

ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა სოფლის მეურნეობამ ფეხი შესდგა სრულიად ახალ ხანაში—საფუძვლიანი ტექნიკურ-სოციალისტური რეკონსტრუქციის ხანაში. კოლმეურნეობრივი მოძრაობა ბუმბერაზულად იზრდება და, რაც მთავარია, ამ მოძრაობის დამახასიათებელი ის არის, რომ კოლმეურნეობებში შედიან არა თუ ღარიბი გლეხობის ცალკეული ჯგუფები, არამედ კოლმეურნეობაში შესვლა

იწყო საშუალო გლეხობის ძირითადმა მასამაც. ამრიგად კოლმეურნეობრივი მოძრაობა გადაიქცა გლეხობის მრავალმილიონიანი მასების მოძრაობად. კოლმეურნეობის ასეთი ზრდა შესაძლებელი შეიქნა მრეწველობის ბუმბერაზული ზრდით, რომელიც სოფლის მეურნეობას ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდ რიცხვს აწვდის.

მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ლოზუნგ ქვეშ გაივლის. თესვის კამპანიის ნაყოფიერ ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დიადი სამუშაოების წარმატებით შესრულება.

მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიამ უნდა განამტკიცოს არსებული კოლმეურნეობანი და ხელი შეუწყოს კოლმეურნეობრივი მასიური მოძრაობის შემდგომს განვითარება-გაფართოებას. თესვის კამპანიამ საგრძნობად უნდა გაადიდოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია მრეწველობის სწრაფად მოზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის უზრუნველ საყოფად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგაზაფხულო თესვის კამპანია, საერთო მოსავლიანობის გადიდების კამპანიასთან ერთად, ფართე კოლმეურნეობრივი მშენებლობის კამპანიად უნდა იქცეს. საგაზაფხულო კამპანიის ნაყოფიერი ჩატარება, მოსავლიანობის საერთო გადიდება, სათესი ფართობის გადიდება, ტექნიკურ კულტურათა ფართე გავრცელება-განვითარება,—თავის მხრივ ბევრადაა დამოკიდებული უკვე არსებულ კოლმეურნეობათა ფართე მონაწილეობაზე ამ კამპანიაში. ს. ს. რ. კ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, კოლმეურნეობათა ნათესების სივრცე გადიდებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 25%, ხოლო ტექნიკურ კულტურათა თესვაში კოლმეურნეობათა მონაწილეობამ უნდა მიაღწიოს 40%. რაც შეეხება წმინდა აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებას, დადგენილების ძალით კოლმეურნეობანი ვალდებული არიან უკლებლად გაატარონ ყველა ის ღონისძიება, რაც ნავარაუდევია დადგენილებით. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიაში კოლმეურნეობათა აქტიური მონაწილეობა და, თუ გნებავთ, კამპანიის მთელი სიმძიმის გადატანა უტყუარი თავდები შეიქნება როგორც მოსავლიანობის სწრაფი ზრდისა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის კიდევ უფრო დაჩქარების, კოლმეურნეობრივი მოძრაობის სწრაფი ზრდა-განვითარების.

ცხადია, კოლმეურნეობათა მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში არ შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ საკუთარი სათესი ფართობის გადიდებით ანდა გაუმჯობესებულ ღონისძიებათა გამოყენებით,—ყოველივე ამასთან ერთად კოლმეურნეობა უნდა შეიქნეს მოსავლიანობის გასადიდებლად ხელისუფლების მიერ დასახულ საერთო ღონისძიებათა მთავარი გამტარებელი. ამ დანიშნულებას კოლმეურნეობანი ბრწყინვალედ შეასრულებენ, თუ კი მშრომელი გლეხობის მასა და საბჭოთა საზოგადოებრიობა, პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელობის ქვეშ დარაზმული, ხელიხელჩაკიდებული ენერგიული შრომით შეუდგებიან ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე წამოჭრილი პრობლემის გადაჭრას.

ამ დიადი პრობლემის გადაჭრაში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია საბჭოთა შრომის სკოლას. ჩვენი შრომის სკოლა ჩვენივე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ანარეკლია და, უდავოა, მიმდინარე ცხოვრების და საზოგადოებრივი ურთიერთობის შესწავლა, მასში მონაწილეობის მიღება—სკოლის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. პარტიისა და ხელისუფლების დღევანდელი გადაუდებელი ამოცანა—საგაზაფხულო თესვის კამპანია კერძოდ და საერთოდ მოსავლიანობის გადიდების პრობლემა—სოფლად მომუშავე სკოლის არსებითი ამოცანაა.

ჩვენი მიზანია აღვნუსხოთ ყველა ის პრაქტიკული ღონისძიება, რომლებიც უნდა გაატაროს სოფლად მომუშავე სკოლამ საგაზაფხულო თესვის კამპანიის და მოსავლიანობის გადიდების ნაყოფიერად ჩასატარებლად და ღარიბ და საშუალო გლეხთა დასარაზმავად სოციალისტურ მშენებლობაში—კოლმეურნეობრივ მოძრაობაში მათი მასიური ჩაბმით. აქავე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ ჰყავს ისეთი მრავალრიცხოვანი, გლეხკაცობაში გაფანტული და გლეხკაცობის წიაღთან ახლო მდგომი არმია, როგორიცაა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლობა. ამ არმიის რიცხვი რამდენიმე ასიათასს უდრის, და ყველა წევრმა რომ თუნდაც მცირე წვლილი შეიტინოს ამ დიდ საქმეში, ბოლოს დიდთვალსაჩინო შედეგს მივიღებთ: ამიტომ არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, განათლების არცერთი მუშაკი, არცერთი მოწაფე არ უნდა დარჩეს ამ საქმის გარეშე. ყველამ თავისი შესაფერი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დიდსა და გადაუდებელ მუშაობაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსავლიანობის გადიდების საქმის უახლოეს პერიოდად ითვლება საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარება, რომელსაც კონკრეტულ ამოცანად აქვს დასახული სათესი

ფართობის გადიდება 11%, ყოველგვარი აგრიკულტურული ღონისძიების გამოყენება და სხვა. საგაზაფხულო თესვისათვის ამუშავებული იქნები 104 სახელმწიფო სატრაქტორო სადგური და 100 კოოპერატიული. ნავარაუდევია აგრეთვე ტექნიკურ კულტურათა სათესი ფართობის გადიდება, მაგ. ბამბის—40%, შაქრის ჭარხლის—35 %, ზეთოვანი მცენარეების—15% და ბოსტნეულობის—20%.

ზემოთ აღნიშნულ მუშაობაში, მოსავლიანობის გადიდების პრობლემის გადაწყვეტაში და საგაზაფხულო თესვის კამპანიაში სკოლებმა შემდეგი მონაწილეობა უნდა მიიღონ:

I-ლი საფეხურის შრომის სკოლები.

პირველი საფეხურის სოფლის სკოლა მოწაფეობის საშუალებით უკავშირდება გლეხური-მეურნეობის თითქმის ერთ მესამედს. ეს კავშირი შეიძლება გიგანტურ ძალად იქცეს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის საქმეში. პირველი საფეხურის შრომის სკოლის მოწაფეობა გამოყებული უნდა იქნას მოსავლიანობისათვის საჭირო ღონისძიებათა გადამტან ძალად საკუთარ ოჯახში, მან ხელი უნდა შეუწყოს თავის მშობლებს, შეაგნებინოს მათ, რომ მიწის არცერთი ნაკვეთი არ უნდა დასტოვნ მოუხნავი და დაუთესევი, მან უნდა ასწავლოს, აუხსნას და განუმარტოს მშობლებს აგრიკულტურულ ღონისძიებათა გამოყენების სარგებლიანობა, როგორც, მაგ., გაწმენდილი და მოწამლული სათესლე მასალის თესვა, მიწის გაპატიება, სარეველა მცენარეებთან და მავნებლებთან ბრძოლა და სხვა. პატარა მოწაფემ უნდა აუხსნას მშობლებს კოლმერნეობის სარგებლიანობა, უნდა გააგებინოს მათ, რომ ტრაქტორის გამოყენება და მეტად დამღალავი პრიმიტიული გუთნის მიტოვება შესაძლებელია მხოლოდ კოლექტივში შესვლით, რომ მხოლოდ კოლექტივში შესვლა იხსნის მის მშობლებს სიღატაკისა და გაჭირვებისაგან, რომ კოლექტივი საშუალებას მისცემს მათ გაეცნონ ახალ ცხოვრებას, კულტურას, განათლებას და სხვა.

კონკრეტულად პირველი საფეხურის შრომის ნკოლამ შემდეგი მონაწილეობა უნდა მიიღოს საგაზაფხულო თესვის კამპანიაში:

1. სკოლა თესვის კამპანიის ჩამტარებელ ადგილობრივ კომისიასთან ერთად და მასთან შეთანხმებით ადგენს თავისი მუშაობის გეგმას. გეგმაში შეტანილი უნდა იქნას ყოველივე, რის გაკეთებაც შეუძლია სკოლას საერთოდ, და თითოეულ ჯგუფს ან ოწაფეს კერძოდ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში.

2. პირველად ყოვლისა, სკოლა უნდა შეეცადოს, რომ სანიმუშოდ დაამუშავოს მიწის ნაკვეთი, რომელიც მას აქვს გადაცემული. ნაკვეთი აუცილებლად უნდა დამუშავდეს და დათესოს. როგორც ვთქვით, ნაკვეთის დამუშავება და დათესვა სანიმუშოდ უნდა მოხდეს. გამოყენებული უნდა იქნას ყველა ხელმისაწვდომი აგრო-ტექნიკური ღონისძიება, მაგ., ნიადაგის დროზე დამუშავება, განოყიერება. შესაფერი კულტურების შერჩევა, თესლის სამეურნეო ვარგისიანობის გამორკვევა, მწკრივში თესვა და სხვ. ამ საქმეში სკოლამ ადგილობრივი ძალები უნდა დაიხმაროს (რაიონის, სოფ. ახ. სკოლის ან სხვა დაწესებულების აგრონომი).

3. სკოლის კოლექტივი ყველა თავის წევრს, როგორც მოწაფეს, ისე მასწავლებელს, ავალებს, რომ მან თავის ოჯახში დაუმუშავებელი არ დასტოვოს მიწის არცერთი კვალიც კი და დამუშავების დროს გადაიტანოს და გამოიყენოს ყველა ის აგრო-ტექნიკური ღონისძიება, რომელიც მეორე მუხლშია მოხსენებული, რათა სკოლისა და მისი კოლექტივის ყველა წევრის მამული გლეხკაცობისათვის საჩვენებელი გახდეს. სკოლის კოლექტივი ყველა თავის წევრს ავალებს დაწვრილებით აუხსნან მშობლებს და მეზობელ გლეხებსაც აგრო-ტექნიკურ ღონისძიებათა გამოყენების მნიშვნელობა, ნათესების გაფართოების სახელმწიფოებრივი და ეკონომიური მნიშვნელობა. განუმარტონ მშობლებს მრავალი აგრო-ტექნიკური ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობა მათ წვრილ მეურნეობაში, მაგ., მრავალმინდვროვანი თესლთაბრუნვის შემოღება, წესიერი გაპატიება ან და მსხვილი სამეურნეო მანქანების გამოყენება და სხვ., რისთვისაც აუცილებელ საჭიროებად უნდა დაუსახონ კოლექტივებში გაერთიანება.

4. სკოლის კოლექტივი როგორც თავის წევრებს, ისე მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს, ქვრივებს და წითელ არმიელთა ოჯახებს ეხმარება ხვნისა და თესვის საქმეში (ნახნავის გაწმენდა, სათესლე მასალის გაწმენდა, მოწამვლა და სხვ.).

5. საგაზაფხულო თესვის კამპანიის პროცესში ბავშთა კოლექტივი ფართე აგიტაცია-პროპაგანდით და საჭირო დახმარებით ხელს უწყობს უღარიბეს გლეხობის, საკუთარი მშობლებისა და მოჯამაგირეობის დარაზმვას კოლმეურნეობებში. ამასთანავე ერთად მეტად სასურველია თვით ბავშთა კოლექტივების მოწყობაც. ბავშთა კოლექტივები უნდა მოეწყოს სასწავლებელთან პიონერორგანიზაციისა და ა. ლ. კ. კ. უჯრედის უშუალო ხელმძღვანელობით. ბავშთა კოლექტივში შემავალი ბავშები კარგად უნდა გაეცნონ კოლმეურნეობის მნიშვნელობას, მათთვის ნათელი უნდა შეიქნეს ის ფაქტი, რომ

ისინი ამ პატარა კოლექტივებში შეიძენენ დიდ ცოდნასა და გამოცდილებას კოლექტიურ-კულტურული მეურნეობის დარგში, რომ ისინი დიდად გამოადგებიან პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენი სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში და სხვ.

6. იქ, სადაც შესაძლებელია, აუცილებელია თესვის კამპანიის პროცესში გაერთიანდენ მეზობელი პირველი საფეხურის სკოლები და შეერთებული ძალ-ღონით სანიმუშოდ დაამუშაონ თავისუფალი მიწის ნაკვეთები.

7. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბოსტნეული მცენარეების თესვას, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც გასულ წელს მცირე მოსავალი იყო. ამ შემთხვევაში თვით ბავშებმა უნდა წამოიწყონ ეს საქმე, რომ თავისი პატარა შრომით შეეშველონ ოჯახს და ააცდინონ საკვები მასალის უდროოდ შემოკლება. ბოსტნეული მცენარეების თესვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება დასავლეთ საქართველოში, რადგან იქ მთავარი საკვები მასალა—სიმინდი—გვიან შემოდის და ნაადრევი ბოსტნეული ბევრად შეეშველება გლეხის ოჯახს.

8. აღნიშნულ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებამდე და მათი გატარების დროსაც მოწაფეობა და მასწავლებლები მოსახლეობაში აწარმოებენ ფართო აგიტაცია-პროპაგანდას. სკოლა იწვევს მოსახლეობის კრებებს, სადაც სკოლის მასწავლებლობა და უფროსი ჯგუფის მოწაფეობა აკეთებს მოხსენებას თესვის კამპანის მნიშვნელობაზე და კერძოდ პურეულ და ტექნიკური კულტურათა სათესი ფართობის გადიდების მნიშვნელობაზე. კრებაზე მოსულ გლეხკაცობას აწვდიან ცნობებს ზოგიერთ უმარტივეს აგრიკულტურულ ღონისძიებათა შესახებ (მიწის მოხვნა, გაპატიება და სხვ.).

9. რომ აღნიშნული მუშაობა ნაყოფიერად იქნას ჩატარებული, საჭიროა აქედანვე დიდი ყურადღება მიექცეს სკოლის პროგრამებში შეტანილი საბუნებისმეტყველო მასალის დამუშავებას, უფრო მეტი — ყველა ეს მასალა შეფარდებული და ზოგ შემთხვევაში შევსებულიც იქნას საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან. ამ ზიმნით 4-წლედის მასწავლებლობა სოფლის ახ. სკოლის და აგროტექნიკუმის აგრონომ მასწავლებელთა დახმარებით განიხილავს 4-წლედის პროგრამებში შეტანილ საბუნებისმეტყველო მასალას და არკვევს, თუ რომელი საბუნებისმეტყველო მასალის დამუშავება რა მიდგომით და რა სახით უნდა დაუკავშირდეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებას და მოწაფეთა უშუალო პრაქტიკული მონაწილეობა როგორ იქნება გა-

მოყენებული, როგორც მოცემული საბუნებისმეტყველო მასალის დამუშავების მეთოდი და ხერხი.

10. მუშაობის ნაყოფიერად ჩასატარებლად სკოლის ცალკეული ჯგუფები და რაიონის ან მახლობელი რაიონების სკოლები ერთიმეორეს იწვევენ სოციალისტურ შეჯიბრში. შეჯიბრის საკითხები უნდა იყოს: ვინ უფრო მეტი ღარიბი და საშუალო გლეხის გაერთიანებას შესძლებს კოლმეურნეობაში, ვინ მეტ მიწის ნაკვეთს და გაუმჯობესებული წესებით დაამუშავებს, ვინ მეტ მოსავალს მიიღებს განსაზღვრული ნაკვეთიდან, ვინ მეტ გლეხს მისცემს რჩევა-დარიგებას, ვინ მოაწყობს ბავშთა უკეთეს კოლექტივს და სხვ.

12. მოწაფეთა კოლექტივის მუშაობა არ ამოიწურება მხოლოდ საგაზაფხულო მოხვნით და დათესვით. მუშაობა გრძელდება მოსავლის აღებამდე და დაბინავებამდე. დათესილი თესლის აღმოცენების შემდეგ ბავშები მასწავლებელთა და, თუ საჭირო შეიქნა, რომელიმე სკოლის ან რაიონის აგრონომის დასმარებით აწარმოებენ ბრძოლას სარეველა მცენარეებთან და მავნებლებთან, როგორც სკოლის ნაკვეთზე, აგრეთვე შინ და ქვრივ-ობოლთა და წითელარმიელთა ნათესებში. სკოლის მთელი კოლექტივი გამოდის სარეველა მცენარეებისაგან ნათესების მასიური გაწმენდის ინიციატორად და მთელ ძალ-ღონეს ხმარობს, რომ მოსახლეობა ჩააბას ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.

13. სკოლის კოლექტივი თავისი მიწის ნაკვეთის მოსავლის ერთ ნაწილს გადასდებს ხელუხლებელი სათესლე ფონდის გასაძლიერებლად და დაავალებს თავისი კოლექტივის წევრებს შთააგონონ მშობლებს ამ დიდი საქმის მნიშვნელობა და გადაადებინონ სათესლე მასალა ხელუხლებელი ფონდის გასაძლიერებლად.

14. შემდგომი მუშაობის ნაყოფიერად საწარმოებლად სკოლის კოლექტივი თავის და ცალკეულ წევრთა ყოველდღიურ მუშაობას აღნუსხავს და დააჯამებს, აღნუსხავს აგრეთვე იმას, რაც უეჭველად გადაეღობება მუშაობის პროცესში, რომ მომავალი წლების მუშაობაში ანგარიში გაუწიოს მათ და წინასწარი მომზადებით გეგმაშეწონილად იბრძოლოს მათ დასაძლევად.

(შემდეგი იქნება)

პ. აფხაძე

როგორი სახელმძღვანელოები გვესაჭიროება.

1. მოზარდი თაობა კომუნისტურად უნდა აღიზარდოს, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სკოლა უნდა იყოს კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი, რომ აღიზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შესძლებს საბოლოოდ დაამყაროს კომუნიზმი. შრომის სკოლის სახელმძღვანელო ამ ძირითად მიზანს უნდა ემსახუროს.

2. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარება მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით მიმდინარეობს. ხუთწლიანი გეგმა სოციალისტური აღმშენებლობის პროგრამაა. სახელმძღვანელო სწორედ უნდა არკვევდეს სოციალისტური აღმშენებლობის გენერალურ ხაზს და მტკიცე შეგნებით უნდა აიარაღებდეს მოსწავლე ახალგაზრდობას ამ ხაზის დამახინჯების წინააღმდეგ საბრძოლველად.

3. მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია სოციალისტურ საფუძვლებზე იწვევს მასების უდიდეს აქტიობას, რაც ამ მასების ტექნიკური ცოდნით შეიარაღების ამოცანას აყენებს. ამიტომ სკოლამ ახალგაზრდობის პოლიტექნიკური აღზრდა-განათლება უნდა განახორციელოს.

4. მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია თანდათან შლის ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ საზღვრებს, პოლიტექნიკური აღზრდა-განათლების პრინციპიც ამ ამოცანას ემსახურება. ამიტომ სახელმძღვანელო არ უნდა სდგებოდეს ქალაქისა და სოფლისათვის სხვადასხვა ვარიანტით, არამედ პირიქით, შრომა-საქმიანობის ს საწარმოო პროცესების შესწავლა სახელმძღვანელომ ისე უნდა განავითაროს, რომ ახალგაზრდობის შეგნებაში განმტკიცდეს ქალაქის და სოფლის შრომითი პროცესების მთლიანობა საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის და კოლექტიური სასოფლო მეურნეობის მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთ დამოკიდებულება. **ამრიგად, სახელმძღვანელო მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნის აუცილებლობის პროპაგანდას უნდა შეიცავდეს.**

5. ამავე დროს სახელმძღვანელომ უნდა გაარკვიოს ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმები. საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის და ქალაქის პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში, მუშათა ბრიგადების, სატრაქ-

4884

ბიბლიოთეკა

ტორო, სასოფლო-სამეურნეო იარაღების სადგურების მნიშვნელობა და სხვა.

6. სახელმძღვანელო უნდა ზრდიდეს ახალგაზრდობაში შრომის დისციპლინას და შრომის ჩვევებს. ამიტომ ის უნდა იძლეოდეს მიმართულებას, თუ როგორ უნდა იბრძოლოს სკოლამ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, რა დახმარება უნდა გაუწიოს მან ამ მხრით საწარმოებს და მეურნეობებს, როგორ გამოიყენოს თავისი მუშაობის პროცესში სოცშეჯიბრის მეთოდი, დამკვრელი ბრიგადების პრაქტიკა და სხვა.

7. კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცება ახალგაზრდობაში შეუძლებელია ისე, თუ ამ ახალგაზრდობის შეგნებიდან ძირფესვიანად არ ამოიფრხვრება წვრილ-ბურჟუაზიული ყოფის ყოველი ნაშთი. სკოლაში მოსულ ბავშთა დიდი უმრავლესობა წვრილ-ბურჟუაზიული წრიდან არის გამოსული. მათ თან მოაქვთ სკოლაში წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილებანი: ინდივიდუალიზმი, მეშჩანობა, რელიგიური განწყობილებები, უდისციპლინობა, ნაციონალური შუღლი და მტრობა.

8. სახელმძღვანელო უნდა არკვევდეს და ამტკიცებდეს ზემოაღნიშნულ მიდრეკილებათა შეუთავსებლობას ახალ ცხოვრებასთან და ფაქტების, ახალი ცხოვრებიდან ამოღებული მაგალითების შესწავლით უნდა ამხედრებდეს ახალგაზრდობას ამ მიდრეკილებათა წინააღმდეგ.

6. სამაგიეროდ სახელმძღვანელომ ახალგაზრდობას უნდა ჩაუნეგოს კომუნისტური შეგნება და მიდრეკილებანი: ინტერნაციონალური მისწრაფება, რევოლუციონური ენტუზიაზმი, მებრძოლი ანტირელიგიური განწყობილება, კოლექტიური შრომის ჩვევანი და კოლექტივისტური მიდრეკილებანი, დისციპლინის, შრომის და სოციალისტური აღმშენებლობის სიყვარული.

10. ყველა ეს ჩვევა შეთვისებულ უნდა იქნას არა მშრალი წიგნური მეთოდით, როგორც პრაქტიკულ შრომა-საქმიანობაზე დამყარებული დამოუკიდებელი ინიციატივის და თვითმოქმედების გზით. მთელი სასწავლო მასალა სახელმძღვანელოში ისე უნდა იყოს შერჩეული და დალაგებული, რომ შრომის ჩვევანი, საწარმოო პრაქტიკა, „პრაქტიკული და თეორიული პოლიტეხნიკური განათლება“ (მარქსი) უზრუნველყოფილ იქნას პირველი საფეხურის დაწყებითი ჯგუფიდან მე-2 საფეხურის უკანასკნელ ჯგუფამდე. სახელმძღვანელო ამ მიზნით უნდა იძლეოდეს, როგორც გეზს, მიმართულებას, ისე სამუშაო მასალას.

11. სახელმძღვანელო უნდა შეესაბამებოდეს პედაგოგიკის უახლოეს მოთხოვნებს. პედაგოგიური პროცესი სოციალური გარემოს დიალექტიურ ანალიზს უნდა ეყრდნობოდეს, რომ სკოლის და ახალგაზრდობის შეგნებული მონაწილეობით უზრუნველყოფილ იქნას არსებული სოციალური წრის კომუნისტურად გარდაქმნა. სახელმძღვანელომ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს ბავშის თვითმოქმედება და ინიციატივა.

ეს კი შესაძლებელია იმ პირობით, თუ სახელმძღვანელოში დაცული იქნება **იმ ჯგუფის და ასაკის ცოდნა, შესაძლებლობა და ინტერესი,** რომლისთვისაც სახელმძღვანელო არის განკუთვნილი.

12. ავტორი კარგად უნდა იცნობდეს არა მარტო იმ ჯგუფის პროგრამულ-მეთოდურ საკითხებს, რომლისთვისაც ის სახელმძღვანელოს სწერს, არამედ მის წინა და მიმდევნო ჯგუფების მუშაობის შინაარსსაც, რომ დაცულ იქნეს **მთლიანობის და თანმიმდევრობის პრინციპი** მასალის შერჩევასა და დალაგებაში.

13. პირველი საფეხურის თვითეული ჯგუფისათვის საჭირო სამუშაო წიგნი **კომპლექსური სისტემის მიხედვით** უნდა შესდგეს, ე. ი. დასამუშავებელი მასალა უნდა დაჯგუფდეს გარკვეული **საწარმოო თემების** მიხედვით. შრომა-საქმიანობის სხვადასხვა სახე ცხადია, დიალექტიური მიზეზობრიობის კანონის მომარჯვება კარგად უნდა ეხერხებოდეს ავტორს, რომ ეს რთული ამოცანა დაძლეულ იქნას.

14. მეორე საფეხურის სკოლისათვის სახელმძღვანელოები უმთავრესად ცალკეული საგნების მიხედვით სდგება. მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ ცალკეული საგნისათვის სახელმძღვანელო ისე უნდა დაიწეროს, რომ ის მოწყვეტილ იქნას სხვა დისციპლინებისაგან, პირიქით, „პოლიტექნიზმის პრინციპით უნდა გაიჟღენთოს ყველა დისციპლინა, რამაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, საზოგადოებათამეცნიერების მასალის დალაგებაში. საჭიროა ამ დისციპლინების ურთიერთ დაკავშირება, მათი დაკავშირება პრაქტიკულ საქმიანობასთან და განსაკუთრებით შრომის სწავლებასთან „(კრუპსკაია), ცალკეული დისციპლინების ასეთი ურთიერთკავშირის მიზანია, რომ ბავშმა საწარმოო პროცესი შეისწავლოს განუყოფელი მთლიანობით. ამიტომ ამ დისციპლინების ურთიერთკავშირის საფუძველიც სწორედ წარმოება უნდა იყოს..

მეორე საფეხურის სახელმძღვანელომ, როგორც პირველისამ, დასაყრდენ საფუძვლად წარმოება უნდა აიღოს და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ რეკონსტრუქციას უნდა დაუკავშიროს ყველა ის სა-

კითხი, რომლებიც რკვევის საგნად იქნება აღებული, ამგვარად უნდა დამუშავდეს ყოველი დისციპლინის და ყოველი ცალკეული საგნის მასალა.

15. სახელმძღვანელო-სამუშაო წიგნი მატერიალისტურად უნდა არკვევდეს ადამიანთა საზოგადოების ბუნებასთან დამოკიდებულებას და პრაქტიკულ-შრომითი მეთოდების გზით ახალგაზრდობას უნდა აიარაღებდეს ბუნების ძალთა საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენებისათვის.

16. სამუშაო წიგნში მოცემული უნდა იყოს სოციალური მოვლენების მხატვრულად ასახვა, მაგრამ ამ მიზნით არ უნდა იქნას გამოყენებული ლიტერატურის ისეთი ნიმუშები, სადაც სოციალური მოვლენების ასახვაში ავტორის წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილებები გამოსჭვივის.

შ. სიხარულიძე

ათწლიანი შრომის სკოლის პროფესიონალიზაციის საკითხი.

ქვეყნის სამეურნეო განვითარებასთან ერთად ისმება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი კადრების მომზადებისა და გადამზადების შესახებ. საშუალო სკოლა ამ მხრივ საგულისხმო გარდატეხის წინაშე არის დაყენებული. არავისათვის საიდუმლობას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 10-წლედები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნას, რომელსაც მას ქვეყნის სამეურნეო განვითარების პერსპექტივები უყენებს. ჰუმანიტარული სკოლის ელემენტები ჯერ კიდევ სავსებით აღმოფხვრილი არ არის.

კურსდამთავრებულთა მომზადება დაბალია, ის ვერ აკმაყოფილებს უნივერსიტეტისა და ცხოვრების მოთხოვნილებებს. არ არის დამაკმაყოფილებელი საშუალო სკოლების სოციალური შემადგენლობა, რის მოგვარებასაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. ამას უნდა მივუმატოთ სკოლების მატერიალურად და სასწავლო ხელსაწყოების მხრივ სუსტად უზრუნველყოფა, სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა მოწაფეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდას და საბჭოთა საზოგადოებრივობაც ნაკლებად არის ჩაბმული სკოლების მშენებლობის საქმეში. კადრების მომზადების ამოცანა ბევრად არის დამოკიდებული საშუალო სასწავლებლის გაჯანსაღებაზე. საკავშირო

ცენ. კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებებში მე-2 საფეხურის შრომის სკოლის შესახებ ნათქვამია: „უზრუნველყოფილ იქნას უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების შევსება იმ ახალგაზრდათა წრიდან, რომლებმაც დაამთავრეს მეორე საფეხურის სკოლა. უმთავრესად მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბი გლეხებისა და კოლმეურნეობათა მუშაკების შვილებით. ამასთან შეფარდებით უნდა გადაისინჯოს მეორე საფეხურის სკოლის პროგრამები. გაუმჯობესებულ იქნას მოწაფეთა მომზადების სისტემა, სოციალური შემადგენლობა და მათი მატერიალური მდგომარეობა, განსაკუთრებით მუშათა რაიონების სკოლებში“

ამ დირექტივის განსახორციელებლად განათლების კომისარიატმა მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა შეიტანოს თავის მუშაობაში. საჭიროა საშუალო სკოლა უფრო დავუახლოვოთ ჩვენი სამეურნეო განვითარების გეგმას და მეტი პრაქტიკული მომენტები შევიტანოთ მათ მუშაობაში.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დღემდე საკმაოდ არ არის გათვალისწინებული ის შეფარდება, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარებასა და სახალხო განათლებას შორის უნდა არსებობდეს. ჩვენი საგეგმო ორგანოები ამ მიმართულებით მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში იწყებენ მუშაობას, ამას კი თავისი უარყოფითი შედეგები მოჰყვა, რომლის წინაშეც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. ეს დისპროპორცია საფუძვლად დაედო 10-წლედების ქსელის უგეგმო გაფართოებას. თუ მხედველობაში მივიღებთ ორი-სამი წლის წინ არსებულ სინამდვილეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ამ მიმართებით მდგომარეობა გამოსწორებულია, მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის.

ქსელი საგრძნობად შემცირდა, მაგრამ, ჩვენის აზრით, 10-წლედების დღევანდელი ქსელი მაინც არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების პირობებს.

დღეს საშუალო განათლებისათვის ყოველწლიურად (მხედველობაში ვვაქვს მხოლოდ 10-წლიანი შრომის სკ. 8, 9, 10 ჯგუფები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება $1^1/_2$ მილიონი მანეთი, რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ და მოწაფეთა მშობლების მიერ გაღებულ თანხას, რომლის შეჯამებაც ძნელი ხდება. ყოველწლიურად 10 წლედები უშვებს 3000-4500 კურსდამთავრებულს. აქედან უმაღლეს სასწავლებელში შედის 800-1000 კაცი, სხვები რჩებიან ჩვენს ქალაქებში და სოფლებში, უნივერსიტეტ გარეშე დარჩენილთა უმრავლესობა უმოქმედოდ რჩება. სასოფლო მეურნეობაში მათ არ შეუძლიათ რაიმე

გაუმჯობესება შეიტანონ, რადგანაც მათ ამ დარგში არ მოეპოვებათ საკმაო ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები. მათი ერთ-ერთი გამოსავალი საშუალება არის სოფლის ოთხწლედებში მასწავლებლობა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით რომ აქაც მათი მდგომარეობა მომზადების მხრივ დამაკმაყოფილებელი არ არის. როგორც ვხედავთ, ნაწილობრივად უგეგმოდ იხარჯება საკმაო დიდი რაოდენობის თანხა საშუალო განათლებაზე მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მოგვეპოვება ისეთი მაზრები, სადაც საყოველთაო სავალდებულო სწავლების გასატარებლად საჭირო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებული არ არის, როდესაც სკოლის ასაკის ახალგაზრდობიდან ჩვენი ოთხწლედები (ქსელის სიმცირის გამო) იტევს მხოლოდ 76%-ს, ხოლო სკოლის გარეშე დარჩენილი 33% კი ავსებს მომავალ წერა-კითხვის უცოდინართა ახალ კადრს.

ეს ძირითადი შინაგანი დისპროპორცია მჟღავნდება ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის დონის დაწევაში. ჩვენს 10-წლედებში ამჟამად, პედპერსონალი განათლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: უმაღლესი განათლების მქონე — 27%, საშუალო განათლების—73%.

ეს პროცენტები აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ მდგომარეობა სწავლების ხარისხის მიხედვით დამაკმაყოფილებელი არ იქნება და ეს ასეც არის.

იმ მიზნით, რომ საშუალო განათლება დაგვეკავშირებია ქვეყნის სამეურნეო განვითარების პირობებთან, 1925 წლიდან მეორე საფეხურის სკოლებში შემოღებულ იქნა ნაწილობრივი პროფესიონალიზაცია. 10-წლედებისათვის საწარმოო საფუძვლის შექმნით ჩვენ ვუახლოვდებით პოლიტექნიკური სკოლის ნამდვილ სახეს. 10-წლედებში განხრების შემოღებით სკოლა უკავშირდება ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებს. ორი უკანასკნელი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გადადგმული ნაბიჯი საკმარისი არ არის. საჭიროა კიდევ უფრო მეტად დაახლოვება ცხოვრების მოთხოვნილებასთან. ორი წლის განმავლობაში შეუძლებელი შეიქნა ზოგადი პოლიტექნიკური განათლების მინიმუმის შენარჩუნებასთან ერთად პროფგანხრების დარგში თვალსაჩინო მუშაობის ჩატარება. სასწავლებლის სასწავლო გეგმა და საგნების სიმრავლე ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ პრაქტიკულად დაისვა საკითხი სასწავლო კურსის ერთი წლით გადიდების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეფორმის გატარების შემდეგ ადგილებზე პროფგანხრების არჩევას გეგმიანი ხასიათი არ ჰქონდა. უმთავრეს შემთხვევაში ისეთი განხრებია შერჩეული, რომე-

ლიც არ შეესაბამება ადგილობრივი რაიონის კულტურულ-სამეურნეო მოთხოვნილებებს. ამიტომაც არის, რომ ბევრ შემთხვევაში განხრებმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. მეორე უფრო მნიშვნელოვანი სახის დაბრკოლება სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთა კადრის უყოლობაში და სკოლების მატერიალურად სუსტად უზრუნველყოფაში მდგომარეობს. არის შემთხვევები, როდესაც კოოპერატიულ განხრაში მუშაობენ ისეთი პირები, რომლებსაც კოოპერატივის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ ძლიერ ცოტა რამ გაეგება. ასეთი მდგომარეობაა აგრეთვე სხვა განხრებშიაც. საშუალო სკოლის საკითხი თანაბრად აქტუალური საკითხია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის, და მას ამ ბოლო დროს საკმაო ყურადღება ექცევა. იმასთან შედარებით, რაც გვქონდა ამ სამიოდე წლის წინად, საგრძნობი ნაბიჯი გადავდგით წინ, შედარებით გაიზარდა მოწაფეთა მომზადების დონე, გაუმჯობესდა პედპერსონალის კვალიფიკაცია და. საერთოდ გაჯანსაღდა სკოლის მუშაობის საერთო პირობები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა სულ ახალ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე და ამ ამოცანებთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება ვიფიქროთ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე.

საშუალო სკოლის გაჯანსაღების პირველი და გადაუდებელი ზომა იქნება იმ ქსელის და პარალელური ჯგუფების გეგმიანი შემცირება, რომელიც ამჟამად რესპუბლიკაში მოგვეპოვება. უკეთეს შემთხვევაში ზოგიერთი ათწლედები უნდა გადაკეთდეს სპეციალურ ტექნიკუმებად. ქსელი უნდა შემცირდეს იმ ანგარიშით, რომ საშუალოდ ყოველწლიურად 10-წლედი არ უნდა გვაძლევდეს 1000-1200 კურსდამთავრებულ მოწაფეზე მეტს.

ამ რიცხვიდან ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად მიიღებს 800-1000 კაცამდე, იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომელსაც ქვეყნის განვითარების პერსპექტივები უყენებს ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებს. ნაწილი კურსდამთავრებულთა მოეწყობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, ხოლო ნაწილი კი ჩაებმება ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ საქმიანობაში. იმ მიზნით, რომ კურსდამთავრებულთა გარკვეულ ნაწილს პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების საშუალება ქონდეს, სწავლების მე-10 წელი გამოყენებული უნდა იქნეს პროფგანხრების გასაძლიერებლად. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ძირითად პრობლემებთან დაკავშირებით (ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია). მასების კულტურული დო-

ნის ზრდასთან ერთად აუცილებელია პროფგანხრების დიფერენციაცია. საჭიროა მტკიცედ განსაზღვრულ იქნეს თითოეულ სპეციალური განხრის მიზანდასახულობა და სასწავლო გეგმები იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კადრების მომზადება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის განსაზღვრული კონკრეტული შრომის დარგში.

ჩვენის აზრით, პროფგანხრების დიფერენციაცია უნდა მოხდეს ოთხი უმთავრესი ციკლის მიხედვით: ა) ინდუსტრიალური, ბ) კულტურულ-საგანმანათლებო, გ) კოოპერატიული და დ) სასოფლო-სამეურნეო.

პირველი ციკლების მიხედვით შესაძლებელია შემოღებულ იქნეს შემდეგი სახის განხრები.

ა) საავტომობილო-სატრაქტორო, ბ) სამხაზველო, გ) საფეიქრო, დ) ელექტროტექნიკური (ძლიერი და სუსტი ჩქერი), ე) სამხატვრო კერამიკული, ვ) საალმშენებლო და ზ) რადიოტექნიკური.

მეორე ციკლის მიხედვით: ა) პედაგოგიური (სასკოლო და სკოლის ასაკამდე განყოფილებით) და ბ) პოლიტსაგანმანათლებლო (საბიბლიოთეკო საქმე და მასიური კულტურული მუშაკების მომზადება). აქვე უნდა შევიდეს სტენოგრაფიული და სამხატვრო-სამხაზველო განხრა.

მე-3 ციკლი უნდა შეიცავდეს: ა) მოანგარიშეობის, ბ) საავჭრო, გ) სტატისტიკურ-ფინანსიური და კოოპერატიული წიგნით ვაჭრობის განხრებს.

მე-4 ციკლის მიხედვით გათვალისწინებულ უნდა იქნას: ა) საბჭოთა კოლმეურნეობის, ბ) სუბტროპიკული მცენარეების (ჩაი და სხვა), გ) ტექნიკური მცენარეების (ბამბა, კენაფი და სხვ.), დ) მებოსტნეობისა და დეკორატიული მცენარეების, ე) მეღვინეობის, ვ) მეფრინველეობისა და წვრილფეხა საქონლის, ზ) მეაბრეშუმეობის, თ) მებაღეობა-მეფუტკრეობისა და კ) სამიწათმომწყობო განხრა.

ყოველი ცალკეული ციკლის ცალკე განხრის წინაშე დასმულ უნდა იქნას გარკვეული ამოცანა. ამ თვალსაზრისით უნდა გადამუშავდეს აწ არსებული პროგრამები. განხრებს ასეთი დიფერენციაციით და სკოლების შესაფერისად უზრუნველყოფის გზით ჩვენ უკეთ დავუახლოვდებით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ინტერესებს. მოწაფეთა მუშაობა პროფგანხრის დარგში დაკავშირებული უნდა იქნას შესაფერის წარმოებასთან, მოკლედ, უზრუნველყოფილ უნდა იქნას განუწყვეტელი უფასო საწარმოო პრაქტიკა.

როდესაც 10-წლედების პროფესიონალიზაციის შესახებ არის ლაპარაკი, ეს საკითხი არ არის მარტოოდენ განათლების კომისარია-

ტის საჭირბოროტო საკითხი. მის მოგვარებაში თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა სამეურნეო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, ყოველ ცალკე რაიონში ამა თუ იმ პროფესიონალური განხრის შერჩევაში ეს ორგანოები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ. მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია ყველასათვის აქტუალური საკითხის გეგმიანი და თავის დროზე მოგვარება.

საშუალო სკოლის გაჯანსაღების ერთ-ერთი საკითხი მოწაფეთა სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებაა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი პროცენტი ჩვენთვის მისაღები სოციალური ფენებიდან გავაერთიანოთ საშუალო სკოლაში, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაფერისად მოვაწესრიგებთ ღარიბ მოწაფეთა მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. შემჩნეულია, რომ, 8,9, 10-ჯგუფებში მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილების პროცენტი მცირდება. მათ საშუალება არ აქვთ დაასრულონ საშუალო სასწავლებელი. ამ მდგომარეობიდან რომ გამოვიდეთ, აუცილებელია ადგილებზე და ცენტრში შეიქმნას ღარიბთა ფონდი. ღარიბთა ფონდიდან პირველ რიგში დახმარება უნდა მიეცეს მცირე ხელფასის მქონე მუშების და კოლმეურნეობათა წევრების შვილებს და მოჯამაგირეებს, გაძლიერებულ უნდა იქნას მშობელთა დამხმარე საბჭოების მუშაობა და ყოველმხრივ უნდა შეეუწყოთ ხელი საერთო საცხოვრებლების მოწყობის საქმეს. მხოლოდ ამ გზით გავაჯანსაღებთ საშუალო სკოლის ოწაფეთა სოციალურ შემადგენლობას და გადავჭრით საკითხს სკოლის პროფესიონალიზაციის შესახებ.

ის თავისუფალი თანხები, რომელსაც მივიღებთ 10-წლედის ქსელის გეგმიანი შემცირების შემდეგ, უნდა ჩოხმარდეს პროფგანხრების გაჯანსაღების საქმეს, საჭიროა გაძლიერდეს დაბალი ტიპის პროფესიონალური სკოლები, გაჯანსაღდეს სოფ. ახ. სკოლების მუშაობის ხარისხი და მეტი ყურადღება მიექცეს საყოველთაო სწავლების მოგვარების საქმეს.

მეორე ხასიათის ღონისძიება, რომლითაც უნდა გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი საშუალო სკოლაში, არის ერთი წლის მომატება და სასწავლო გეგმაში საგნების ისეთი განაწილება, რომელიც გადამტვირთავი არ იქნება მოწაფეებისათვის.

ამ საკითხის შესახებ ორი აზრი არსებობს. რუსეთის პედაგოგიურ პრესაში, როდესაც ისმება საკითხი 9-წლედის შესახებ, ერთი იმის მომხრეა, რომ 7-წლედის ნაცვლად 8-წლედი მივიღოთ, ხოლო 8-წლედზე დავაშენოთ 9 და 10 ჯგუფი. უკრაინაში აყენებენ საკითხს 8-წლედზე სპეციალური ტექნიკუმების დაშენების შესახებ. ყველა ამ

მოსაზრებას თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მაგრამ, ჩვენის აზრით, 8 და 9 ჯგუფის განტვირთვის და სპეციალური განხრების გაჯანსაღებისათვის უმჯობესი იქნება, რომ ერთი წელი მივუმატოთ 8, 9 ჯგუფს, და არა 7-წლედს.

ზემოაღნიშნული პროგრამის გატარების შემდეგ ათწლედდამთავრებულ ახალგაზრდას საკმაო ცოდნა-ჩვევა ექნება იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შევიდეს გამოუცდელად. უმაღლეს სასწავლებლებში გამოუცდელად მიღების საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და ამასთან ერთად საჭირბოროტო საკითხია საშუალო სკოლის ავტორიტეტის აწევის თვალსაზრისით. აქ მხედველობაში მისაღებია არა მარტო სკოლის ავტორიტეტი, არამედ ის ხარჯებიც, რომელიც აწვება უღარიბეს და საშუალო შეძლების მოსახლეობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ბავში ამთავრებს 10-წლედს, ეს ხარჯებს მოითხოვს, შემდეგ ის აუცილებლად უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებელში შევიდეს, აქაც კიდევ ხარჯები, და შედეგად იმას ვღებულობთ, რომ უღარიბესი შეძლების მქონე პირები უნივერსიტეტში ნაკლები % ხვდება. ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და 10-წლედის სწორ ნიადაგზე დაყენებასთან ერთად (რომელიც გულისხმობს ქსელის შემცირებასთან ერთად მასწავლებელთა გადაჯგუფებას და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას), უნდა გადაწყდეს საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა გამოუცდელად მიღების შესახებ. შესაძლებელია ასეთი მოსაზრება ბევრს მიუღებლად მოეჩვენოს, მაგრამ, ჩემის აზრით, უკვე დრო არის ეს საკითხი მოგვარებულ იქნას ისე, როგორც ამას მოითხოვს საშუალო სკოლის ავტორიტეტის შექმნის პირობები.

ს. რეხვიაშვილი

საზმეცნიერება შრ. სკოლებში და საზმეცის მასწავლებელთა კვალიფიკაცია.

«Таланты истинны за критику не злятся;
Их повредить она не может красоты;
Одни поддельные цветы дождя боятся».
(Крылов).

საზმეცის ბედის გათვალისწინების საკითხი არა მდგარა ისე მწვავედ არასოდეს, როგორც დღეს. მის მნიშვნელობასა და წონასაზღვრავს ჩვენი ცხოვრებისა და განსაკუთრებით მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი. სოციალიზმის გიგანტური მშენებლობა

საბჭოთა ქვეყანაში კატეგორიულად მოითხოვს შრომის სკოლებისაგან აღზარდონ ისეთი თაობა, რომელიც შეიარაღებულ იქნება მარქსისტული მსოფლმხედველობით და პროლეტარიატის საბოლოო მიზნის განხორციელების პერსპექტივას შეუფარდებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას. ასეთი თაობის აღზრდა უნდა იკისროს ჩვენმა სკოლამ მისი პრინციპების მიხედვით.

კომუნისტური მსოფლმხედველობის გამომუშავების მთავარი წინამძღოლი უსათუოდ საზოგადოებათმეცნიერებაა, რომლის რაობის გაანმარტებას მრავალნაირი ვარიაციებით ყიდულობენ: ტარასოვი, ვოლჟსონი, ტრახტენბერგი, ძიუბინსკი, სინგალევიჩი, პისტრაკი, ჟავორონოვი და ჟილინსკაია. ამ შემთხვევაში უადგილო იქნებოდა ჩამოთვლილ ავტორების მიერ საზმეცნიერების განმარტების ფორმულების მოყვანა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მხოლოდ ერთი უდავო ფაქტი, რომ საზმეცნიერებას, როგორც ოქტომბრის კანონიერ შვილს, დიდი ყურადღება აქვს დამსახურებული. მისი ჭირისუფლის როლში ვერასოდეს ვერ მოგვევლინებოდა ვერც ვებერი, ვერც შლოსერი „მსოფლიო ისტორიით“, სადაც ვერ ვამჩნევთ საზოგადოებრივი განვითარების მთლიან პროცესს, ვერც ფილოსოფოსი ჰეგელი თავისი „ისტორიით“, რომელიც სინონიმია იდეალისტური აბსტრაქციისა და რომელშიაც უგზო-უკვლოდ იღუპვის რეალური კაცობრიობა.

რამდენადაც საზმეცნიერება რეალური და უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტის შვილია, იმდენად მისი მნიშვნელობის გამომხატველი მხოლოდ რეალობაა და ამ რეალობაში მოცემული და გამოჭედილი შრომის სკოლა. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ საზმეცის სწავლების დაყენება ჩვენს სკოლებში განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად გადაიქცა.

ის მცირე მასალა, რომელიც შევაგროვე სამოსწავლო წლის 1-ლ ტრიმესტრის განმავლობაში წარმოებულ სკოლების გამოკვლევის გზით, მართალია, ვერ მოგვცემს დასრულებულ სურათს საზმეცნიერების მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მაინც შეგვეძლება ვიქონიოთ დაახლოებითი წარმოდგენა საზმეცნიერების სწავლებაზე. საზმეცნიერებას ოქტომბრის რევოლუციამდე წინ უძღოდა ისტორია პატრიოტულ-მონარქიულად, ლიბერალურად, რადიკალურ-დემოკრატიულად და რევოლუციონურად გაგებული. გაფრენილ დროებზე დარდის მოკვლა, ოპანტიკა თავისი კონსერვატიზმით, ძველი დიდების ნაშთებზე აგებული სიყვარული, ადამიანის ღირსების განსაზღვრა კომბინაციით და ვირტუოზობით, ისეთი წყობილების იდეა-

ლიზაცია, რომელიც დიდ გასაქანს აძლევს ადამიანის ნიჭს, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, მთელი ისტორიული პროცესის გაგება სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივ-უფლებრივი მოვლენის საშუალებით და სკოლაში სოციოლოგიის შეტანისათვის ბრძოლა — აი დასახელებელ მიმდინარეობათა ძირითადი დებულებანი.

ამრიგად, ისტორია რევოლუციამდე გაგებული იყო, როგორც კალენდარულ-ფრაგმენტალური ექსკურსი, ჩვენ კი ისტორია გვესაჭიროება საზოგადოებრივი პროცესის დინამიკის გასაგებად. ისტორია ვერავითარ შემთხვევაში ვერ ახსნის საზოგადოებრივ კანონზომიერების პრინციპს, განსაკუთრებით კი თანადროულ მოვლენათა კანონზომიერებას. ვინ უნდა იკისროს თანადროულობის ეკრანზე გაშლილი მოვლენების ახსნა? ყოველ ეჭვს გარეშეა, საზმეცნიერებამ.

მართალია, პრინციპული განსხვავება ისტორიისა და თანადროულობის მასალას შორის არ არსებობს, მაგრამ თანადროულობა პრიმეტის მქონეა იმ მხრივ, რომ მისი შესწავლა გვიადვილებს ისტორიული წარსულის შესწავლას. თანადროულობა, მარქსის თქმისა არ იყოს, „წარსულის გასაღებია". აქ nolens-volnes ისმის საკითხი ისტორიასა და თანადროულობას შორის მეთოდოლოგიური ურთიერთობის, რომლის მარქსისტულად გარკვევა საკმაოდ გაუადვილებს საზმეცნიერების მასწავლებელს გარკვეული ადგილი მიუჩინოს როგორც საზმეცნიერების ობიექტს — თანადროულობას, ისე ისტორიის ობიექტს, ანუ წარსულს. ისტორიული შედის თანდროულობაში, იმდენად, რამდენად მიჯნას ისტორიასა და თანადროულობას შორის წარმოადგენს ერთი ფორმაციის მიერ მეორე ფორმაციის შეცვლის მომენტი, უკეთ რომ ვსთქვათ, პერიოდი. ამ ურთიერთობის შესწავლა საზმეცის მასწავლებლისაგან მოითხოვს მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სწორად გამოყენებას. სამწუხაროდ, ამ საკითხებში ჩვენი მასწავლებლობის ერთი ნაწილი მოიკოჭლებს. თანადროულობას ესაჭიროება მეცნიერული გამოკვლევის მეთოდი (მეთოლოგია), საზმეცის მასწავლებლის მიერ თავში დაგროვილ მასალის გადაცემა, გაზიარება მოწაფეთათვის. როგორ? — ეს უკვე მეთოდის საქმეა.

საზმეცნიერება, როგორც კონკრეტული მეცნიერება თანამედროვე საზოგადოებაზე სწავლობს მის ჩასახვას, ანატომიას, ფუნქციებს და მისი განვითარების კანონებს. ამრიგად, საზმეცის მასწავლებელი ვერ აუხვევს გვერდს ისტორიას, ეკონომიკას, რამდენად საზოგადოებრივი ანატომიის შესწავლა მარქსმა ეკონომიკაში დაინახა, და დიალექტიკას, რადგან საზოგადოების განვითარება დიალექტი-

კის კანონებს ემორჩილება. გარეშე დასახელებულ დისციპლინების ცოდნისა, საზმეცის მასწავლებელს გაუჭირდება მოიხმაროს მეთოდოლოგიის და მეთოდიკის იარაღი. თუ როგორი მინუსები აქვს მომზადების მხრივ ზოგიერთ მასწავლებელს, ამაზე ქვევით. ვიტყვი მხოლოდ ორიოდე სიტყვას იმაზე, თუ საზმეცნიერების მეთოდიკა როგორ მოიკოჭლებს ჩვენში.

რამდენიმე სკოლის გამოკვლევამ ხაზი გაუსვა იმ ვარემოებას, რომ საზმეცის სწაელების მეთოდი, მცირე გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ჯერ-ჯერობით არქაიულია — ლექციური. ლაბორატორულ მეთოდს ვერ მოუპოვებია ჩვენს სოფლებში მოქალაქეობრივი უფლება; აქტივობას ვერ დაუძლევია პასივობა. ლაბორატორულ მეთოდს, რომელსაც უშუალოდ შეჰყავს მოსწავლე ახალგაზრდობა ემპირიულ ქვეყნის მოვლენათა გაგების სფეროში, ვერ გაუკაფავს გზა შრომის სკოლისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მაგნეტის მოვალეობას უნდა ასრულებდეს. საზმეცის მასწავლებლისგან ხშირად მიიღებთ პასუხს, რომ ლაბორატორულ მუშაობაზე გადასვლას ხელს უშლის კაბინეტების მოუწყობლობა და სკოლის სიღარიბე. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი მოტივის მოყვანა მართებულიც და ანგარიშ გასაწევიცაა, მაგრამ გამდიდრებამდე ლაბორატორული გეგმის გამოყენება ან ცდა მისი გამოყენებისა უფრო ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ტრადიციული სკოლის მეთოდები, როგორც მისი ატრიბუტები, ოქტომბრის გრიგალის შემდეგ თან უნდა გაყოლოდნენ საკუთარ მშობელს და ასეც მოხდა. ახალმა, საბჭოთა შრომის სკოლამ, რომელიც ოქტომბრის ცეცხლში იშვა, თან მოიტანა ახალი მეთოდები, მებრძოლი ადამიანის აღსაზრდელი. საბჭოთა შრომის სკოლის მიზანდასახულობა დაჟინებით მოითხოვს, რომ განიდევნოს ჩვენი სკოლიდან უკანასკნელი ნაშთები სქოლასტიკისა და დოგმატიზმისა, რადგან ისინი ხელს გვიშლიან. მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის საფუძვლის ჩაყრაში, საზმეცნიერების, როგორც საგნის, სწავლების საქმეს გზებს უჭრიან შემდეგი მიზეზები: 1) სახელმძღვანელოების და დამხმარე წიგნების კრიზისი, რაც თითქმის უქონლობას უახლოვდება. 2) საზმეცის მსაწავლებელთა მოუმზადებლობა და 3) საგრძნობი გადატვირთვა საზმეცის ინსტრუქტორის და მასწავლებლის.

გასულ წლებთან შედარებით, სახელმძღვანელოების საკითხმა წინ წაიწია, მაგრამ მაინც პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებდი მეთქვა, რომ ამ მხრივ რიგზეა ყველაფერი. სახელმძღვანელოების მეტი წილი, სიმართლეს თუ ვიტყვით, კომპილიაციას წარმოადგენს. იქ არ-

საიდან ხმა, არსად ძახილი ორიგინალობის არ მოისმის (შედარებით, რასაკვირველია). ჰონორარის დაუსრულებელი ძიებით გატაცებული ზოგიერთი ავტორი ავტომატიურად აგროვებს მასალას და სახელმძღვანელო უდროოდ ევლინება წიგნის ბაზარს. ტანჯვით და ვაებით შობილი საზმეცის სახელმძღვანელო მოწაფისათვის ბევრის მიმცემი მაინც და მაინც ვერ იქნება.

მე-V, VI, VII და მე-VIII ჯგ. თითქმის ერთი და იმავე სახელმძღვანელოების მასალით იკვებებიან. საზოგადოებრივი ცხოვრება ელვისებური ტემპით ვითარდება და სახელმძღვანელოების მასალა კი კვლავ ძველი რჩება, რაც მოსწავლე ახალგაზრდობას ჩამორჩენას უქადის. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჭუმბურიძის სახელმძღვანელოს მე-VI ჯგ., რომელიც ეხლახან გამოიცა და რომელსაც უმნიშვნელო გადახალისება ეტყობა, მდგომარეობა უნუგეშოა. მე IX ჯგ. მდგომარეობა სახელმძღვანელოს მხრივ შედარებით უკეთესია. მართალია, სიხარულიძის, ლორთქიფანიძის და ციხისთავის „კლასთა ბრძოლის ისტორია“ ზოგ ადგილას კორექტურული შეცდომების გასწორებას მოითხოვს, მართალია, ზემონათქვამის თვალსაზრისით უმნიშვნელო ცოდვებსაც შეიცავს, მაგრამ სახელმძღვანელოს უარყოფითს მხარეებს ჩრდილავენ ის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელნიც მეტ შუქს ჰფენენ იქ გაშლილ მასალას. რაც შეეხება მე-X ჯგუფს, მას სრულიად არ მოეპოვება სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

საჭიროა ეს დაბრკოლება დაძლეულ იქნეს. მეორე არა ნაკლები მნიშვნელობის მატარებელი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება საზმეცის სწავლების დაყენებას სწორ გზაზე, არის ზოგიერთ მასწავლებელთა მოუმზადებლობა ან დაბალი კვალიფიკაცია. არსებული მდგომარეობა ამ მხრივ კატეგორიულად მოითხოვს დღის წესრიგში საზმეცის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხის დასმას.

საზმეცნიერების მეთოდოლოგიის და მეთოდიკის გამოუყენებლობა, პლიუს მასთან დაკავშირებული მოუმზადებლობა მასწავლებლისა, ვერ გახდება უნუგეშობის ბარომეტრად. ანალიტიური და სინთეტიური გზით ნაცნობიდან უცნობისაკენ მივეშურებით და ვამყარებთ უტყუარ კავშირს იმას შორის, რაც არის და რაც უნდა იყოს. თანადროულობა, რომელშიაც ჩვენ ვსჭვრეტთ არსებული საზოგადოებრივ ფორმაციის გარდამავლობის აუცილებლობას, შეიცავს იმის პირობას, რაც უნდა იქნეს და რაც უნდა გამომდინარეობდეს.

ამრიგად, სინამდვილესა და იდეალებს შორის ზღვარი გადალახულია. ოქტომბრის რევოლუცია საბჭოთა შრომის სკოლის პირობა არის. საბჭოთა შრომის შკოლის პრინციპებიც ოქტომბრის პირობებში

ალმოცენდენ. რევოლუციის გაღრმავების პროცესში ჩვენ ვამოწმებთ პედაგოგების ახალ კადრებს, რომელნიც მოკლებული არიან სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას. ამ მოვლენის მიზეზი საბჭოთა სკოლის სინორჩეში უნდა ვეძიოთ, სკოლისა, რომელიც წუთობით ვაჟკაცდება და დამოუკიდებლად იკვლევს გზას მშრომელთა საბოლოო მიზნისკენ — მებრძოლთა ლეგიონების მომზადებით.

ზემოთნათქვამთან დაკავშირებით, ისმის საკითხი, რა გზებით შეიძლება წარიმართოს საზმეცის მასწავლებელთა მომზადების საქმე? ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია, რომ საზმეცის მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი უშუალო გზა თვით მასწავლებლის აქტივობიდან უნდა მოდიოდეს. საზმეცნიერების მასწავლებელი თვით უნდა გახდეს საკუთარი კვალიფიკაციის აწევის დირიჟორი.

პირველ ყოვლისა, ის უშუალოდ უნდა დაეწაფოს ისეთი დისციპლინების შესწავლას, როგორიც არის „ისტორია", ეკონომიკა, და დიალექტიკური მატერიალიზმი, რადგან საზმეცნიერების ობიექტის შესწავლა გარეშე ამისა შეუძლებელი გახდება. საკუთარ თავზე მუშაობა, როგორც კვალიფიკაციის ამაღლების საუკეთესო საშუალება, მოითხოვს, რომ თვითგანვითარებითი მუშაობა დაკავშირებული იყოს საზმეცის მასწავლებლის საწარმოო მუშაობასთან, საკითხის ამგვარად დაყენება გულისხმობს ისეთი სამუშაოს პროგრამების შედგენას, რომელნიც გაუადვილებენ მასწავლებელს საჭირო ცოდნას და სკოლის შიმდინარე მუშაობასთან დაკავშირებას.

შემდეგ საშუალებად, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჩამორჩენილი მასწავლებლის მომზადებას, მიგვაჩნია პერიოდული წრეების ჩამოყალიბება საზმეცნიერების კაბინეტთან (ქართ., რუს., სომხ., სექც.). ამ შემთხვევაში საზმეცნიერების კაბინეტები საზმეცის მასწავლებელთათვის სტიმულის მიმცემი არიან. ისინი არა მარტო მეთოდოლოგიურ და მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევენ მასწავლებლობას, არამედ დევიზად ისახავენ კლიენტების კვალიფიკაციის ამაღლებას. პერიოდულ წრეების მუშაობა უნდა განისაზღვროს ისტორიის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის დარგიდან ლექციების წაკითხვით. ამ მიზნით საჭიროა მოწვეულ იქნენ ისეთი ძალები, რომელნიც შორს იქნებიან ყოველგვარ დილეტანტობისაგან. მასწავლებელი, მოკლებული მეთოდურ მომზადებას, უძლურია ააგოს პედაგოგიური მუშაობა სასურველად. რაზომ შორს მანძილზეც არ უნდა სჭრიდეს საზმეცის მასწავლებლის პრაქტიკა და მომზადება საკუთარ დარგში, ის მაინც ვერ აიცილებს მეთოდურ შეცდომებს, თუ მას თან არ ახლავს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდური მარაგი. მეთოდური თეორიის

გადანასკვა სასკოლო პრაქტიკასთან — აი რა მოეთხოვება საზმეცის მასწავლებელს. მეთოდური მუშაობის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აფართოებს მასწავლებლის გონების ჰორიზონტს, მის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, რომლებიც თავის თავად სასკოლო პრაქტიკას აწარმოებენ. „ყველა სასკოლო საკითხებში, ამბობს პისტრაკი, თეორია იძლევა, როგორც შერჩეის კრიტერიუმს, ისე ჩვენ მოქმედებათა შეფასებას და გამართლებას სკოლაში. გარეშე ამ კრიტერიუმის დაპყრობისა შეუძლებელია სკოლაში შემოქმედებითი მუშაობა — ეს იქნება უგზო-უკვლოთ ხეტიალი, მიზნის ნათლად შეუცნობლობა, რომლის მიღწევასაც ჩვენ ვფიქრობთ.“ აი როგორი მნიშვნელობის მატარებელი უნდა იყოს მასწავლებლისთვის თეორიული მომზადებაც.

თეორიული, მეთოდოლოგიური და მეთოდური მომზადების აუცილებლობა საგრძნობი გახდა განსაკუთრებით დღეს, როდესაც მშფოთვარე და მოუსვენარი რევოლუციონური ქარტეხილების დასაწყისის ეპოქა, და ოქტომბრის ნოყიერ ნიადაგზე გაშლილი გიგანტური საბჭოთა აღმშენებლობა გადაუდებელ ამოცანას უყენებენ საბჭოთა სკოლას და მის მასწავლებელს, რათა ისინი ახალი ცხოვრების აღმშენებლობის აქტიური მონაწილენი იყვნენ. აქტივობის გამოჩენა მასწავლებლისთვის, განსაკუთრებით კი საზმეცის მასწავლებლისთვის, მოსახერხებელია მაშინ თუ ის ინტერესით გაეცნობა საბჭოთა პედაგოგიური აზრის განვითარებას, რამაც ამ ბოლო ხანებში მასების დიდი ყურადღება დაიმსახურა. საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სრულ რეკონსტრუქციას, სოციალიზმის დაჩქარების მიზნით, მოითხოვს, რომ საზმეცნიერება და საზმეცის მასწავლებელი წარმოადგენდენ არა მარტო აგიტატორებს, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობაში ენტუზიაზმის გამოწვევით, დღემდე გაუგონარი და უნახავი პერსპექტიული გეგმის უშუალო მშენებლებსა განმახორციელებლებსაც.

ამრიგად, საზმეცის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი წრეების მნიშვნელობა უსათუოდ დიდი და დაუფასებელი იქნება. დასახელებულ დაბრკოლებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია საზმეცის ინსტრუქტორების და მასწავლებლების დატვირთვას პარტიული დავალებებით. საჭიროა დადგენილებებმა და დაპირებებმა სისხლი და ხორცი შეისხან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ჩამორჩება პირობების განვითარებას და ნაცვლად მიზნების განხორციელებისა ტრაღედიის წინაშე დავდგებით.

ვ. ხუროძე

ეგნატე ნინოშვილი.

(დაბადებიდან 70 წლის თავის გამო).

ნინოშვილის მოღვაწეობა ფრიად ხანმოკლე იყო, სულ ხუთიოდე წელიწადი იშრომა მან სამწერლო ასპარეზზე; ულმობელმა სენმა სრულიად ახალგაზრდა გამოასალმა იგი წუთისოფელს. მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში იმდენის გაკეთება შესძლო, რამდენსაც ბევრი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვერ ახერხებს.

ნინოშვილის ნიჭი მხატვრული ლიტერატურის დარგში გაიფუჩქნა. მისმა გრძნობიერმა არსებამ ფართოდ აითვისა თავისი დროის ცხოვრების რთული სინამდვილე და მხატვრული სახეების საშუალებით ცოცხლად დაგვიყენა წინ მაშინდელი ცხოვრების რაობა და მისი განვითარების გეზი. ნინოშვილის შემოქმედება ის ფოკუსია, რომელშიაც მკაფიოდ გამოჩანს ჩვენი ცხოვრების განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხური, საფეხური რთული და მრავალწახნაგოვანი. ნინოშვილის მოღვაწეობის ხანა — გასული საუკუნის 90 იანი წლები — დიდი შეხლა-შემოხლისა და აზრთა ჭედვის ხანაა, მოძრაობა და მოვლენათა დაჯახება ხდებოდა ცხოვრების სიღრმეში და ასევე იყო აზროვნების სფეროშიც. რა ცვლილებები ხდება ცხოვრებაში, რაგვარი იყო მაშინდელ „ნივთთა მიმდინარეობა“ ?? რანაირ „აზრთა მიმდინარეობას“ ქმნიდა ეს გარემოება.? საკითხის განსამარტავად თითონ ნინოშვილი დავიხმაროთ. მისი მოთხრობა „პალიასტომის ტბა“ ასე იწყება: „გურიის დასავლეთის მხრის სოფლებისათვის ქ. ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს: რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის, საყიდელია და კიდევ იქ ყიდულობს. როცა ამ სოფლის გლეხს გადასახადისათვის მიადგებიან კარზე და ფული კი არა აქვს, მაშინ ფოთია მისი თავდები: „მაცა, ფოთს ჩავირბენ, ამოვიტან და მოგცემო“, — ეუბნება გლეხი „ზბორჩიკს“ ან ნაცვალს. **დილიდან საღამომდე მიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდოურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით** და, ვინ იცის, რით არა, დატვირთული გურულები. **ხე-ტყე ხომ** აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს“...

ჩვენ მიერ ხაზგასმულ სურვების საშუალებით მოცემული სურათი უჩვეულო მოკლენა იყო ბატონყმობის დროინდელ საქართველოში: ბატონყმური მეურნეობის პროდუქტი ქალაქის ბაზრისკენ როდი მიდიოდა, თათქარიძეთა სტომაქი ადგილობრივ ინელებდა ყველაფერს. ასეთი მოძრაობაც უცნობი მოვლენა იყო იმ „ნეტარად მოსა-

გონ“ დროში: კარჩაკეტილ მეურნეობას მოძრაობა არ ეგუებოდა. ნინოშვილმა ნიჭიერად დაგვისურათა ქალაქისაკენ მიმართული მასიური ამოძრავება.

კაპიტალისტური ურთიერთობის დასაწყისი გასული საუკუნის პირველი ათეულ წლებიდანვე შეგვიძლია ვიანგარიშოთ, მაგრამ ვორონცოვების ხელით გადმონერგილი მოვლენა ზეზეური იყო, უცხოეთიდან შემოჭრილ სტუმარს გამვლელის ხასიათი ჰქონდა, სხვაგან დამზადებული საქონელი შემოჰქონდა, ან და ნედლი მასალა გაჰქონდა; ნინოშვილის დროს კი, 90-იან წლებში, უკვე მასიურ მოვლენად გადაიქცა და უკვე აქამდე შორიდან მაყურებელი ხალხი ჩაება მისი განვითარების პროცესში.

აი, ამ უკანასკნელი მომენტის დასურათებასა და თვალსაჩინოდ მოცემაშია ნინოშვილის ორიგინალობა.

გ. ერისთავი, ანტონოვი, არდაზიანი და გ. წერეთელი ნინოშვილზე ადრე გვისურათებდენ ჩვენი ქვეყნის ჩარჩ-ვაჭრებს, მაგრამ მათი შემოქმედება ინდივიდუალურ სახეებს იძლეოდა: კარაპეტებს, მეჯლანუაშვილებს, პეტრიელა გაწირილიებს და ფულავებს; ნინოშვილმა კი მთლიანად ამოძრაველი და გასაყიდელი საქონლით დატვირთული სოფლის სურათი მოგვცა; ვიმეორებ, ეს ანსხვავებს მას სხვა ქართველი მწერლებისაგან. მაგრამ ეს გამოსავალი წერტილიდან საერთო სურათია. ვნახოთ, რანაირი ტიპები აგვისახა მან ამ ფონზე.

მოთხრობა „სიმონაში“ ასეთი ტიპია მოხაზული:

„ქალაქის მეზობლად ესახლა ერთი, მთელს სოფელში დიდად გავლენიანი და მდიდარი, მძლავრი კაცი, დავით დროიძე... მაღალი, რიხიანი შეხედულობის.... კარგი მოლაპარაკე..., გლეხი იყო, ერთი აზნაურის ნაკაცვარი... ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იდგა, ჯერ მოჯამაგირედ და მერე „პრიკაშჩიკად“. შემდეგ... დავითმა თვითონ დაიწყო ნიგვზის ხის ყიდვა-გაყიდვა. ამბობენ... ბერძნის ფულები დავითს შერჩა და იმით გამდიდრდაო... დავითს თავის საქმე კარგათ მიყავდა... დავითმა დაანება თავი ხის ვაჭრობას და სიმინდის ვაჭრობას მიჰყო ხელი. ამ ვაჭრობამაც კარგა შესძინა ფული... დავითი დაბრუნდა სოფელში, შეისყიდა თავის მებატონისაგან „ნადელი“-ს მიწები, გაიკეთა კარგი ოდა..., თუ რამ „საფოდრათო“ საქმე გამოჩნდებოდა,.... ხელიდან არ გაუშვებდა.... ფულებს მეზობლობაში ასესხებდა, ცხოვრობდა.... „პროცენტებით“.... დავითის ოჯახს „აზნაურის ოჯახს“ ეძახოდენ.... მიწა-ადგილებს თანდათან იძენდა, ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისათვის შეეძლო ხელის გაწვდენა.... დავით დროიძე თავის სოფელში პატარა მეფე იყო“.

ერთ დროს ყმა და ნაკაცვარი, დღეს სოფლის მეფედ გადაქ-ცეულა. რა მოხდა, რა ამბები დატრიალდა ჩვენს სინამდვილეში? სად გაქრა სოფლის ძველი მეფე, ვინ დაამკვიდრა მის ადგილას დავით დროიძე? ეს ხომ რევოლუციაა! როდის მოხდა იგი?

ეს გადატრიალება განსაკუთრებით გაძლიერდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ; ნატურალური მეურნეობის ნაყოფმა თავის ეკვივალენტი ფულში ჰპოვა, მისი ფულად ქცევა, ახალ მოვლენათა გამო, აუცილებელი შეიქნა და ცხოვრების სათავეშიც ის მოექცა, ვინც შემთხვევით, თუ სისტემატიური შრომის გამო, ამ ლითონის ხელში დაჭერა სხვებზე ადრე მოასწრო. ერთი ასეთი ბედნიერი, ნინოშვილის აზრით, დავით დროიძე შეიქნა; ეს პატივცემული გვამი ახალმა ტალღამ ნელ-ნელა ამოატივტივა სინამდვილის ზედაპირზე და ცხოვრების ბატონად აქცია. დღეს იგი თავადებს უტოლდება და მთავრობასაც თავის ნებაზე ამოქმედებს: ისე ატრიალებს მთელ სოფელს, როგორც მას მოეპრიანება, ძველი ბატონები ჩამოაყენა.

მარტო დავით დროიძე არაა ახალი დროის სანატრელი არსება, მის გარდა სხვებმაც მოიგდეს ხელში ფულის ქისები—ახალი სიმდიდრის საწყაული. „უცნაურ სენში“ ვკითხულობთ:

„კოტე მამალაძე აგერ ათი წელი იყო, რაც ერთ მახლობელ ქალაქში, ვიღაც ერთ დიდ ვაჭართან იდგა „პრიკაშჩიკათ“ და შედარებით კაი ჯამაგირსაც იღებდა. კოტე გლეხ-კაცის შვილი იყო, სოფლის ერთკლასიან სასწავლებელში ნასწავლი. „პრიკაშჩიკობის“ დროს რუსული ლაპარაკი და სავაჭრო ანგარიში ისწავლა... „შვილი ვარ და სწავლული ვარ კოტე მამალაძემ უნდა თქვას“, ამბობდენ ტევრეთელები... მოგეხსენებათ, თუ რა დით ბედნიერებათ ჩათვლის სოფლელი გლეხი სტუმრობას ისეთი მდიდრის, „სწავლულის“ და ჭკვიანის“ ნათესავისას, როგორათაც სთვლიდენ ტევრში კოტე მამალაძეს. ერთის სიტყვით, ეს კოტე მამალაძეც სახარბიელო ტიპია სოფლის თვალში, ფულიანი კაცია, განათლებული. ძველი ანდაზა „აზნაურის სტუმრობაო“ ასე უნდა შეიცვალოს.

„მამალაძის სტუმრობაო, არ გეგონოს ხუმრობაო“.

ქალაქების მაღაზიები ავსილია ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული საქონლით: ათასნაირი მატერიით, ჭურჭლეულით, ფუფუნების საგნებით. მთავრობის მოხელეებმა, როგორც ინტელიგენციის ერთმა ფენამ, კარგად იციან ეს გარემოება და მოსე მწერლის სახით მუდამ წამს იმაზე ოცნებობენ, რომ ხალხს ფულები ასწაპნონ და მით თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. კეთილ ცხოვრებას შეჩვეულ თავად-აზნაურობას და სამღვდელოებასაც ძალიან მოსწონთ ქალაქებში დამზადებული საქონელი და ისინიც ფულებს ატყავებენ ვლე-

ხებს... ერთის სიტყვით, თანდათან ბატონდება ფულის მეურნეობა და მისი წარმომადგენლები: დროიძეები და მამალაძეები.

ეს პროცესი წითელი ზოლივითაა გატარებული ნინოშვილის მოთხრობებში. „მოსე მწერალ"-ში ვკითხულობთ: „ერთმა მედუქნემ, რომელიც სიმინდითაც ვაჭრობდა, მისცა სოფონას ხარებსა და ურემში ექვსი თუმანი". გოგია უიშვილი ნაცვალს ეუბნება:

— ქენი კაცობა, ამ კალანდის გასტუმრება მაცალე, მერე სადმე წავალ და გადვიხდი.

კაცია მუნჯაძე „განკარგულება"-ში ამბობს:

— სამშაბათს გამთენიეს მე და დათიამ გასაყიდი სიმინდი უნდა წავიღოთ ურმითო.

ფული და მისი შეძენის სურვილი, ქალაქი და მისკენ მისწრაფება, დროიძეები და მამალაძენი,—აი ის ძირითადი თემა, რომლის გარშემო შლის თავის სამხატვრო ტილოს ეგნატე ნინოშვილი. რისთვის დასჭირდა ნიჭიერ ბელეტრისტიკს საკითხის ამნაირად გამახვილება?

იმიტომ რომ ეს თემა ნინოშვილის დროს საბრძოლველი თემა იყო და აქტუალურად იდგა მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის წინაშე. იმდროინდელი ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი თავადაზნაურული წოდებიდან იყო გამოსული, კლასობრივი მომენტი იმდენად ძლიერი იყო მის არსებაში, რომ მთელი მისი ყურადღება თავიანთი წოდების ყოფა-ცხოვრების მოსაწესრიგებლად იყო მიმართული. თითქმის ყოველგვარ საკითხს ამ წოდების ინტერესების მიხედვით სწყვეტდენ. რა უშველის თავად-აზნაურობას, რა დაიხსნის მას გალატაკებისაგან და სხვა, — აი ის თემები, რომელთა სხვადასხვაგვარ დამუშავებას ჰპოვებთ მაშინდელ პრესაში. საქალაქო მეურნეობის გაძლიერება სოფლის მეურნეობას უთხრიდა ძირს, სოფლად კი გაბატონებული ეკონომიური ძალა თავად-აზნაურობა იყო, ამიტომ ინტელიგენციის ეს ნაწილი სოფლის მეურნეობის ქება-დიდებაში იყო და აქეთკენ მოუწოდებდა ყველას. ილია ჭავჭავაძემ აი როგორი ფორმა წამოაყენა:

„ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო, — ამბობს ოქრო, ყოველივე ჩემიაო,—იძახის ხმალი.... ამ ორს პატიოსანს მეტოქეს დავიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში.... ის ერთი რაღაცა გუთანია.... ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი.... ჩვენ (ქართველებს) რომ დღეს მიწა გვაქს, ადგილზე რომ ფეხმოკიდებული ვართ,

სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა,—ეგ იმიტომ, რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდანვე დღემდე, ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება".

ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი ასეთი აზრების ქადაგებაში იყო, ხოლო სინამდვილეში სულ სხვა ხდებოდა: გურიის გლეხობა სოფლებიდან ქალაქებისაკენ გარბოდა ფულის საშოვხელად. ილიას მიერ პუბლიცისტიკაში გამოთქმულ აზრებს ნინოშვილი თავის მკვეთრ მოთხრობებს უპირისპირებდა. ხელოვნება მან ცხოვრების მოვლენათა ამსახველად გამოიყენა, მაგრამ ეს არ იყო წყნარ და დინჯ ფორმებში მოცემული: ნინოშვილი იმავე დროს მებრძოლი მწერალი იყო და დაკვირვებული ხელოვანის გვერდით მის არსებაში წვეტიან კალამმომარჯვებული პუბლიცისტიც იდგა. ამიტომაც ვერც ერთი დროშოჭმული თეორია მისი მოთხრობების გავლენას ვერ უძლებდა. ამის გამო მოხდა, რომ ნინოშვილის სახელი „მესამე დასის" ინტელიგენციისათვის ბრძოლის ემბლემა შეიქნა, ნინოშვილი და ბრძოლა სინონიმებად გარდაიქცა.

მაგრამ ისევ უკვდავი მწერლის მიერ მოცემულ სურათებს მივმართოთ; ნინოშვილი არ ყოფილა ცალმხრივი და ვიწრო თვალთახედვის მწერალი, მისმა ნიჭმა მთელი ჩვენი ცხოვრების ვითარება დაიტია, მისი თვალი სინამდვილის მრავალ კუნჭულს მიწვდა. „სიმონა"-ში ვკითხულობთ:

„დავით დროიძემ „ორი უმცროსი შვილი სკოლაში გაზარდა; ერთი იმათგანი პოლიციაში იყო სეკრეტრათ. მეორე ... იუნკრის სკოლაში ყავდა და იმედი ჰქონდა, რომ მალე აფიცრობას მიიღებდა".

ეჭვი არაა, რომ ეს ყმაწვილები თავიანთი კლასის იდეოლოგები იქნებიან და სხვადასხვა თეორიებს შექმნ ან თავისი მამის მოვლინების კანონიერების შესახებ და მის ეკონომიურ ბაზას მარადიულადაც კი გამოაცხადებენ. ამის უტყუარი ნიშნები მოთხრობაშიც არის, ტიტიკო ასე მეტყველებს:

—„სიმდიდრე და ძალა იმითია კარგი, რომ ყველა შენს წადილებს აისრულებ. თუ ჩემი წადილები არ ამისრულდება.... მაშინ რა ჯანაბათ ვაქნევ სიმდიდრეს. .. ბურთი და მოედანი იმას რჩება, ვინც ძლიერია. სიმძლავრე ანუ ძალა ახლანდელ დროში ფულია. ეს ფული თქვენ საკმაოდ გაქვთ. აიღეთ და მოიხმარეთ. რის გეშინიათ!"

აი, ბურჟუაზიული ცხოვრების იდეოლოგიის ერთი ელემენტი: მოითმინეთ ცოტა და დროიძის მეორე ვაჟიც—აი, ისა, პოლიციაში რომ ბრძანდება—მოსე მწერლად გადაიქცევა და თავისი წრის საუკეთესო იდეოლოგი იქნება. ესკიზში „სხვამ რაც უნდა სთქვას“ ნინოშვილმა ერთი ჯურის ინტელიგენტი ასე მოხაზა:

—„აი, ჩვენი გაბრიელას სტეფანე რომ არის, კაცი ხმისთანა უნდა: სწავლაშიაც წყნარი იყო და მშვიდი იყო და ცხოვრებაშიც ეგეთია. რალაც რამდენიმე წელიწადია, რაც მღვდლათ ეკურთხა, მაგრამ მაინც კი ისე გახადა ი ღატაკი მამის დატოვებული ოჯახი, რომ მეფის სასახლე გეგონება, წვიმაში რომ მდინარეს წყალი ემატებოდეს, ისე ემატება მის ოჯახ ქონება.... სტეფანე ფეხსაც კი არ გადადგამს საწყალი კაცის გულსაითვის, მდიდარიაო მე რაში მარგია მისი სიმდიდრე?“

ეს სულიერი მამაც, უეჭველია, ახალი ვითარების დამცველი და მადიდებელი იქნება, სახარებაც ხელს შეუწყობს „ამ წმინდა საქმეში“ და ბურჟუაზიის მეცნიერებიც.

დროიძეები და მათი იდეური დამცველები,—ასეთია ახალი ვითარების ერთი სახე, მაგრამ მას აქვს მეორე სახეც, სახე აუცილებელი და მის საშოდან ბუნებრივად გამომდინარე: ესაა ერთის მხრივ ბურჟუაზიის ექსპლოატაციის საგანი—ღარიბი გლეხობა, რომელიც გაპროლეტარების გზაზე შემდგარა და მეორე მხრივ ქალაქებში თავმოყრილი მუშათა კლასი. ამ ელემენტების გარეშე ბურჟუაზიული წარმოება ვერ იარსებებს, ბურჟუაზიის სიმდიდრის წყარო—ზედმეტი ღირებულება — ამათი ოფლიდან შესდგება.

ნინოშვილმა ამ მომავლის კლასის ზოგადი კონტურებიც მოგვცა: ყველა ეს სოფონეები, კაცია მუნჯაძეები და ივანეები დღეს თუ არა, ხვალ ქალაქში მუდმივ სამუშაოზე დარჩებიან — აკი მამალაძე ასე მოიქცა, თუმც სხვა ხაზით — და ქალაქის პროლეტარიატის რიგებს შეავსებენ. მათი ინტერესების იდეური დამცველების მამამთავრებიც აშკარად ჩანან ნინოშვილის მოთხრობებში—ესენი არიან „ჩვენი ქვეყნის რაინდების“ მთავარი მოქმედი პირი — სპირიდონ მცირიშვილი და „სხვამ რაც უნდა თქვას-“ში ესკიზურად გამოკეთებული პეტრე მღვდლის შვილი, რომელიც „უმაღლეს სასწავლებლის უკანასკნელ კურსზე იყო და მაისში თუ ივლისში უნდა დაბრუნებულიყო რუსეთიდან მამასთან სწავლადამთავრებული“, მაგრამ მეფის მთავრობამ ციმბირისაკენ უკრა თავი. ქვემომოყვანილი სიტყვებიდან აშკარად გამოსჩანს, თუ რა იქნებოდა ამის მიზეზები:

—„სემინარიაში ყოფნის დროსაც ეტყობოდა იმას, რაც შვილი იყო: დიდი კაცი, უფროსი, წირვა-ლოცვა ფეხებზე ეკიდა: მის წინ რომ გუბერნატორს გაევლო! ქუდს არ მოუხდიდა.... ჩვენმა ბლაღოჩინმა ერთი უფროსი დაპატიჟა სადილათ, სულ ამ მაზრის დიდკაცობა იქ იყო... იქაც არ მივიდა — რა მინდა, მე იქ რა ხელი მაქვსო... სემინარიიდან რომ შინ მოვიდოდა, შეკრებავდა სოფლის ბავშებს და უფასოთ წერა-კითხვას ასწავლიდა.... სოფელში რო ვიყო, დიდრონებსაც წერა-კითხვას ვასწავლიდიო, ამბობდა.... ეყარა ერთი ურემი წიგნები წინ და ჰქონდა დღე და ღამე შიგ ცხვირი ჩაფლული.... რა ეწერა ნეტა იმ წიგნებში? ბევრი რამ: **ყველაფერი ახლანდელი ყოფა უნდა გამოიცალოსო**“.

აი, ვინ იყო პეტრე მღვდლის შვილი, რომელიც სპ. მცირიშვილის ღვიძლ ძმად უნდა დავსახოთ. აკი სპირიდონიც მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის იღვწოდა და მთელ თავის ძალღონეს ამ საქმეს სწირავდა.

ფულად გადასაქცევად ამოძრავრებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ფიზიკური ძალის გასაყიდლად მიმართულ გაპროლეტარებულ ელემენტებს გარდა, ქრისტინეებიც მიდიან ქალაქისკენ სხეულით სავაჭროდ; იმავე ქალაქებიდან ავი სენიც შემოდის სოფლად, ყველაფერი ეს მშვენივრად იცოდა ნინოშვილმა და მხატვრული სახეების საშუალებით მოგცა.

რა მოუვიდა ამ საერთო ორომტრიალ'ში ძველი ცხოვრების მესვეურებს — თავად-აზნაურობას? წარმოების გარეშე ყოფნამ და საუკუნოებრივმა მუქთა-ხორობამ ერთი მისი ნაწილი პარაზიტის ინსტინქტებით დააჯილდოვა. შრომა მას არც შეუძლია და არც უნდა, თანაც ანტისაზოგადოებრივი თვისებების მატარებელია, ხმლის ტრიალიც უყვარს და მუშტებზედაც იხედება, ეს მიდრეკილებაც წარსულმა უანდერძა მას. თავად-აზნაურობის ამ ფენების წარმომადგენელი ტარიელ მკლავაძეა, რომელსაც არავითარი ღირებულების შექმნა არ შეუძლია და ქვეყნის ზედმეტ ბარგად ქცეულა.

თავადთა მეორე ნაწილი კი ფილოსოფიურის სიდინჯით გაჰყურებს მის გარშემო ამოძრავებულ ცხოვრებას და თავად მანუჩარ არწივაძის ბაგეებით („სოფლის გმირები“) ასეთ ლექსს ღიღინებს:

დროსა შევესწარ ასეთსა,
გულს ცეცხლი გამივარესდა,
ალმასით სჭედენ ვირებსა,
აკრავენ ოქროს ნალებსა,
ბედაურ ცხენებს კურტან ქვეშ
სცვეთენ, ვინ შეიბრალებსა!

ნინოშვილის სიტყვით, „თავადი მანუჩარი ასე ხსნის ამ შაირის შინაარს: ვირები გლეხკაცობაა, ალმასი—თავისუფლება. ბედაურები—თავად-აზნაურობა“ და სხვ.

საერთოდ კი ეს წოდება თავზარდაცემილია და არ იცის, რით დააღწიოს თავი მოულოდნელად მოვარდნილ ნიაღვარს, იგი გაოგნებული დგას და ვერ გარკვეულა შექმნილ ვითარებაში.

ამნაირად, ნინოშვილმა თავისი ცხოველი და ანალიტიური ნიჭის წყალობით აშკარად დაუმტკიცა ძველ თაობას, რომ 90-იან წლების ქართველი ხალხის ცხოვრება უკვე ის არ იყო, რასაც იგი 20—30 წლის უკან წარმოადგენდა, მოხდა საზოგადოებრივ ძალთა ახალი დაჯგუფება და ძველ ეკონომიურ ვითარებას ძირ-ფესვი გამოეცალა. ამიტომაც უკვე შეუძლებელია მამა-მაპური თეორიებით ფონს გასვლა და საჭიროა დროის შესაფერი სააზროვნო გზების გამონახვა. თავის პუბლიცისტურ სტატიაში: „ძველი დავა ახალ ქერქში“ ნინოშვილი სწერს: „ახალგაზრდობა კრიტიკის თვალით უყურებს მამა-პაპათაგან შექმნილ ზნე-ჩვეულებას, თეორიებს, ერთი სიტყვით, ყოველივეს, რასაც კი ადამიანის ცხოვრებაში ასე თუ ისე მნიშვნელობა აქვს. რაც მისი შეხედულობით ცხოვრების წარმატებისათვის მეტი ბარგი, უხერხული და დამაბრკოლებელია, უარსყოფს, აგდებს. მის მაგიერ შემოაქვს ცხოვრებაში ახალი ელემენტები“. ახალი თაობის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც ასე გადააფასა ძველები, თვითონ ეგნატე ნინოშვილი იყო, ახალი ელემენტების ერთი შემომტანთაგანიც ის იყო. ის შეხედულება, რომელსაც ბურჟუაზიის მიღების შესახებ ჯერ კიდევ 70-იან წლებიდან ადგა გ. წერეთელი, შესანიშნავად დაასურათა ნინოშვილმა თავისი მხატვრული შემოქმედების საშუალებით. ნინოშვილის შემდეგ უკვე არ შეიძლებოდა „ხმლისა და გუთნის“ თეორიის წამოყენება, ეს იქნებოდა უდიდესი აბსურდი.

მაგრამ ნინოშვილი სრულებითაც არ ყოფილა ბურჟუაზიის იდეოლოგი. „კაპიტალიზმი და მრეწველობა, — სწერდა იგი, — ისეთი მდინარეა, რომ თუნდაც კიდეც მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და, უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება არა თუ საქართველოსთვის, არც ერთი ქვეყნისათვის“.... მეორე ადგილას ამბობს; „იმას არც ჩვენი ნებართვა ეჭირვება და არც ჩვენი ქება-დიდება. მოდის ჩვენთან დაუკითხავად“ და თანვე დასძენს: **„ინტელიგენციის და მწერლობის მოვალეობა ამ შემოხვევაში ის არის, ისე მოუმზადოს ნიადაგი სიმდიდრეს, რომ მუშას თავისი ნაშრომი რჩებოდეს, ქუჩაში ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს და მდიდრის ძალლს ამ დროს დღეში თუმანი არ ჰქონდეს. ამიტომ გვჭი-**

რია მივმართოთ იმავე ევროპას, საიდანაც მრეწველობა მოდის და გავიცნოთ – რანაირ სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცვლილებებს თვლიან იქ საჭიროთ „უმცროსნის“ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“.

ამ უკანასკნელ სიტყვებში მოცემულია მუშათა კლასის შეკავშირების და საკუთარი კლასიური ინტერესებისათვის დარაზმვის აუცილებლობა; ეს ცოტაა, ნინოშვილი რომ ამაზე შეჩერებულიყო, ეკონომიზმის ჭაობში ჩაეფლობოდა; მან იცის, რომ „ყველაფერი ახლანდელი ყოფა უნდა გამოიცვალოს („სხვამ რაც უნდა თქვას“), ესე იგი, ბურჟუაზიული ვითარება უნდა მოისპოს და სოციალიზმი უნდა დამყარდეს. სოციალიზმის იდეა გზის მანათობელი ვარსკვლავია ეგნატე ნინოშვილისათვის. ბურჟუაზიული ურთიერთობა მან მხოლოდ ამ იდეის გასამარჯვებლად მიიღო, ვინაიდან ამ ეკონომიურ ნიადაგზე ხდება პროლეტარიატის დარაზმვა და სოციალიზმისათვის უცილებელი საწარმოო ძალთა განვითარება.

აი, ამისათვის არის ნინოშვილის სახელი უკვდავი და დაუვიწყარი. ორმოცი წლის წინათ მის მიერ გაკაფული საზროვნო გზა დღეს ხორცშესხმის პროცესშია და ჩვენც ქედს ვიხრიც უდროოდ დაღუპული ხელოვანის და მოაზროვნის ხსოვნის წინაშე.

ი. ძიძიგური.

სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ სექტორში საპოლიტაანმანათლებლო მუშაობა.

მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდი, რაც დაკავშირებულია კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრასთან, გაშლილ სოციალისტურ შეტევასთან და აქედან გამომდინარე კლასობრივ ბრძოლის გამწვავებასთან,--განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს პირველ რიგში აგიტაცია-პროპაგანდის და კულტურულ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის საკითხებს.

რეკონსტრუქციული პერიოდის ამოცანათა შესრულების მნიშვნელოვანი პირობებია მასების აქტიურად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, მასების დაკავშირება ტექნიკა-მეცნიერებასთან, რაც მოითხოვს გადამწყვეტ გარდატეხას მთელს საპოლიტგანმანათლებლო კულტურულ მუშაობაში.

როდესაც გვიხდება ლაპარაკი სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ სექტორზე, როგორც ჩვენი აღმშენებლობის კულტურულ კერაზე

(საძირკველზე), ეს საკითხი გადახლართულია ქოხ-სამკითხველოს მასიურ და საბიბლიოთეკო მუშაობასთან. საბიბლიოთეკო მუშაობა წარმოადგენს მასასთან წიგნის დაახლოვებას. ნ. კ. კრუპსკაიამ გამოქვეყნებულ წერილში სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში ჩვენ გულმოდგინედ ვეწევით კულტურულ აღმშენებლობას და ვცდილობთ აღებული ხაზის პრაქტიკულად განხორციელებას, ხოლო წიგნებით სარგებლობის საკითხს თითქმის არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, არ ვზრუნავთ, რომ სამუდამოდ განვამტკიცოთ კოლექტიურ ფორმებში წიგნით სარგებლობა. ბიბლიოთეკაში წიგნის კოლექტიურად გამოყენებას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქოხ-სამკითხველოში საბიბლიოთეკო მუშაობის განსავითარებლად და სოფლად საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში დასმული ამოცანის ღირსეულად შესრულებისათვის.

ჩვენი სახალხო მეურნეობის 5-წლიანი გეგმით გათვალისწინებულია სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ სექტორში გაძლიერებული ტემპით წინსვლა; ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში უკვე ჩაბმულია $2^1/_2$ მილიონი მშრომელი, ხოლო 5-წლიან გეგმაში გათვალისწინებულია 20 მილიონამდე ღარიბი გლეხის და მოჯამაგირეების გაერთიანება სოციალისტურ სექტორში. ამრიგად, აღნიშნულმა სექტორმა უნდა მოგვცეს 15% მთლიანი და 43% ყველა მარცვლოვანი მეურნეობის საბაზრო პროდუქციისა.

5-წლედის ბოლოს კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი მოგვცემს 500 მილიონ ფუთზე მეტ საბაზრო პურს.

ასეთი წინსვლა სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ ნიადაგზე თხოულობს სოფლად ქოხ-სამკითხველოების მუშაობაში თავისებურ ახალ ფორმებს და საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში ერთგვარ გარდატეხას.

კოლექტიურ მეურნეობათა ჩამოყალიბება მოითხოვს ტერიტორიალურ გადაჯგუფებას და ამასთან დაკავშირებით სამკითხველოს მუშაობაც სრულიად ახალ ნიადაგზე უნდა იქნას აგებული და ჩამოყალიბებული. მთავარი საკითხია, თუ კონკრეტულად რა სახის ამოცანები უნდა დავისახოთ სოციალისტურ სექტორში ქოხ-სამკითხველოების და საბიბლიოთეკო მუშაობის ახალი ფორმების ჩამოყალიბების აგებმის საქმეში. თავდაპირველი ამოცანაა წიგნის საშუალებით მოვსპოთ პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობა

სოციალისტურ სექტორში ჩაბმული მშრომელი მასისა, რომელიც ეყრდნობა შედარებით განვითარებულ სოციალ-ეკონომიურ და ტექნიკურ ბაზისს.

მეორე ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ სოციალისტურ სექტორში გავაძლიეროთ განსაზოგადოებრივებულ მეურნეობათა ზეგავლენა კულტურულ და საპოლიტგანმანათლებლო სფეროში ინდივიდუალურ მეურნეობებზე, მათი რეკონსტრუქციისა და კოლმეურნეობებად გარდაქმნის მიზნით. როდესაც გვიხდება ლაპარაკი სოციალისტური სექტორის შესახებ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი 3 მთავარი სახე, რომელიც ერთიმეორისაგან განირჩევა როგორც ორგანიზაციით, ისე შინაარსითაც:

1) საბჭოთა მეურნეობა,

2) კოლმეურნეობა,

3) მანქანა-ტრაქტორების სადგურები.

თავისთავად ცხადია, რომ ქოხ-სამკითხველოს და საბიბლიოთეკო მუშაობას აღნიშნულ მეურნეობათა თითოეულ სახეობაში თავისებური ხასიათი უნდა ექნეს.

კულტურულ-საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა საბჭოთა მეურნეობაში.

საბჭოთა მეურნეობანი განსხვავდებიან სოციალისტურ სექტორის დანარჩენი ნაწილისაგან; საბ. მეურნეობა წარმოადგენს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო წამოწყებას დაქირავებული სამუშაოს ძალებით. აქ ჩაბმული მუშები (სოფლის პროლეტარიატი) წარმოადგენს ჩვენი პარტიის და ხელისუფლების სოფლად მთავარ დასაყრდენ ძალას. ამ მასაში ქოხ-სამკითხველოს და საბიბლიოთეკო მუშაობას ისეთივე მნიშვნელობა ეძლევა, როგორც ინდუსტრიალურ მუშებს შორის. საბჭოთა მეურნეობაში ჩაბმული მუშებისათვის უნდა ხდებოდეს სათანადო ლიტერატურის შერჩევა სოფლის დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებით, თუმცა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული საბ. მეურნეობებში გამოყენებული სეზონური მომუშავეების თავისებური დამსახურებაც. პირველ ყოვლისა, საბ. მეურნეობების მუშებს შორის უნდა განვავითაროთ და ავამაღლოთ მათი კულტურულ-პოლიტიკური ცოდნის დონეც. ამით ხელი ეწყობა კვალიფიკაციის აწევას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების აწევას და რაციონალიზაციის მიზნით ყოველმხრივ ხელის შეწყობას ტექნიკური ცოდნის გავრცელებისათვის. საწარმოო

თათბირებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად საჭიროა სისტემატიური აგიტაცია-პროპაგანდა და ყოველმხრივი პოპულარული ახსნა-განმარტება საბჭოთა მეურნეობათა მნიშვნელობის შესახებ, მათი მომზადება თვითგანვითარების გზით და სხვა.

იმ მიზნით, რომ საბჭოთა მეურნეობები გადაიქცეს სოფლის კულტურული ცხოვრების ცენტრად, ქოხ-სამკითხველოების და განსაკუთრებით საბიბლიოთეკო მუშაობაც სრულიად ახალ ნიადაგზე უნდა იქნეს აგეგმილი და ჩამოყალიბებული. მსხვილ საბჭოთა მეურნეობასთან აუცილებელია სტაციონალური ბიბლიოთეკის დაარსება. ამ საქმისათვის პოლიტგანორგანოების მიერ გამოყენებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო და მიწა ტყის კავშირების საშუალებანი. სამკითხველო შევსებულ უნდა იქნეს სათანადო წიგნებით, რაც კულტურულ-განმანათლებელ სამსახურს გაუწევს საბ. მეურნეობის აგრო-ტექნიკურ პერსონალს და მოსამსახურეებსაც. სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს საბ. მეურნეობებში პოლიტგანორგანების მიერ მოძრავი კინოს მიტანას, სათანადო ფილმების შერჩევით. გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ საბჭოთა მეურნეობებში მოეწყოს რადიოდადგმულობანი.

საბ. მეურნეობის მუშები არ უნდა ჩამორჩენ არცერთ მწვავე სადღეისო საკითხს. საჭიროა მათი სისტემატიური დაკმაყოფილება, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს შესვენება სადილობისას, საღამოს საათები და სხვა მათ შორის საუბრების და მოკლე მოხსენებების ჩასატარებლად. აქ უსათუოდ გამოყენებული უნდა იქნეს ქოხ-სამკითხველოს აქტივი და ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივი მომუშავე.

საკმაოდ უნდა გავშალოთ და გავაძლიეროთ მასიური და საწრეო მუშაობა საბჭოთა მეურნეობებში მათი კულტურული დონის და ტექნიკური ცოდნის ასამაღლებლად. მუშაობის მთელი შინაარსი უნდა გამომდინარეობდეს პარტიის პოლიტიკის ძირითადი ამოცანებიდან სოფლად.

მთავარი ამოცანაა წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შემდეგ საბ. მეურნეობებში მცირემცოდნეობის ჯგუფების ჩამოყალიბება. ამას სეზონური ხასიათი არ უნდა ეძლეოდეს.

აი ის მუშაობა, რომელიც უნდა ტარდებოდეს საბ. მეურნეობებში პოლიტგანორგანოების მიერ სახ.-სამეურნეო და მიწა-ტყის კავშირთან ერთად. ამ გზით საბჭოთა მეურნეობის მუშებს გავხდით უფრო შეგნებულ მებრძოლებად სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, ასეთი მუშა ხელმძღვანელ როლს შეასრულებს ღარიბთა

დარაზმვის საქმეში, საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცებაში და კულაკის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაში, რაც უაღრესი დამსახურებაა პარტიის ამოცანის სოფლად ღირსეულად შესრულებისათვის.

კოლმეურნეობანი.

კოლმეურნეობა წარმოადგენს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებას და ამით განსხვავდება საბჭოთა მეურნეობისაგან. აქ უსათუოდ საჭიროა კულტურულ-საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის წარმართვა ისეთი ფორმებით და მეთოდით, რომელიც შეფარდებული იქნება კოლმეურნეობათა მოსახლეობის მოთხოვნილებასთან. უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობათა ნელი ტემპით ზრდის ერთ-ერთი მთავარ მიზეზთაგანია კოლმეურნეობებში გაერთიანებული მოსახლეობის საერთო უკულტურობა. ამ მხრივ მუშაობაში პოლიტგანდაწესებულებათა მთავარი ამოცანა შემდეგში უნდა გამოიხატებოდეს: ა) კოლმეურნეობათა პოლიტიკური თვითაღმზრდელობა, ბ) შემდგომი განსაზოგადოებრივობის და მის უფრო მაღალ ფორმებში გადასვლის ყოველმხრივ ხელის შეწყობა, გ) სოფლის მეურნეობის განსავითარებლად აგრონომიულ ცოდნა-გამოცდილებათა გავრცელება, დ) მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასა და მაშინიზაციასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ცოდნათა პროპაგანდა და პოპულარიზაცია, ე) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და კოლმეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის საერთო კულტურული დონის აწევა.

ყველა ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს, რომ კოლმეურნეობებში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას პოლიტგანორგანოებმა მიაქციონ მთავარი ყურადღება. საჭიროა სოფლად-საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნეს მსხვილ კოლმეურნეობებში. დღემდე საბაზო და სასოფლო ქოხ-სამკითხველოების მუშაობა ერთობ სუსტია, არ ზრუნავენ კოლმეურნეობებში განსაკუთრებული მუშაობის წარმოებისათვის, რომ კოლმეურნეობათა მოსახლეობის კულტურული დონე ნიმუში იყოს დანარჩენ გლეხთა მოსახლეობისათვის. საბიბლიოთეკო მუშაობა არ არის გადატანილი კოლმეურნეობებში და მოკლებული არიან ისინი წიგნით სარგებლობას. ამას ხელს უშლის კიდევ ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკებში არ არის წიგნების საკმაო რაოდენობა, რაც არის, ისიც ძველი და უვარგისია. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს შემდეგი: სენაკის სამაზრო ცენტრში არსებულ ბიბლიოთეკაში. ისეთი წიგნები, რომელიც ხმარებაშია, სულ 1862 ცალია; იმ ტერიტორიაზე, რო-

მელსაც ემსახურება ბიბლიოთეკა, მკითხველია (ბიბლიოთეკით მოსარგებლე) 2178 კაცი, მაშასადამე სამ მკითხველზე მოდის 2 წიგნი. უარესი მდგომარეობაა ამ მხრივ, მაგალითად, საგარეჯოში (ტფილისის მაზრა) და სხვაგანაც აუცილებელია ბიბლიოთეკების შევსება საკმაო რაოდენობის წიგნებით და ეს წიგნები უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ხასიათის უნდა იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს კოლმეურნეობების სათანადო წიგნებით უზრუნველყოფა.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო, მცირემცოდნეობის სკოლების და სხვა წრეების გარდა შემოღებულ და განვითარებულ უნდა იქნეს ვლეხთა საღამოს წლიური კურსების ქსელი, რომელიც დაისახავს თავის ამოცანად კოლმეურნეთა კულტურულ-პოლიტიკურ და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ამაღლებას. ასეთი კურსები უნდა გაიხსნას მსხვილ კოლმეურნეობებთან. კურსების ორგანიზაციისა და მისი გაშლა-გაფართოებისათვის პოლიტგანორგანოებმა უნდა გამოიყენონ კოლმეურნეობათა ცენტრის და პროფორგანიზაციების საშუალებანი კულტანარიცხებიდან.

წვრილ კოლმეურნეობებში საშუალებაც რომ იყოს, არ იქნება მიზანშეწონილი სტაციონალური ქოხ-სამკითხველოს დაარსება. აქ უნდა მოეწყოს წითელი კუთხეები საბავშო სამკითხველოს ხელძღვანელობით. სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს საუბრების და ხმამაღლა კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობას. კოლმეურნეობებში საწრეო მუშაობის გაძლიერებისა და მის გეგმაშეწონილი განვითარებისათვის საჭიროა ცენტრალურ პოლიტგან-ორგანოების მიერ შემუშავებულ იქნეს საწრეო მუშაობისათვის სათანადო პროგრამები. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოც. შეჯიბრის გაშლა-გაფართოებას, რისთვისაც საჭიროა კულტ.-პოლიტ. განმანათლებლო საკითხების დაყენებაში შემოღებულ იქნეს კოლმეურნეობების ფართოდ გაშლილი და გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრის მეთოდი. ქოხ-სამკითხველოებმა კოლმეურნეობებში ისე უნდა დააყენოს კედლის გაზეთის მუშაობა, რომ სისტემატიური ხასიათი ჰქონდეს კედლის გაზეთის გამოსვლას უაღრესად გაშინაარსებული სახით. საჭიროა კოლმეურნეობაში გამოსული გაზეთი გადმოტანილ იქნეს ქოხ-სამკითხველოში, რომ დანარჩენი გლეხებიც ეცნობოდენ კოლმეურნეობის მთელ საქმიანობას გაზეთის საშუალებითაც. პოლიტგანის მოძრავი კინოები პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს შესაფერი ფილმებით კოლმეურნეობათა მოსახლეობას.

ყველა ეს ამოცანა არ იქნება საკმარისად განხორციელებული კოლმეურნეობათა წევრების კულტურული თვითმოქმედების და კოლ-

მეურნეობათა მატერიალური ანარიცხების გარეშე. ამ მიზნით საჭიროა ყველა კოლმეურნეობასთან, მათი ფორმის მიუხედავად, მოეწყოს სპეციალური ყოფა-ცხოვრებითი კომისიები, რომელთა მიზნად აქვთ დასახული კულტ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება თვითმოქმედების წესით და ყოფაცხოვრების ახალი ფორმების დანერგვა კოლმეურნეობასა და გლეხთა შორის.

აი ის მუშაობა, რაც უნდა დაისახონ პოლიტგანორგანოებმა და რითაც უნდა მოხდეს გარდატეხა ამ მხრივ მთელ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაში.

მ. ბრეგვაძე

პოლიტგანათლების მუშაობა კოლმეურნეობაში[1]).

„ახლანდელ პერიოდში წვრილი ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობის გაერთიანების და მსხვილ კოლექტივებად გარდაქმნის ამოცანა დასახული უნდა იქნეს პარტიის ძირითად ამოცანად სოფლად“.

(15 პარტყ. დადგენილებიდან).

დღეს, რეკონსტრუქტიულ პერიოდში, გადაჭრითაა დასმული წვრილ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტურად გარდაქმნის და კოლექტიურ საფუძველზე გამოყვანის ამოცანა.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობათა მშენებლობა გიგანტური ნაბიჯით ვითარდება.
მრავლდება კოლექტივები, უმჯობესდება მათი მუშაობის ხარისხი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივის წევრთა შორის ჯერჯერობით ძალზე სუსტათაა დაყენებული კულტგანმანათლებელი მუშაობა. მათ შორის დღემდე წერაკითხვის უცოდინაროობის ლიკვიდაციაც ვერ მოგვიხდენია,—ეს აუცილებლად დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ეს საკითხი ფრიად საყურადღებოა და საჭიროა ამ მდგომარეობის დაკვრითი წესით გამოსწორება. ლენინი ამბობდა: **მარტო წერაკითხვის ცოდნა კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა კულტურა“.**

[1]) სადისკუსიო.

მაშასადამე, კოლექტივის წევრთა შორის საჭიროა არა მარტო წერაკითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა, არამედ კულტურის შეტანა, კულტურული მუშაობის გაჩაღება.

ვინ უნდა შეასრულოს ეს ფრიად მნიშვნელოვანი და რთული ამოცანა სოფლად? — აუცილებლად სასოფლო პოლიტგანორგანოებმა.

რაში უნდა გამოიხატებოდეს პოლიტგან ორგანოების როლი კოლმეურნეობის წევრთა შორის კულტგანმანათლებელ მუშაობის დარგში?

მათი ამოცანები მოკლედ უნდა შემდეგში მდგომარეობდეს.

1. პირველ რიგში მიღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, რომ უახლოესი დროისათვის კოლმეურნეობის წევრთა შორის აღმოფხვრილ იქნეს სრულიად წ. კ. უცოდინარობა.

2. ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, ფართოდ უნდა გაიშალოს კოლექტივებში მცირემცოდნეთა სკოლების ქსელი.

3. ყველა კოლექტივთან უნდა მოეწყოს თუ ბიბლიოთეკა-სამკითხველო არა, წითელი კუთხე მაინც, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადოდ შერჩეული პოპულარული ლიტერატურით.

4. ფართოდ უნდა გაიშალოს კოლექტივებში პოლიტცოდნის და მიმდინარე პოლიტიკის სხვა შემსწავლელი წრეები კოლექტივის წევრთა შორის საზოგადოებრივი განვითარების შეტანის მიზნით.

5. პოლიტგანორგანოების ინიციატივით და ხელმძღვანელობით ხშირად უნდა იმართებოდეს საუბრები, ლექციები, მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა საკითხების შესახებ.

6. როგორც ურთიერთ დამაინტერესებელ ფორმას, ფართო ადგილი უნდა დაეთმოს კოლექტივებში კითხვა-პასუხის საღამოების და გაზეთის ხმამაღლა კითხვის მოწყობას.

7. თვეში ერთხელ სისტემატიურად უნდა იცემოდეს კედლის გაზეთი, რომლის მუშაობაში ფართოდ ჩაბმული უნდა იქნენ კოლექტივის წევრები. კედლის გაზეთის გამოსაცემად საჭიროა გამოიყოს სპეციალური სარედაქციო კოლეგია პოლიტგან ორგანოს ხელმძღვანელ ან რომელიმე კულტძალის ხელმძღვანელობით.

8. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის წევრთა შორის სამხატვრო მუშაობას, სადაც კი შესაძლებელი იქნება, უნდა ჩამოყალიბდეს დრამატიული, მუსიკალური, სასიმღერო და სხვა წრეები.

9. მოძრავი კინოებით კოლექტივებში უნდა ეწყობოდეს კინოსეანსები სათანადო ახსნა განმარტებით.

10. თვითინიციატივის საფუძველზე კოლექტივებში სასურველია მოეწყოს რადიომიმღები.

11. სასოფლო პოლიტგანორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ კოლექტივის წევრთა შორის ფართოდ გავრცელდეს ჟურნალ-გაზეთები.

12. ძალიან საინტერესოა ურთიერთ შორის კოლექტივების ექსკურსიების მოწყობა და მჭიდრო კავშირის დაჭერა, ამა თუ იმ კოლექტივის მდგომარეობის გაცნობის მიზნით.

13. ყველა ქოხ-სამკითხველოსთან უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო წრე, რომელშიაც ფართოდ მიზიდულ უნდა იქნენ კოლექტივის წევრები.

14. ქოხ-სამკითხველოს ბიბლიოთეკიდან უნდა გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა და იმ კოლექტივში, სადაც ასეთი ლიტერატურა მცირეა, უნდა იგზავნებოდეს პერიოდულად მოძრავი ბიბლიოთეკის სახით.

აი მოკლედ, პოლიტგანორგანოების ამოცანები კოლექტიურ მეურნეობაში კულტურული მუშაობის საწარმოებლად პოლიტგაონრგანოების ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ მთელი მაქსიმალური ზომები, რომ ადგილობრივი კულტძალების ფართო მონაწილეობით განახორციელონ ზემოაღნიშნული ღონისძიებანი.

მ. ბრეგვაძე.

ქუთაისის ოლქის პოლიტგანის გამგე.

6. მუჭვაბიშვილი

სოციალისტური შეჯიბრი და სკოლა.

მეორე წელია მას შემდეგ, რაც შრომის სკოლებს სოციალისტური შეჯიბრის სახით სწავლების საუკეთესო მეთოდი შეემატა. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში სკოლების წინაშე ბევრი პრობლემა და ამოცანა არის წამოყენებული გადასაწყვეტად. ეს ამოცანებია: ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ახალი კადრების შემზადება, მოზარდ თაობაში მარქსისტული და ლენინისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება და ნამდვილი, საღი, ჭეშმარიტი ბოლშევიკ-რევოლუციონერების მიცემა ახალი სოციალისტური საზოგადოებისათვის.

ეს საკითხები თავისი ღირებულების და შინარსიანობის მიხედვით ისე სერიოზულია და მეტად საპასუხისმგებლო, რომ მისი ნამდვილი გადაჭრა მოითხოვს პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუ-

შაობის უნარის და ძალის მობილიზაციას ახალი სკოლის მშენებლობის ფრონტზე. ჩვენი სკოლების წინაშე, რასაკვირველია, ახალია ყველა ეს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა შეუძლებელია ისე, თუ სასწავლებლები საზოგადოდ არ გადაიქცევიან იმ ბაზისად, საიდანაც უნდა გამოვიდენ ახალი—წითელი—კადრები. ამისათვის საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება, პედაგოგიური მუშაობის პროდუქციის გადიდება, შრომის დისციპლინის გაძლიერება და ჩვენს სადარაჯოზე მედგრად დგომა, რასაც აუცილებლად შედეგად მოჰყვება ზემოაღნიშნული მიზნების მთლიანად შესრულება და ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის საუკეთესო ძალების შემატება.

შრომის სკოლებს თავისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის ბევრი სხვადასხვა მეთოდი და ხერხი გააჩნია. ბევრი ამათგან ძველი სკოლიდან არის კიდევ შერჩენილი და ბევრი კი ახალი სკოლის პირმშო შვილია. ჩვენ, რასაკვირველია, აქ არ გვაინტერესებს ამ მეთოდების ღირსებაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ზოგადად ვიტყვით, რომ შრომის სკოლების მუშაობის ყველა კუნჭულისა და მთლიანი ცხოვრების დამყარებისათვის სკოლაში ცხრა წლის გამოცდილება იმას გვეუბნება, რომ ისინი ვერ იქნა მთლიანად გამოყენებული. ღდეს ჩვენს შრომის სკოლებს ახალი მეთოდი შეემატა სოციალისტური შეჯიბრის სახით.

ამხ. ლენინი სოციალისტურ შეჯიბრებას სთვლიდა საუკეთესო საზომად ქვეყნის აღმშენებლობაში. „სოციალიზმი არა თუ არ გაანელებს შეჯიბრს, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის შესაძლებლობას, გამოყენებული იქნას იგი ნამდვილ ფართედ და ნამდვმლ მასიურ ზომად, ჩაბმულ იქნას მშრომელთა ნამდვილი უმეტესობა მუშაობის ისეთ სარბიელზე, რომელზედაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავისი უნარი, გამოააშკარავონ ნიჭი, რომელიც ხალხში დაუშრეტელი წყაროა და რასაც კაპიტალიზმი სრესდა, აღრჩობდა ათასობით და მილიონობით. თქვენი ამოცანაა, ახლა, როდესაც ძალა-უფლება სოციალისტური მთავრობის ხელშია, მოაწყოთ შეჯიბრი“. ამხ. ლენინმა გენიალურად გაარკვია სოციალისტური შეჯიბრის ადგილი და მნიშვნელობა სოციალისტურ აღმშენებლობაში. ჩვენი მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის გაშლის და განვითარების ფრონტზე სოციალისტური შეჯიბრი საუკეთესო მეთოოად არის მიჩნეული. ამხ. ლენინის ანდერძი მთლმანად იქნა ამ მხრივ გამოყენებული. რომ მართლაც ხალხში უნარი, მონდომება, ნიჭი დაუშრეტელი, დაულეველი ყოფილა, ამას ამტკიცებს ის მიღწევები და შედე-

გები, რაც შეჯიბრის შემდეგ ჩვენს წარმოებას აქვს. დღეს გიგანტურად წინ მიდის ჩვენი წარმოება. გაიზარდა შრომის დისციპლინა და ნაყოფიერების აწევამ მოლოდინს გადააჭარბა და სხვა. ერთი სიტყვით, სოც-შეჯიბრი წარმოებაში საუკეთესო მეთოდად გადაიქცა, რომლის საშუალებით ამოძრავდენ კაპიტალიზმის დროს დასრესილი და დამხრჩვალი ათასების და მილიონების ძალები.

მაშასადამე, სოციალისტურმა შეჯიბრმა წარმოებაში საუკეთესო გასავალი ჰპოვა, მაგრამ რამდენად იგი, ასე ვთქვათ, გამოყენებულ იქნა შრომის სკოლებში, სწავლა-აღზრდის საქმის რიგიანად დაყენების საქმეში, ან და კიდევ გამართლდა თუ არა სკოლების ზოგიერთი მუშაკის აზრი სოც-შეჯიბრის შესახებ, რომლებიც პესიმისტური განწყობილებით უყურებდენ ამ ახალ საქმეს სკოლის მუშაობის სინამდვილეში? რა თქმა უნდა, ერთი წლის განმავლობაში ყველას თავში ერთნაირი დოზით ახალი წამოწყებები და საქმეები არ შევა, ვინაიდან, რომ თვითონ დარწმუნდე ამა თუ იმ მეთოდის და საზოგადოდ ახალი საქმის რეალობით, თვითონ უნდა აწარმოებდე და უკვირდებოდე ცდებს და მის შედეგებს. და მე ვამბობ, ვინც კიოდნავად გულმოდგინედ დაუგდო ყური სოციალისტური შეჯიბრის მსვლელობას სასწავლებლებში, ჯგუფებში და ცალკეულ შემთხვევებში, მისთვის ნათელი და გნსაგები არის ის ამბავი, რომ იგი, როგორც აღზრდის ახალი მეთოდი, დიდი უპირატესობით სარგებლობს, ვიდრე სხვა რომელიმე დანარჩენი საშუალება სკოლის მუშაობისა სწავლა-აღზრდის საქმეში.

სოცშეჯიბრი სკოლებში პირველ ხანებში არ იყო გაგებული ისე, როგორც იგი დღეს აქვს გაგებული ჩვენს სკოლებს. და ამიტომაა, რომ ჯერჯერობით არა გვაქვს საკმაო მიღწევები ამ სფეროში. ერთი წლის მუშაობის პროცესში გამოირკვა, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული, რადარა კონკრეტული მხარეები ახასიათებს სოცშეჯიბრის თითოეულ გამოწვევას, მის შესრულებას და სხ. ასე რომ სოცშეჯიბრის შემოღებამ სკოლებში განვლო განვითარების ყველა საფეხური და ამდენად მისი ადგილი და მნიშვნელობა ყველა სკოლისთვის გარკვეულ ჩარჩოშია ჩამოყალიბებული. სოცშეჯიბრი სკოლებში სამი მიმართულებით იქნება გამოყენებული: 1) როდესაც ერთი სკოლა მეორე სკოლას იწვევს, 2) სკოლის შიგნით—ჯგუფებს შორის ურთიერთ გამოწვევა და 3) მასწავლებელთა შორის ინდივიდუალური გამოწვევა, მაშასადამე, სოციალისტური შეჯიბრის წარმოება და მისი დაყენება შრომის სკოლებში ამნაირად უნდა წარმოვიდგინოთ. სოცშეჯიბრს აქვს შემდეგი მომენტები; 1) არსებული

მდგომარეობის აღნუსხვა და საერთო მაჩვენებლის შესწავლა, რომელიც რიცხვებით უნდა გამოვხატოთ, 2) გამომწვევთა შორის ხელშეკრულების დადება და შეჯამება ანუ ხელშეკრულების დადების შემდეგ საერთო მაჩვენებელთა აღრიცხვა, ასე უნდა წარმოვიდგინოთ სოცშეჯიბრის მსვლელობის ყველა მომენტი.

რას ნიშნავს ცალკცალკე ეს საკითხები და მომენტები, როგორ უნდა გავიგოთ თითოეულის შინაარსი და ყველგან და ყველა ადგილას ისინი ერთნაირი არიან?

ამ საკითხზე, რასაკვირველია, საჭიროა შეჩერება და თითოეული საკითხის დეტალურად გამორკვევა, ვინაიდან ერთი წლის სინამდვილე სოცშეჯიბრის მსვლელობის საქმეში სხვადახხვანაირ სურათს, სხვადასხვანაირ გაგებას იძლევა და ამიტომაც ჯერჯერობით სოცშეჯიბრის საკითხები ვერ იქნა ისე გაშლილი და გამოყენებული, როგორც რიგი და წესია.

ავიღოთ პირველი—სკოლების მიერ ერთმანეთის გამოწვევის საკითხი. გასულ წელს ერთი სკოლა მეორეს იწვევდა. მაგ., x სკოლა იწვევდა y სკოლას და ჰპირდებოდა: შეეცდები სწავლის საქმე კარგად დავაყენო და მიზანს 100% მივაღწიოო. აქ კონკრეტულად არ ჩანდა, რა საკითხებში იწვევდენ ისინი ერთმანეთს. მოცემული იყო ზოგადობა, არ იყო კონკრეტული დასახელება. როდესაც სკოლები ერთმანეთს იწვევს, აქ ნათლად უნდა ჩანდეს, რა საკითხებში იწვევენ ისინი ერთიმეორეს და, რაც ყველა სკოლის გამოწვევას უნდა ახასიათებდეს, ხელშეკრულების ობიექტების ნამდვილი მაჩვენებლები უნდა იყოს აღნიშნული. მაგ. ღარიბთა დამხმარე ფონდის გადიდება, ორწლიანობის მინიმუმამდე დაყვანა და სხვა. აქ უნდა იყოს: გასულ წელს 30 ან 100 მოწაფეს დავეხმარეთ, წელს კი დავეხმარებით 50-ან 150 კაცს. შარშან ჩვენს სკოლაში 500 კაციდან 30 კაცი დარჩა, წელს დარჩენილთა რიცხვს 30-დან 5-ზე დავიყვანთ და სხვა. მაშასადამე, მაჩვენებელი ორივე მომენტში უნდა ჩანდეს, დღეს რა არის და როგორი იქნება იგი ცალკეული ტრიმესტრების ან სასწავლო წლის ბოლოს; წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლებს შორის სოცშეჯიბრი ზერელედ იქნება დაყენებული და არავითარ შედეგს იგი სკოლებს არ მისცემს, მაგრამ ამით სოცშეჯიბრი სკოლებს შორის არ უნდა დამთავრდეს. როდესაც სკოლები ერთიმეორეს გამოიწვევენ, ისინი გაუგზავნიან ხელშეკრულების ასლებს, რომლებსაც განიხილავს სკოლებში მთელი მოწაფეობა და ამ ორი სკოლის წარმომადგენლები შეიკრიბებიან, სადაც ოფიციალურად მოაწერენ ხელს. ხელშეკრულების ობიექტების შემოწმება უნდა მოხდეს აღნიშნულ ვადის და-

ძთავრების შემდეგ, რაიც ეცნობა სათანადო ორგანოებს. მაგრამ როდესაც სკოლები მუშაობას შეუდგებიან, თვითეული მათგანის გამოცდილება უნდა იქნეს გაცნობილი და გაზიარებული. არცერთ შემთხვევაში ჩატარებულ მუშაობას საიდუმლო ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, „ვინ ვის გაუსწრებს“ და სხვა.

მაშასადამე, ერთმანეთს უნდა გადავცეთ მუშაობის წესები და ამ საერთო საფუძველზე მივაღწიოთ დასახულ მიზანს. სოცშეჯიბრის მეორე მხარეა სკოლის შიგნით,—ჯგუფებს შორის. რას ნიშნავს ჯგუფებს შორის სოცშეჯიბრის წარმოება? იგი ნიშნავს იმას, რომ სოცშეჯიბრის საშუალებით მოვახდენთ მოწაფეთა უნარის და ძალის მობილიზაციას. გამოვიყვანოთ ისინი ჩამორჩენილი მდგომარეობიდან, გავზარდოთ მათი მუშაობის, შრომის ნაყოფიერება, სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ დისციპლინა, გავზარდოთ და გავადიდოთ თითოეული ჯგუფის და მოწაფის პასუხისმგებლობის გარძნობა კოლექტიური მუშაობის საფუძველზე.

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენს სკოლებში დისციპლინის საკითხი ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. ვერ გამოინახა ისეთი საერთო საზომი, რომელიც მოსპობდა იმ საერთო უდისციპლინობით გამოწვეულ ანარქიას, რომელიც ძალზე უშლის ხელს სკოლის მუშაობას. ძველ სკოლას გააჩნდა თავისებური ჩინოვნიკური და მყვირალა მეთოდები. იყო იქ ცემის და მუხლებზე დაჩოქების წესები და სხ. ახალ სკოლაში ყველა ეს მიუღებელია. მოწაფეებს აღზრდა ესაჭიროება. მათში უნდა შემუშავდეს დისციპლინის სურვილი და ორგანიზატორის ნებისყოფა. და დღეს ეს საკითხი ჩვენს სკოლებში მტკივან ადგილად ითვლება. სოცშეჯიბრის შემოღებით დისციპლინის საკითხის სწორედ გადაწყვეტა იოლი შეიქნა. მაგ., დღეს იქ, სადაც სოცშეჯიბრი კარგად გამოყენებულია და იგი ჯგუფებში და ცალ-ცალკე მოწაფეთა შორის გაშლილია ღრმად და შინაარსიანად, დისციპლინის საკითხიც კარგად არის დაყენებული.

როგორი უნდა იყოს ჯგუფებს შორის სოცშეჯიბრში გამოწვევა და რამდენად განსხვავდება ეგი სკოლების მიერ ურთიერთ გამოწვევისაგან.

სრულიად სხვადასხვა სახე ეძლევა ჯგუფებს შორის გამოწვევას. აქ მოცემული სოცშეჯიბრის ობიექტები კონკრეტული ხასიათისაა, ჯგუფის საშინაო ცხოვრებას ეხება. თუ პირველ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც სკოლები ერთიმეორეს იწვევენ სოცშეჯიბრში, ობიექტები ზოგადადაა მოცემული, აღებულია სკოლის საერთო მუშაობის მაჩვე-

ნებელი და სხვა, — ჯგუფებს შორის კი პირიქით. მაგალითად: მე-V ჯგ. იწვევს მე-VI ჯგ. შემდეგ საკითხებში:

1. მოწაფეთა დაკლება-დაგვიანების აღმოფხვრა. ამჟამად იგვიანებს 5 %, განსაზღვრული დროის შემდეგ ეს რიცხვი 0 % იქნება დაყვანილი.

2. ჯგუფში შრომის დისციპლინის გაძლიერება.

ამჟამად ჯგუფში გვყავს 10 უდისციპლინო მოწაფე, რომლებიც სკოლის დერეფნებში და საერთოდ ხელს უშლიან მთელი სასწავლებლის მუშაობას. ჯგუფი პირობას იძლევა, რომ ისე გავზრდით და გავაძლიერებთ ამ მხრივ მუშაობას, რომ ხელშეკრულების ვადის დამთავრების დროისათვის არ გვეყოლება არცერთი უდისციპლინო მოწაფე.

3. აკადემიური წარმატება.

აკადემიურად ჩამორჩენილ მოწაფეთა რიცხვი თუ 10 % შეადგენს, მეორე წელს დარჩენილია ორი ჯგუფი ისე დააყენებს თავის აკადემიურ მუშაობას, რომ წლის ბოლოს არ ეყოლება არცერთი აკადემიურად სუსტი და ჩამორჩენილი მოწაფე და სავსებით მოსპობს მეორეწლიანობას.

4. 100 %-ით ავკრეფთ თვითდაბეგვრისა და სწავლის ფულს.

5. მოვუვლით ჯგუფისა და სკოლის ინვენტარს: მერხებს, მაგიდებს, კარადებს, რუკებს და სხ.

6. თვითორგანიზაციის და სექციების მუშაობაში ამჟამად 80 % ჩაბმული, წლის ბოლოს არცერთი მოწაფე არ იქნება ამ მუშაობის გარეშე დარჩენილი.

7. სხვადასხვა თავისუფალ საზოგადოებაში ჩაბმა: ა) წერაკითხვის საზოგადოებაში ჩაბმულია 32 %, ობიექტის აღრიცხვის დროს ჩვენი ჯგუფი მთლიანად იქნება ამ საზოგადოების წევრი. ბ) ავიაქიმის წევრია 45 %, იქნება 80 %.

8. ამჟამად ვრცელდება ახალგაზრდა „კომუნისტი“, „პიონერი“ 60 %-ით, იგი გავრცელებულ იქნება 90 %-ით.

მაშასადამე, ასეთი იქნება დაახლოვებით ჯგუფებს შორის გამოწვევის ობიექტები. აქ რასაკვირველია, ძნელია კონკრეტულად განხილვა ყველა ობიექტის, ვინაიდან თითოეულ ჯგუფს თავისი პირობების მიხედვით სხვადასხვანაირი მდგომარეობა ახასიათებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდის ჯგუფებს შორის დადებულ ხელშეკრულებას არ ჰქონდა ჯგუფის მუშაობის მაჩვენებლის კონკრეტული ხასიათი. ჩვენის ფიქრით, ასეთს საკითხებზე უნდა ხდებოდეს ჯგუფებს შორის სოცშეჯიბრის ხელშეკრულების დადება.

მესამე და უკანასკნელი მხარე სოცშეჯიბრისა სკოლებში ეხება მასწავლებელთა შორის ინდივიდუალური ხასიათის გამოწვევას.

სოციალისტური შეჯიბრის, როგორც მეთოდის, რეალურად გამოყენება, ასე ვთქვათ, მისი სკოლის მუშაობის გაჯანსაღებისათვის ნამდვილ საშუალებად გადაქცევა, — მასწავლებლის უნარის და ძალების გაშლაზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა შორის ურთიერთ გამოწვევას.

წარმოებაში ინდივიდუალურ გამოწვევას ფართო ადგილი აქვს დათმობილი, ვინაიდან მთელი წარმოების შრომის ნაყოფიერების და საერთო პროდუქციის ვაზრდას თითოეული მუშის მონდომებასა და აქტიობასთან უშუალო კავშირი აქვს. და მასწავლებლობა სკოლაში იგივეა, რაც მუშები წარმოებაში. ამიტომ მასწავლებელთა შორის ურთიერთ სოცშეჯიბრში გამოწვევით სწორედ გადაწყდება ის ორი საკითხი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ.

როგორი უნდა იყოს, დაახლოებით, მასწავლებელთა შორის ხელშეკრულების შინაარსი?

აქ მოვიყვანთ ტფილისის ერთ-ერთ შრომის სკოლაში მასწავლებელთა შორის დადებულ პედაგოგიურს, საზოგადოებრივს და პროფესიონალური ხასიათის ხელშეკრულებას.

ამხ. ლენინის ანდერძი სოციალისტური შეჯიბრის შესახებ, როგორც მეთოდი, საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის და ამიტომ, რომ ჩვენსა და მეექვსე სკოლებს და აგრეთვე ჯგუფებს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრის ხელშეკრულება 100 %-ით იქნას შესრულებული, მე, კ. ჭეიშვილი, ინდივიდუალურად ვიწვევ ამავე სკოლის მასწავლებელს კ. ბახტაძეს და ვსდებთ ქვემოაღნიშნულ პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პროფესიონალური ხასიათის შემდეგ ხელშეკრულებას:

შეჯიბრების ობიექტები.

1) გამოვცხადდე სამსახურში დაუგვიანებლივ.

2) ჩემზედ დაკისრებული მორიგეობა სკოლაში შევასრულო პირნათლად, რაც უნდა გამოიხატოს: მეცადინეობის დაწყებამდე, პედსაბჭოს დადგენილების თანახმად, 15 წამით ადრე გამოვცხადდე, დასვენების დროს ვიყო მოწაფეთა შორის, ყურადღება მივაქციოთ ცელქ და უდისციპლინო მოწაფეებს და გადავცე ისინი თავიანთ ჯგუფის საბჭოს.

3) არცერთ შემთხვევაში არ გამოვტოვო გაკვეთილი.

4) ჩემი საგნის სწავლება სანიმუშოდ დავაყენო.

5) წლიური საწარმოო პროგრამა 100 %-ით შეკასრულო.

6) ვუხელმძღვანელო ჩემს წრეს და სექციის მუშაობას.

7) სისტემატიურად დავესწრო სასკოლო საბჭოს, პედსაბჭოს და საგნობრივი კომისიების სხდომებს.

8) თემის მინაცემის თავის დროზე დამუშავება და მოწაფეებისათვის მიცემა.

9) თემის მინაცემის შესრულებისთანავე სააღრიცხვო კონფერენციების მოწვევა.

10) თითოეული მოწაფის მშობლებთან კავშირის დაჭერა და ამ გზით ოჯახის შესწავლა.

11) ჩემს საგანში ჩამორჩენილ მოწაფეებთან ვაწარმოო ზედმეტი მუშაობა და მეორე ტრიმესტრის ბოლოს შევძლო 90 %-მდე მისი ლიკვიდაცია.

12) ჩემზე დავალებული სალიკვიდაციო მუშაობა ვაწარმოო ისე, რომ მეორე ტრიმესტრის ბოლოს გამოვიდეს ორი ან სამი კურსდამთავრებული მსმენელი.

13) სწავლის და თვითდაბეგვრის ფულის აკრეფა 100 %-თ.

14) პროფსაზით მუშაობა, რაიც უნდა გამოიხატოს შემდეგში: ადკილკომის მიერ მოწვეულ სხდომაზე სისტემატიურად დასწრება, კოოპერატივის წევრად გახდომა და სხვა.

15) საწევრო გადასახადის ყოველი ჯამაგირის დროს დაფარვა.

16) განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო სხვადასხვა კაბინეტებში მუშაობის დროს კაბინეტის მოწყობილობას (მაგიდები, სკამები, სურათები, პლაკატები) და საერთო სასკოლო ქონების დაცვას.

ბოლოს დავვრჩა გასარკვევად ობიექტების აღრიცხვის წესები.

სოცშეჯიბრის ობიექტებში უკვე ჩანს სკოლის მუშაობის გაჯანსაღებისკენ მიმართული ღონისძიებანი, ყველა ამას სჭირდება ერთაგვარი კონტროლი და საერთო მაჩვენებლების შეჯამება აღრიცხვა. აღრიცხვის დროს რაც, მაშასადამე, მოხდება ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას, უნდა გამოჩნდეს: რა გაკეთდა, რამდენად გაუმჯობესდა მუშაობა ამ მეთოდის შემოღების შემდეგ, შესძლეს თუ არა სკოლამ, ჯგუფებმა და მასწავლებლებმა თავის უნარის და ძალის გამოჩენა. ერთი სიტყვით აღრიცხვებმა უნდა გამოააშკარაოს ორივე პირის მუშაობის ყოველი მხარე.

როგორი უნდა იყოს აღრიცხვის წესები? როცა სკოლებს შორის ხდება ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, კომისია, რომელიც ორივე სკოლიდან იქნება არჩეული, წინასწარ შეისწავლის თითოეული მათგანის მიერ სოცშეჯიბრის ობიექტების შესრულებას, შეამოწმებს მას ადგილობრივად და წარუდგენს სათანადო ორგანოებს. თუ სკოლები ერთიმეორესაგან შორს არ არიან, შესაძლებელია მოწვეულ იქნას ორივე სკოლის საზოგადო კრება და ეცნობოს მათ თითოეული სკოლის მიერ ჩატარებული მუშაობა.

როდესაც ჯგუფის მუშაობის შეჯამება ხდება, აქ კი, რასაკვირველია, მეტი შესაძლებლობა და გასაქანი არის აღრიცხვისათვის. ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდეც ჯგუფის მიერ გამოყოფილი შემფასებელი კომისიები ყოველდღიურად მეთვალყურეობენ, სწავლობენ და აფასებენ ორივე პირის მუშაობას. ხელშეკრულების ვადის დამთავრების დროს მოხდება ორივე ჯგუფის მოწაფეთა გაერთიანებული კრება და საჯაროდ გამოქვეყნდება მათი საქმიანობა და მიღწევები. კომისიას წინასწარ შეუძლია გამოუშვას სპეციალური კედლის გაზეთი და უკანასკნელის საშუალებით ფართო საზოგადოებას გააცნოს სოცშეჯიბრის ნაკლი და მიღწევანი.

მასწავლებელთა გამოწვევის აღრიცხვას აწარმოებს მთელი პედაგოგიური საბჭო მოწაფეთა თვითორგანიზაციის პრეზიდიუმთან ერთად. აქ აღრიცხვა ხდება ყოველდღიურად, რომელიც მოცემული იქნება სხვადასხვა ფორმაში. ზემოთ-აღნიშნული ობიექტების შემოწმებას სკოლის სხვადასხვა ორგანოები ატარებენ, როგორიცაა: ადმინისტრაცია, მორიგეები და ადგილკომი, საბოლოოდ კი მასწავლებელთა შორის ინდივიდუალური აღრიცხვა სასკოლო საბჭოს მიერ იქნება დამტკიცებული.

ბოლოს მინდა ამ პატარა წერილში შევეხო მოწაფეთა შორის ინდივიდუალურ შეჯიბრს. მოწაფეთა შორის ინდივიდუალური შეჯიბრის საკითხი ჩვენი შრომის სკოლების წინაშე ჯერჯერობით სადაო საკითხად არის გადაქცეული. ბევრ მასწავლებელსა ტ განათლების კავშირის ზოგიერთ მუშაკს სწორ დებულებად და აღზრდის მეთოდად მიაჩნიათ, რომ მოწაფეები ერთი მეორეს სოცშეჯიბრში იწვევენ, სდებენ ხელშეკრულებას, იწერება ოქმები და, რასაკვირველია, გამოყენებულია ის მეთოდები, რომლებიც ზემოდ მოვიხსენიეთ.

ჩვენის აზრით, ეს დებულება **ოდნავად სწორი არ არის.**

სოცშეჯიბრი სკოლებში ჩვენ მივიჩნიეთ და მივიღეთ, როგორც სწავლების ერთ-ერთი მეთოდი. მას დღესაც ეროვნული კამპანიის

ხასიათი კი არა აქვს, რომელიც შარშან იყო და წელს არის, შემდგომ კი აღარ იქნება, არამედ სოცშეჯიბრი რჩება ჩვენს სასკოლო და პედაგოგიურ მუშაობაში მუდმივად.

და ამდენად მას ისეთი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს, როგორც სწავლების და აღზრდის სხვა დანარჩენ მეთოდებს და **ამიტომ სოცშეჯიბრის გამოყენება მოწაფეთა შორის ინდივიდუალურად ნიშნავს მეთოდის დამახინჯებას და მის კამპანიური ხასიათით განხილვას.** ინდუსტრიალური შეჯიბრი მოწაფეთა შორის გამოიწვევს მთელი მუშაობის დაქუცმაცებას. ჩვენი მიზან არის ახალთაობას ჩავუნერგოთ სიყვარული კოლექტიური მუშაობისა, რომელიც საფუძველია და დასაყრდენი სოციალისტური მშენებლობისა. ჩვენი ახალი სკოლა აშ გზით აწარმოებს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას.

მოწაფეთა შორის ინდივიდუალური გმოწვევა დაარღვევს მათ შორის შექმნილს კოლექტიურობას, მიაჩვევს განცალკევებას, მარტოობას, გამოალვიძებს ისეთ ინტერესს და სურვილს, რომელიც ინდივიდუალური ხასიათის იქნება, ეს მდგომარეობა კი ეწინააღმდეგება ჩვენი ახალი სკოლის და საზოგადოების მშენებლობას. მაშასადამე, სკოლა უნდა დაკმაყოფილდეს სოცშეჯიბრის გამოყენებით იმ სამი მიმართულებით, რომლებიც კოლექტიურ და საზოგადოებრივ მუშაობას ატარებენ.

ჩვენი სკოლეგის მუშაობიდან

ს. მელიქიშვილი

საქართველოს ცაკის ბავშთა კომისიის მცხეთის საბავშო ახალშენის მუშაობა 1928/29 წ.

საქართველოს ცაკის ბავშთა კომისიის მცხეთის საბავშო ახალშენი წარმოადგენს ხელისუფლების აპარატის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, ამიტომ მის მიზნებს და ამოცანებს მთლიანად ვუფარდებთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის მორიგ ამოცანებს.

დღეს ერთ-ერთი აქტიურური საკითხთაგანია—კულტურული რევოლიუცია. ყველა საალმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებას მართებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს კულტურული რევოლუციის ამოცანების გადაჭრაში, განსაკუთრებით კი ეს ევალება საბავშო ახალშენს, რომელიც უშუალოდ ზრდის სოციალისტური მშენებლების მომავალ კადრებს.

ჩვენ ჩვენი საალმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობით ახალთაობას უნდა მივცეთ ტექნიკურ და ფორმალურ ცოდნა-ჩვევათა ისეთი მარაგი, რომელიც საბავშო ახალშენის აღსაზრდელებს ახალშენიდან წასვლის შემდეგ უზრუნველყოფს შესაფერი ადგილი დაიჭირონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მცხეთის საბავშო ახალშენი მიზნად ისახავს აღზარდოს მარქსისტული მსოფლმხედველობით აღჭურვილი, სოციალიზმის შეგნებული მშენებელი, მტკიცე ნებისყოფის კოლექტივისტი,პროლეტარიატის კლასიური ინტერესების გამტარებელი, ზნეობრივ-გონებრივად, ესთეტიურად და ფიზიკურად განვითარებული მოქალაქე, რითაც განისაზღვრება ჩვენი მუშაობის შინაარსი, მასალა და ფორმები.

მცხეთის საბავშო ახალშენი ტფილისზე 22 კილომეტრითაა დაშორებული და სადგურ მცხეთის პირდაპირ მდებარე ოცდაოთხ შენობაშია მოთავსებული, რომლებიც გაფანტულია რკინის გზის გასწვრივ 1 $^1/_2$ კილომეტრის მანძილზე. აქვს 131 ჰექტარი მიწა, რომელიც, ათიოდე ეჰკტარის გამოკლებით, მთლიანად უკავია მუხისა და რცხილის ახალგაზრდა ტყეს. ახალშენთან არსებობს შრომის სკოლა, როგორც ახალშენის ბავშთათვის, აგრეთვე რაიონის მუშა-

მოსამსახურეთა შვილებისათვის, ახალშენთან არსებობს ფერმა, რომელსაც ჰყავს გერმანული ჯიშის 22 ძროხა, ჯიშიანი ღორები და ქათმები. მივდევთ მებოსტნეობას, მეყვავილეობას, მემინდვრეობას და მეფუტკრეობას. ფერმის და მეყვავილეობის პროდუქციას ტფილისს ვაწვდით.

ახალშენს ჰყავს 45 თანამშრომელი და ინტერნატში ცხოვრობს 200 ბავში.

ახალშენის ოთხწლედის აღსაზრდელნი სამეცადინოდ დადიან დაბა მცხეთის პროფსკოლაში. წელს ოთხწლედი დავაარსეთ ახალშენთან. სკოლის გადმობარებისას შევამოწმეთ ჯგუფები. პირველი ჯგუფი მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა და თავისი მომზადებით მეტად ჭრელი, რის გამო პირველ ჯგუფთან ცალკე გამოვყავით საბავშო ბაღის ბავშები, ხოლო სუსტ ბავშებს მივუჩინეთ მძლავრი ამხანაგები, რამაც დადებითი შედეგი მოგვცა.

გადავსინჯეთ და განვსაზღვრეთ პროგრამები: ბუნებისმეტყველებაში, გრამატიკაში, ხატვაში, მხარეთმცოდნეობაში, აგრეთვე წერა და მისი გასწორების საკითხი.

ოთხწლედისათვის ცალკე გამოვყავით სამუშაო მიწის ნაკვეთი და მასზე ნაწილობრივ გადავშალეთ საბუნებისმეტყველო პროგრამები. მოვაგვარეთ მუშაობა ბიბლიოთიკა-სამკითხველოში. შემოვიღეთ დღიურები ჯგუფებში. მუშაობას ზაფხულში ვაწარმოებდით წინასწარ შედგენილი გეგმით და დავალებებით და ჩავატარეთ საჭირო აღრიცხვები.

ა). **საზოგადოებრივ-სასარგებლო** მუშაობა. სოფელ ძეგვში მოეწყო ფასიანი საღამო საზღვარგარეთ მყოფ პროლეტარ ბავშთა სასარგებლოდ.

ტანკის „საქართველოს კომკავშირი“ ასაგები ფონდის გასაძლიერებლად სოფ. მცხეთაში მოეწყო საღამო.

ბავშებმა შეაგროვეს 48 კილოგრამი უვარგისი ქაღალდი,

გაადიდეს დასამუშავებელი მიწის ფართობი 100%-ით.

ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობის თანადასწრებით „ტყის დღე“ და მასთან დაკავშირებით ახალშენის მიდამოში დაირგა 100 თუთის ხე.

ტარდებოდა რევოლუციონური დღესასწაულები კინოს გამოყენებით და სათანადო საღამოების მოწყობით ადგილობრივი მოსახლეობის და მცხეთის ხე-ტყის ქარხნის მუშების თანადასწრებით სრულიად უფასოდ.

ბ) პოლიტ-ინფორმაცია: ახალშენის კლუბში მოსახლეობის თანადასწრებით ჩატარდა საქართველოს გასაბჭოების 8 წლისთავი, ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი, წითელი არმიის 11 წლის თავი, თვითმპყრობელობის დამხობის დღე—12 მარტი, პარიზის კომუნის დღე—18 მარტი, საუბარი—„საერთაშორისო მიმოხილვა", 1 მაისს—გრანდიოზული დემონსტრაცია და მასთან დაკავშირებით სპეც-პროგრამით წარმოებდა მუშაობა ახალშენში მთელი კვირის განმავლობაში, ბავშთა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შესახებ საუბარი მე-9 საერთაშორისო კვირეულთან ბავშთა დაკავშირებით. საუბარი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის (სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის), ინდუსტრიალიზაციის განვითარების და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გარეშეოო შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

გ) საკლუბო მუშაობა: ეწყობოდა საღამო წარმოდგენები, მუშაობდა კინო, ეწყობოდა კითხვა-პასუხის საღამოები, მუშაობდა სიმებიანი ორკესტრი, მოჭადრაკეთა წრე, ესწრებოდა ლიტერატურული და ანტირელიგიური გასამართლებანი. მუშაობდა წრეები: დრამატიული, სამხატვრო, ხეზე მომუშავეთა (გამოხერხვის), ფიზკულტურის და სამხედრო. წარმოებდა მასიური ხმამაღალი კითხვა.

მოეწყო ექსკურსიები: დასავლეთ საქართველოში, სამთავისის კომუნაში და დუშეთში, ერთდღიური გაფრენები რაიონის შესასწავლად: მცხეთა-ნატახტარში, არმაზში და სხ. გაფრენები და ექსკურსიები ეწყობოდა წინასწარ შედგენილი გეგმით. ექსკურსიის დროს ტარდებოდა საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობანიც. იდგმებოდა პიესები, ეწყობოდა ფიზკულტურული გამოსვლები, საუბრები და სხ. ვუშვებდით კედლის გაზეთს „ნორჩი ლენინელი" და ბავშებისათვის გამოწერილი იყო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი.

დ) ბავშთა თვითშრომა და ჩვევები: ბავშებში ტექნიკური ჩვევების გამოსამუშავებლად მუშაობდა სხვადასხვა წრე: მეჩექმეთა, მექანიკოსთა, ჭრა-კერვის, პურისმცხობელთა, ტურგალთა, თვითმსახურების პრინციპების განსახორციელებლად კი მუშაობდენ: სამხარეულოში, სასადილოში, ფურნეში, საყვავილეში, საფუტკრეში და სცვლიდენ ზაფხულში შვებულებაში მიმავალ თანამშრომლებს, რომელთა შემცვლელები არ მოგვიწვევია.

ე) მუშაობა სანიტარია-ჰიგიენაში: ხდებოდა დროგამოშვებით ბავშთა შემოწმება. მუშაობდა ახალშენის სანიტარული კომისია ექიმის ხელმძღვანელობით. ხელმძღვანელები ატარებდენ საუბრებს თავ-

თავის ჯგუფებში, კვირაში ერთხელ ბანაობდენ, საცვლებს იცვლიდენ კვირაში ერთხელ, ლოგინის თეთრეულობას კი—ორ კვირაში ერთხელ. შემოღებული იყო ჯგუფებში სანიტარული შემოწმების დღე. დროგამოშვებით ხდებოდა შეჯიბრი სისუფთავეში ცალკე კორპუსებს შორის.

შემოღებულ იქნა აუცილებლად შემოწმება ახალშენში ახლად მიღებულ ბავშვებისა. გატანილ იქნა ახალშენიდან კაპიტალური რემონტის გამო დაგროვილი ნაგავი.

ფილტვებით დაავადებული ბავშვები საზაფხულოდ გაიგზავნენ ცემში. გავუკეთეთ სერიოზული ოპერაცია ზოგიერთ ბავშს. ავუცერით ყვავილი. ზოგს მოვუწყვეთ ტალახის აბაზანები. ბავშები ზაფხულში სარგებლობდენ ცივი წყლით ახალშენის სარწყავი წყლის აუზებში.

3) **გასამხედროება და ინტერნაციონალური აღზრდა.** ახალშენთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთან ჩამოყალიბდა და დამაკმაყოფილებლად მუშაობდა სამხედრო წრე-ასეული. მოვაწყეთ თვითმოქმედების საღამო ტფილისის მთიელთა სახლის ბავშებთან ერთად. კავშირი გვქონდა სოხუმის საბავშო სახლის პიონერ-კოლექტივთან.

გასამხედროების და ინტერნაციონალური საკითხები აგრეთვე მუშავდებოდა სასკოლო პროგრამებთან დაკავშირებით.

ზ) **მუშაობა ოქტომბრელთ შორის:** ოქტომბრელთ შორის პიონერ ხაზით ტარდებოდა საუბრები და სხვადასხვა თამაშობა. რგოლის თავები უკითხავდენ ჟურნალ „პიონერიდან და ოქტომბრელიდან" მათთვის საინტერესო წერილებს. წარმოებდა მათთან მასიური ხმამაღალი კითხვა და საზაფხულოდ მიეცათ შესაფერისი დავალებანი.

ი) **დისციპლინა:** ბავშთა დისციპლინა ამჟამად დამაკმაყოფილებელია, ბავშთა ორგანიზაციებმა შესძლეს უდისციპლინობის ნაწილობრივ აღმოფხვრა: მოსპეს ნებადაურთველად წასვლა ტფილისში, ხეტიალი მტკვრის პირას, მეზობელ სადგურებზე გასეირნება და სხ. დამნაშავეებს მთელი წყება გაფრთხილების შემდეგ რიცხავდენ ორგანიზაციიდან. ხოლო გამოუსწორებელი ბავშები იგზავნებოდენ ბავშთა კომისიაში და მათ აწყობდენ სამუშაოზე.

ხელმძღვანელების მუშაობა: გარდა ზემოხსენებულ პიონერინსტრუქტორთან შეთანხმებული მუშაობისა, ხელმძღვანელები თვალყურს ადევნებდენ თავ-თავისი ჯგუფების მუშაობას. შეადგინეს ბავშთა პირადი საქმეები დახასიათებებით. აწარმოებდენ კვირაში ერთხელ აღმზრდელობითს საუბრებს: დისციპლინაზე, სანიტარია-ჰიგიენაზე, სახელმწიფო ქონების დაცვის აუცილებლობაზე, შრომით აღზრდაზე, ბუნებაზე და სხვა. მორიგეობდენ ახალშენის ნუსხის მიხედვით და, რო-

ორც ზემოთ აღვნიშნეთ. ხელმძღვანელობდენ სხვადასხვა წრეს, რის ირგვლივ აწარმოებდენ დღიურებს მუშაობის აღსარიცხავად, რომლის გეგმები მუშავდებოდა პედაგოგიურ წრეში.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მოვიყვანოთ ზოგიერთი წრის მუშაობა-საუბრების შინაარსი:

ლიტერატურული და ანტირელიგიური წრე: „გრგია უიშვილი"-ს (ეგ. ნინოშვილი) გარჩევა და საჯაროდ გასამართლება, ანტირელიგიური საუბარი—„არსებობდა თუ არა ქრისტე?, „ხევის ბევრი გოჩა"—ყაზბეგისა და მისი საჯარო გასამართლება, „ქრისტიანიზმი", და „ბუდიზმი"—მათი წარმოშობა და სიყალბე, „რისთვის არ არის საჭირო გლეხებისათვის რელიგია?", „შობა" და „აღდგომა", „ზაჰესი", ჩვენ ვართ ამ ეპოქის შვილები" — ინსცენირობა, „ქაჯანა", „კაცია მუნჯაძე"—გარჩევა წრეში, „ქრისტინე"—გარჩევა წრეში, მერე მისი გასამართლება საჯაროდ, „ზარმაცი პიონერი"—პიესის შედგენა ახალშენის ცხოვრებიდან და მისი გარევა. აკ. წერეთლის „გამზრდელი"-ს გარჩევა წრეში და სხვა.

დრამატიული წრე: წრეში წარმოებდა თეორიული და პრაქტიკული მუშაობა:

საუბრების საშუალებით ბავშები ეცნობოდენ თეატრს, დრამატიულ ნაწარმოებთა, კოსტიუმებისა და ქმედების შესრულებათა ისტორიას, მოწყობილობას, სუფლიორის და სხვათა მოვალეობას და საზოგადოდ თეატრის ხელოვნებას, პრაქტიკული საქმიანობა კი გამოიხატებოდა წარმოდგენების გამართვაში (აპრილიდან 1 ოქტომბრამდე სულ 11 წარმოდგენა), რასაც მოსამზადებლად დასჭირდა 53 დღის მუშაობა, დღეში 2—3 საათის რაოდენობით.

სამხატვრო წრე: შესრულებულია წრის მიერ სხვადასხვა ნახატი წყლის საღებავებით, ხოლო ზეთის საღებავებით ტილოზე დახატულია ბელადები: ლენინი, სტალინი ლუნაჩარსკი, წითელარმიელი და აგრეთვე სხვადასხვა პეიზაჟი. წარმოებდა ხატვა ბუნებიდან — ფანტაზიის, და ილუსტრაციის ხასიათის. სამხატვრო წრის მიერ მზადდებოდა პლაკატები, კედლის გაზეთის სათაურები. კლუბის სცენისათვის დახატულია დეკორაციები: ქართული სოფელი, ტყე, ქალაქის ბაღი და ოთახი. იგივე წრე დიდ აქტივობას იჩენდა ახალშენის მორთვაში.

ხეზე გამოხერხვის წრე: გაკეთებულია სხვადასხვა ლამაზი მხატვრული ჩარჩო, თაროები და სხვა. ამავე წრემ შეაკეთა კლუბის, სცენის და ახალშენის სასადილოს ინვენტარი: დეკორაციები, სკამები, მაგიდები, ფარდა და სხ.

მუსიკალური წრე: ახალშენში არსებობს სიმებიანი ორკესტრი, რომელიც საკმაოდ დიდ აქტივობას იჩენს. მან, გარდა ახალშენისა, მუსიკალური საღამოები მოაწყო მცხეთაში, ძეგვში და ტფილისში. წრის მიერ შესწავლილია სხვადასხვა მუსიკალური პიესა: ხალხური, რევოლუციონური, ქართული, რუსული და ევროპული, სულ ორმოცდაათამდე.

წარმოდგენისათვის ამზადებდა ხალხურ და რევოლუციონურ სიმღერებს და მუსიკალურ ნომრებს. პიესები ტარდებოდა სიმღერებით, მუსიკით, ცეკვა-თამაშით, რიტმული მოძრაობით და სხვა.

საუბრები.: „ტყის მნიშვნელობა"—რა მნიშვნელობა აქვს ტყეს ადამიანისათვის? ტყე, როგორც საწვავი და საშენი მასალა. იგი იფარავს ადამიანს ნიაღვრებისა და ქარისაგან. ტყე, როგორც წყლის მომცემი და სხ., თემასთან დაკავშირებით შემოდიოდა უამრავი შეკითხვა და ეწყობოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ბავშთა შორის.

მოსალოდნელი საფრთხე: შენიშნული იყო, რომ ახალშენის აღსაზრდელნი რკინის გზის ლიანდაგზე აწყობდენ რკინის ნაჭრებს, რის შემდეგ ადევნებდენ თვალს, რა მოუვიდოდა ლიანდაგზე დადებულ ნივთს მატარებლის ზედ გავლით. მოსალოდნელი იყო ასეთ თამაშობას და გართობას მოჰყოლოდა შედეგად უამრავი მსხვერპლი. რის გამო ჩატარებულ იქნა საუბარი აღნიშნული თამაშობის წინააღმდეგ. ბავშები დარწმუნდენ, რომ შესაძლებელია დაიმტვრეს მატარებელი და ბავშების თამაშობის მსხვერპლი შეიქნეს უამრავი უდანაშაულო ადამიანი, რის გამო სახიფათო თამაშობანი ლიანდაგზე შემცირდა. ქალებმა გადასწყვიტეს სასტიკი ყურადღება მიაქცეონ ვაჟთა ამგვარ გართობას და ამხილონ ისინი.

ჰიგიენა: ადამიანისათვის საჭიროა სისუფთავე, როგორც სიცოცხლის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა. განსხვავება ჰიგიენურად და არაჰიგიენურად აღზრდილ ბავშთა შორის. პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის გაუმჯობესება.

საჭიროა ბრძოლა ახალშენში ანტისანიტარიის წინააღმდეგ. მზის, წყლის და ჰაერის გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

„სახელმწიფო ქონების დაცვა და მომჭირნეობა".

რისთვის არის საჭირო სახელმწიფო ქონების მოვლა და პატრონობა. როგორ უნდა შევუწყოთ ხელი პროლეტარულ სახელმწიფოს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში. ბავშთა ახალშენი ვალდებულია გაუფრთხილდეს სახელმწიფო ქონებას.

„საზოგადოებრივი ცხოვრება და შრომითი აღზრდა".

როგორ ცხოვრობდენ პირველყოფილი ადამიანები. თანდათანობითი გადასვლა კოლექტიურ მუშაობაზე. კოლექტიური მუშაობის დანიშნულება და უპირატესობა. შრომითი აღზრდა. კოლექტიური და შრომითი აღზრდა ახელშენში.

ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნა, ზაფხულში ახალშენის თანამშრომელნი რომ წავლენ შვებულებაში, ბავშებმა შესცვალონ ისინი, რითაც ნაწილობრივ განახორციელებენ შრომითი აღზრდის პრინციპებს და გაატარებენ ერთგვარ მოჭირნეობას.

„ზნეობრივი აღზრდა". ზნეობა პირველყოფილი ადამიანისა და რით განსხვავდება ის თანამედროვე ადამიანის ზნეობისაგან. დანაშაული უზნეო ადამიანისა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე. როგორი უნდა იყოს ზნეობა ახალშენის აღსაზრდელთა შორის. რა ზიანი შეუძლია მიაყენოს უზნეო ბავშმა ახალშენს და როგორ უნდა ვიბრძოლოთ უზნეობის აღმოსაფხვრელად.

„ხელოვნება და ბუნება"—ხელოვნება და მისი წარმოშობის მოკლე ისტორია. ხელოვნების სხვადასხვაობა ბურჟუაზიულ და პროლეტარულ სახელმწიფოთა შორის. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხელოვნების უარყოფითი მხარეები. როგორი უნდა იყოს ხელოვნება პროლეტარულ სახელმწიფოში. ბუნების გავლენა ხელოვნების განვითარებაზე. ხელოვნების გარჩევა, შეგუება თანამედროვე ცხოვრების პირობებთან, რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ ბავშებში გავაძლიეროთ და გავაღრმაოთ მისწრაფება სილამაზისადმი და სხვა.

ყველა საუბრის ირგვლივ ბავშებისაგან შემოდიოდა უამრავი შეკითხვა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოჰქონდათ პრაქტიკული ხასიათის წინადადებები ახალშენის ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

ახალშენთან არსებობს იზოლატორი, რომელშიაც მუშაობს ექიმი, მისი თანაშემწე და მომვლელი ქალები. დროგამოშვებით ხდებოდა ბავშთა საერთო გასინჯვა, გარეგანი კი—ორ კვირაში ერთხელ. ჩატარებულ იქნა ბავშთა აცრა ყვავილის და ქუნთრუშის წინააღმდეგ. ამბულატორულად გატარდა 2011 ავადმყოფი, მწოლიარედ კი—1498 დღე. მძიმე ავადმყოფები (12) იგზავნებოდენ ტფილისში. ტფილისში იგზავნებოდენ აგრეთვე ბავშები ყურის, ყელის, თვალის, კანის და სხ. სპეციალისტებთან, ხოლო ფილტვებით სუსტი ბავშები გაიგზავნენ საზაფხულოდ ცემში. გარდა გრიპისა, იყო 3 შემთხვევა ჩუდყვავილისა და ერთი წითელასი; რაიმე მწვავე გადამდები სნეულება არ ჰქონიათ.

ბავშთა შორის არიან ქრონიკული ავადმყოფები: მალარიით—29, სასუნთქი ორგანოებით—8, სისხლნაკლულობით—25, სახსრების რევმატიზმით—2, ძვლის ჭლექით—2, კანის დაავადებით—2, სმენით—2, თირკმელებით—2, დანარჩენი ბავშები ჯანმრთელნი არიან.

ახალშენის თანამშრომელნი საკმაოდ არიან ჩაბმული სახოგადოებრივ-სასარგებლო შრომა-საქმიანობაში, მუშაობენ: პედწრეში, დრამწრეში, ახალშენის და ხე-ტყის ქარხნის კავშირის ბიუროში, ახალშენის, ხე-ტყის და სადგურის კედლის გაზეთში, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, მოჯამაგირეთა კომიტეტში, საბჭოს კომისიებში, კოოპერატივის გამგეობაში, კომუნისტური პარტიის და ა. ლ. კ. კ. უჯრედებში. ურთიერთ დამხმარე სალაროში, სამეურნეო-საკონტროლო კომისიაში, ქალთა სადელეგატო პუნქტში, რაიონის ფიზკულტურის საბჭოში. ადგილკომში, საკრედიტო ამხანაგობაში, გლეხკომში, რაიკომში, მე-3 ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელების საქმეში და სხვა, ამასთანავე ერთად ზრუნავდენ თავის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ჩამოყალიბებული იყო პედაგოგიური წრე. წრეში პედაგოგები მორიგეობით აკეთებდენ მოხსენებებს განახლებული სკოლის საკითხების შესახებ. აქვე გადასინჯულ იქნა ბუნებისმეტყველებაში, მხარეთმცოდნეობის საკითხები, აგრეთვე გრამატიკის სწავლების საკითი და სხ. წარმოებდა კოლექტიური კითხვა ჟურნალ „ახალ სკოლისაკენ"-ში მოთავსებული „დაუსწრებელი კურსები"-ს მასალებისა. გამოწერილი გვქონდა ჟურნალები: „ახალ სკოლისაკენ"—და „განათლების მუშაკი, ვარჩევდით განსახკომის მეთოდურ წერილებს და შეძლებისადა გვარად ვანხორციელებდით. ზოგიერთ პედაგოგიურ საკითხს ვამუშავებდით ახალშენის ტექნიკური პერსონალის თანადასწრებით.

ახალშენის მიზნების მისაღწევად ახალშენის თანამშრომელნი არ ზოგავენ თავის ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას, და უკეთუ ცენტრი და ადგილობრივი ორგანიზაციები ხელს შეგვიწყობენ, სულ ახლო მომავალში ცაკის ბავშთა კომისიის მცხეთის საბავშო ახალშენი გადაიქცევა მცხეთის რაიონში ერთ-ერთ მძლავრკულტურულ ორგანიზაციად სოციალისტური მშენებლობის კულტურული რევოლუციის ამოცანების გადასაწყვეტად.

ს. მელიქიშვილი

ახალშენის გამგე

ბ. ძიძიშვილი

მასწავლებელთა თვითგანვითარება წრეობრივი მუშაობის გზით.

სადისკუსიო.

ჩვენი ცხოვრების ძირიან-ფესვიანი გარდაქმნა — რასაც ჩვენ კულტურულ რევოლუციას ვუწოდებთ, გადაჭრით მოითხოვს ჩვენგან თვითგარდაქმნას, თვითგანახლება-თვითგადამზადებას, რომ ამით საშუალება გვექნეს აღვზარდოთ ახალი თაობა, ახალი ადამიანები, და დავაჩქაროთ ჩვენი ცხოვრების გარდაქმნის პროცესი. ვინ არის პირველ ყოვლისა ამ პროცესის მთავარი ფაქტორი. ცხადია, მასწავლებლობა. ამიტომ მასწავლებლობისთვის აუცილებელია სისტემატიური თვითგანვითარებითი-თვითგადამზადებითი მუშაობის წარმოება, თითოეული მასწავლებლის მიერ, განურჩევლად იმისა, ის ძველი თუ ახალი სკოლის მიერ არის აღზრდილი.

მასწავლებელი თვითონ უნდა იყოს ახალი ცხოვრებისთვის მომზადებული და მხოლოდ მაშინ შესძლებს აღზარდოს ისეთივე ჩვევები მოზარდ თაობაში, რაც საბჭოთა პედაგოგიკის უმთავრესი მოთხოვნილებაა.

როგორი გზით უნდა სწარმოებდეს ასეთი მუშაობა? დღევანდელ ჩვენს პირობებში ცნობილია ორი გზა: ინდივიდუალური და კოლექტიური. რომელს უნდა ვიეცეს უპირატესობა? ერთიც და მეორეც უნდა მივიჩნიოთ აუცილებელ საჭიროებად.

ამ წერილში შევეხები კოლექტიური გზით მუშაობას, ე. ი. წრეობრივ მუშაობას. როგორც მრავალ სხვა დარგში, არც ამ დარგში გვაქვს დიდი გამოცდილება დაგროვილი და საბოლოოდ მიღებული, პრაქტიკის მიერ დადასტურებული წესი. ამიტომ დავაყენებ ამ წერილს „სადისკუსიო"; საჭიროა დაინტერესებულ მასწავლებელთა მიერ თავისი შეხედულობის გამოთქმა და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა. ჯერ აქ აღვნიშნავ, თუ როგორი წრეობრივი მუშაობა აწარმოვა წასულ სამოსწავლო წელს ზესტაფონის მასწავლებლობამ, შემდეგ კი, — თუ როგორ არის განზრახული გადახალისდეს ეს მუშაობა მომავალი სასწავლო წლიდან.

ზესტაფონის მასწავლებლობა, ჰქონდა რა მტკიცედ შეგნებული ყოველივე ზემოაღნიშნული, დიდი ხანია აწარმოებს წრეობრივ მუშაობას სხვადასხვა ფორმით, ხოლო წ. წელს კი აწარმოვა შემდეგნაირად: ჩამოაყალიბა სულ 4 წრე:

1) ლენინიზმის — პოლიტიკაში. უკვე მომზადებულთათვის ამ მიმართულებით ცოდნის მეტად გაღრმავების მიზნით, 2) პოლიტ-პროფწრე, ე. ი.პირველი საფეხურის პოლიტწრე ორივე დარგის უმთავრესი საკითხების ზოგადად გაცნობა-შესწავლის მიზნით; 3) პედაგოგიური წრე — ბურჟ. და საბჭოთა პედაგოგიკის თეორიულ-პრაქტიკული საკითხების დაპირდაპირება-შესწავლის მიზნით; 4) ლიტწრე — ძველი და ახალი და აგრეთვე პროლეტარული მწერლობის შესასწავლად.

თითოეულ წრეს ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი კოლეგია და ჰქონდა სამეცადინოდ არჩეული ერთი დღე კვირაში. დღეები ისე იყო გაწესრიგებული, რომ ერთსა და იმავე დღეს არ ყოფილიყო ორი წრის მეცადინეობა, რათა ყველას ქონებოდა დასწრების საშუალება, სადაც კი სურდა. მეცადინეობის მეთოდი ასეთი იყო: თითოეული კოლეგიის მიერ შედგენილი და წრის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით ნაწილდებოდა თემები წრის წევრებს შორის, რომლებიც აკეთებდენ მოხსენებას რიგ-რიგობით; ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა ამ მხრივ პოლიტ-პროფწრე, სადაც პირველ ხანებში წრეში კითხვა წარმოებდა. თითოეულ წრეში მასწავლებლობა თავისი პირადი სურვილის მიხედვით ეწერებოდა.

ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ ცალკე დავახასიათებთ ჩვენი პედ. წრის ორგანიზაციას, რადგან ის აერთებდა არა მარტო მსურველს, არამედ მთელი ქალაქის მასწავლებლობას. ეს იყო ნაკარნახევი შემდეგი მოსაზრებით: თითოეული სკოლის პედ საბჭოს თავისი საკუთარი საწარმოო გეგმის მიხედვით უნდა ეწარმოებია კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუშაობა, ხოლო თუ კიდევ წრე მხოლოდ მსურველთაგან იქნებდა შემდგარი და დაიწყებდა ასეთსავე მუშაობას, ეს იქნებოდა დიდი პარალელიზმი და ძალთა უნაყოფოდ დაქსაქსვა ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც არის ზესტაფონი. ამის გამო თავი დავანებეთ ცილ-ცალკე პედსაბჭოში ასეთ მუშაობას და პედწრეში გავერთიანდით ყველა სკოლის მასწავლებელნი. საერთო სხდომაზე შევარჩიეთ დასამუშავებელი საკითხები და ამნაირად მუშაობა წლის ბოლომდე ვაწარმოეთ საერთო ძალ-ღონით. ეს გზა პრაქტიკამ გაამართლა და ძლიერ ნაყოფიერიც აღმოჩნდა. ახლა თვითკრიტიკის წესით მინდა აღვნიშნო ჩვენი მუშაობის დეფექტები და მომავალში მათი გამოსწორების ღონისძიებანი.

შევაჯამეთ რა წლის ბოლოს ჩატარებული მუშაობა, ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ მომავალი წლიდან გადავახალისოთ ის როგორც ორგანიზაციული, ისე მეთოდური მხრით (დეფექტები აღნუსხა და მომავალი მუშაობის გეგმა დაამუშავა წრეების კოლეგიათა წარმო-

ბადგენლების სხდომამ, მასწავლებელთა მთლიან კრებას ჯერ ის არ განუხილავს). როგორ დეფექტებს ვხედავთ? უმთავრესათ ორს: 1. სამეცადინო დღეების სიმრავლე: 4 დღე კვირაში, რასაც ემატება მასწავლ., კომუჯრედის, პედსაბჭოების და სხვადასხვა ორგანიზაციის აუცილებელი სხდომები, იმდენად ბევრი გამოდის, რომ ართმევს მსურველებს დასწრების საშუალებას, მიუხედავად იმ გულმოდგინეობისა და ინტერესისა, რომელსაც იჩენს თითოეული მასწავლებელი. 2. ჩვენი თანადროულობისათვის შეუფერებელი მეთოდი, ვინაიდან მხოლოდ მოსმენა იყო კოლექტიური, ისლო თვითონ საკითხების დამუშავება, რაც უმთავრესია, ვერ იყო კოლექტიური (საკითხის დამმუშავებელი იყვნენ გამოყოფილი მომხსენებელნი).

რომ ორივე ეს ნაკლი ავიცილოთ, აღნიშნული გეგმის მიხედვით მომავალში მუშაობას შემდეგი სახე მიეცემა: ჩამოყალიბებულ იქნება ერთი მთავარი წრე: პოლიტიკურ-პედაგოგიური წრე, რომელშიაც გაერთიანებული იქნება მთელი მასწავლებლობა. მისი ორგანიზაცია: არჩეულ იქნება ერთი მთავარი ხელმძღვანელი კოლეგია, რომელიც ამ ორი გაერთიანებული დარგის მიხედვით დაიყოფა ორ ქვე-კოლეგიად. მთელი მასწავლებლობის საერთო მეცადინეობა იქნება კვირაში მარტო ერთხელ, მაგალითად: პირველ კვირაში რომ იქნება პოლიტ. პროფწრის, მეორე კვირაში — პედაგოგიური და ა. შ.

ეს ერთი დღე ისეთი იქნება შერჩეული და საყოველთაოდ ცნობილი, რომ იმ დღეს არ იყოს არავითარი სხვა სხდომა.

რაც შეეხება დანარჩენ წრეების (ლიტ.-წრე, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და სხვა), მათ ექნებათ უფრო ვიწრო ხასიათი; მათ ჩამოაყალიბებენ თვითონ დაინტერესებული მასწავლებლები, თვითონვე ცალ-ცალკე გამოუყოფენ ხელმძღვანელ კოლეგიას, შეარჩევენ სამეცადინო დღეებს და საერთოდ იმუშავებენ, მთავარ კოლეგიასთან დაკავშირებულნი.

მეთოდური მხარე.

კოლექტიური იქნება არა მარტო მოსმენა, არამედ საკითხების დამუშავებაც. მასწავლებლები დაიყოფიან რგოლებად, 5 — 6 კაცის შემადგენლობით; თითოეულ რგოლს მიეცემა თემა, რომელსაც რგოლი კოლექტიურად დაამუშავებს, აწარმოებს აღრიცხვას. ვინ იმუშავა თემის ამა თუ იმ საკითხზე ან ვინ არ მიიღო მონაწილეობა და სხვა. ერთი მეთოდი საერთო იქნება ყველა წრისათვის.

ჩვენი არგუმენტაცია ამ წრეების (პოლიტ-პროფ-პედაგოგიური წრეების) გაერთიანების შესახებ: დღევანდელ ჩვენს პირობებში კარგი მასწავლებელი ნიშნავს არა მარტო ბუნების კარგად ამხსნელს;

რგორც ეს ძველად იყო (არავინ იფიქროს, რომ საგნების ცოდნას მნიშვნელობას არ ვაძლევდე — ეს თავისთავად იგულისხმება), არამედ ამასთან ერთად კარგ აღმზრდელს, და რადგან ჩვენს წინაშე მუდამ ასეთი კითხვა დგას: გახსოვს ვინ უნდა აღიზარდოს? — ახალი ცხოვრების მშენებლები, მებრძოლი რევოლუციონერები, სოციალისტ-ინტერნაციონალისტები", აქედან დასკვნა: ამას ვერ შესძლებს ვერცერთი, ვინც საზოგადოებრივ-პოლიტიკურად არ გადამზადდება, არ შეისწავლის მარქსიზმ-ლენინიზმს (ზოგად ხაზებში მაინც ჯერჯერობით, შემდეგ კი თანდათანობით დეტალურად). ამიტომ სავსებით მიზანშეუწონელია პოლიტწრის 2 საფეხურად დაყოფა, თუნდაც იმიტომ, რომ ცოდნის დონე ზოგის დაბალია, ზოგის კი მაღალი, თუ ეს საპატიოა, მაშინ ეს ხომ ასეა მეორე დარგშიაც, პედაგოგიურში, სადაც ყველას გაერთიანება ასე კარგი აღმოჩნდა. პირიქით, მეცადინეობა სწორეთ მით იქნება სახალისო და მიმზიდველი, რომ მონაწილეობას მიიღებს ყველა ძალა.

ე. მოკრჩილაძე

რა გვიშლის ხელს ქართული მართლწერის სათანადო სიმაღლეზე დაყენებაში.

დაწყებული, დაბალი ტიპის სკოლის მასწავლებლებიდან და დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებით, — ყველა გულისტკივილით აღნიშნავს ქართულ მართლწერის ცუდ მდგომარეობას.

თუ რამდენიმე წლის წინათ საჭირო იყო ბავშისათვის სუფთა, ლამაზი და გარკვეული ხელი, დღეს ეს მის წინაშე უფრო ძლიერად იჭრება, თითქმის ყოველ საგანთან დაკავშირებით უხდება ბავშს მოხსენების გაკეთება სხვადასხვა თემაზე. გარდა ამისა, ჩვენი სკოლის მოწაფე პატარა, მაგრამ აქტიური საზოგადოებრივი მომუშავეა, რის გამოც მას წერა მით უფრო ხშირად ესაჭიროება. ცუდი ხელი მას ამაზე დროსაც მეტს ახარჯვინებს და შედეგსაც ნაკლებს აძლევს, ზოგჯერ ეს გარემოება მუშაობის ხალისსაც უკარგავს და შრომის ნაყოფიერებაც მცირდება.

მე არ შევუდგები ჩვენს მოწაფეთა ცუდი დამწერლობის მიზეზის გამორკვევას, მხოლოდ აღვნიშნავ იმ მიზეზებს, რომელიც ხელს გვიშლის ქართული წერის სწორედ დაყენების საქმეში. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ქართული ენის სწორედ დაყენება არ შეუძლია

მარტო ენის მასწავლებელს. თუ ყოველი საგნის მასწავლებელი მას მხარში არ უდგას ამ საკითხში, ის ვერ შესძლებს სწორი მეტყველება და წერა ბავშის ჩვევად გადააქციოს. ენის გაკვეთილები საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ საკითხი გავარკვიოთ და ჩვევაზე მუშაობა დავიწყოთ, ხოლო განმტკიცება სწორი მეტყველებისა და წერის უნდა ხდებოდეს ბავშის მუშაობის ყოველ პროცესში სხვა მასწავლებელთა დახმარებით. სხვა მასწავლებელთა მუშაობა ამ დარგში უნდა წარმოადგენდეს ქართული ენის მასწავლებლის მიერ დაწყებული მუშაობის გაგრძელებას. ეს რომ მარტო ქართული ენის მასწავლებელმა იკისროს, ამისათვის კვირაში არამც თუ ოთხი საათი, 12 საათიც არ იკმარებდა.

რა თქმა უნდა, მასწავლებელნი დღეს ცდილობენ სათანადო სიმაღლეზე ენის დაყენებას, მაგრამ ზოგჯერ უნებლიეთ შეცდომებსაც უშვებენ, რასაც ყურადღება დროზე უნდა მიექცეს.

სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ან რომელიმე მასალის დამატების მიზნით, მასწავლებელი ხშირად მიმართავს ლექციურ სისტემას 7-წლედის ზედა ჯგუფებში, მოწაფეებს კი ავალებს კონსპექტების შედგენას. ბავშები სწერენ ძლიერ ჩქარა, რადგან ვერ ასწრებენ ნათქვამის ნელა ჩაწერას, იღლებიან, და ის მოწაფეებიც, რომლებსაც ლამაზი ხელი აქვთ, ეჩვევიან „ჯღაბნას". ასეთივე მახინჯად წერას განაგრძობს მოწაფე მაშინაც, როცა სამუშაოს წინ ასრულებს. მასწავლებლები ვერ ახერხებენ მოსწავლეთა მიერ დაწერილი კონსპექტების კონტროლს. ხშირად მოწაფის დაწერილი დამწერისთვისაც კი გაუგებარია.

ამას ორგვარი უარყოფითი შედეგი მოაქვს: ერთი ის, რომ მოწაფე ვერ ერკვევა, მაშასადამე, ვერ ითვისებს ჩაწერილ მასალას ან ითვისებს ცუდად, მეორეს მხრივ კი, რაც უფრო სამწუხაროა, ამახინჯებს მშვენიერ უნარს ლამაზი დამწერლობისას, სამწუხაროდ, ამას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, რის აღმოფხვრაც უდავოდ საჭირო და აუცილებელია.

სასურველია 7-წლედის მოწაფეობა სრულიად განთავისუფლდეს ყოველგვარი კონსპექტის წერისაგან, მაგრამ თუ რომელიმე საგნის ხასიათი, სახელმძღვანელოების უქონლობა ან სხვა რაიმე აუცილებლად მოითხოვს კონსპექტებს, ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა თვითონ უნდა დაამზადოს მოწაფეებისათვის კონსპექტი და მოწაფეობას მისცეს მისი დინჯად და ლამაზად გადაწერის საშუალება.

გარდა ამისა, მასწავლებელი, რომელიც კონსპექტებს აძლევს მოწაფეებს, აუცილებლად უნდა უწევდეს კონტროლს მოწაფეთა მიერ

ჩაწერილს. ის მოწაფეს დამწერლობის მხრივ იმავე მოთხოვნებს უნდა უყენებდეს, რასაც მოწაფეს ქართული ენის მასწავლებელი უყენებს. ამით ყოველი მასწავლებელი ორ დიდ საქმეს გააკეთებს: ერთის მხრივ, თავის საგანთან დაკავშირებულ მიზანს სწორედ შეასრულებს, ხოლო მეორეს მხრივ — დიდ დახმარებას გაუწევს ხელის გამოსასწორებლად მომუშავე ენის მასწავლებელს.

თუ ყოველი მასწავლებელი ჩვენს მოწაფეებს სისტემატიურად მოსთხოვს სწორედ, სუფთად და ლამაზად დაწერას, ჩვენი მოწაფეობა ამაშიაც ისევე წინ წაიწევს, როგორც მრავალ სხვა დარგში დაეტყო წინსვლა და გამარჯვება.

ე. ხერხეულიძე

პედაგოგიური მუშაობა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

ჟურნალ „პიონერის" მეცამეტე ნომერში შევხვდი ორიოდე თბილ სიტყვას მოზარდ მაყურებელთა თეატრზე.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი სიყვარულით იხსენიებს თეატრის ნორჩ მაყურებელთ.

სხვათა შორის ის დასძენს:

„დარბაზში სხვადასხვა ადგილას მოთავსებული გვყავდენ პედაგოგები, რომელნიც ბავშებზე მასიურ და ინდივიდუალურ დაკვირვებებს ახდენდენ". შეიძლება მკითხველი დაინტერესდეს, თუ რაში გამოიხატება ეს დაკვირვების პროცესი და რა მეთოდით სწარმოებს ის.

მე, როგორც ერთი იმ პედაგოგთაგანი, ნებას ვაძლევ ჩემ თავს, ცოტათი მაინც გავაშუქო ეს საკითხი და მოვიყვანო მოზარდ მაყურებლებზე სხვადასხვა პიესის მსვლელობის დროს საკუთარ დაკვირვებათა ნიმუშები.

წინასწარ მოკლედ შევეხები იმ ფრიად საინტერესო მეცნიერულ მოძრაობას, რომელიც საფუძვლად უდევს სწორეღ ზემოხსენებულ ფსიქო-ტექნიკურ დაკვირვებებს.

პედოლოგიით, ანუ ბავშის ფიზიკური და გონებრივი განვითარების ცხოვრების სხვადასხვა ფაზაში შესწავლით, დაინტერესებული არიან მთელი თანამედროვე მეცნიერები.

ბავშის შესწავლას და მისი აღზრდის სათანადო პირობებში ჩაყენების საკითხს, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული

საბჭოთა რესპუბლიკებში: დაარსებულია პედოლოგიური ინსტიტუტები, ფსიქო-ლაბარატორიები, რომელნიც ეწევიან თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას და ამზადებენ ხელმძღვანელებს. მოზარდთა თეატრი უნდა ჩაითვალოს ზემოხსენებული მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, როგორც უშუალო მხატვრულ-ესთეტიური აღმზრდელობითი სფერო.

ასეთი თეატრი უკვე დიდიხანია ჩამოყალიბდა რუსეთში, როგორც სკოლის ასაკის მოზარდთათვის, აგრეთვე სკოლის ასაკამდე; ჩვენში ეს თეატრი დაყოფილია—ქართულ, რუსულ და სომხურ სექტორებად.

უკვე მეორე წელია, რაც არსებობს ქართული სექტორი. მას ჰყავს მსახიობთა დასი, აქვს საკუთარი შენობა და ერთი მუდმივი ხელმძღვანელი პედაგოგი.

გარდა ამისა, ყველა საფეხურის სკოლებში არის ამორჩეული თეატრის დამხმარე უჯრედი, რომელშიც შედიან მასწავლებლები, მოწაფეები და მშობლები.

შეერთებული პედაგოგიური ძალა, დანაწილებულია სექციებად და თითოეული სექცია აწარმოებს დავალებულ მუშაობას: ფსიქო-ტექნიკურ დაკვირვებებს, პიესების ახსნა-განმარტებას, შთაბეჭდილებებით შევსებული კედლის გაზეთის გამოცემას და სხვა.

შეიძლება ეს პედაგოგიური მუშაობა ქართულ სექტორში არ არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მას აქვს დიდი მომავალი და მნიშვნელობა, როგორც ნორჩ მაყურებელთათვის, აგრეთვე თეატრის წინსვლისთვის. სასურველია, რაც შეიძლება უფრო დიდი მასა პედაგოგებისა, ფსიქოლოგებისა და ექიმებისა ჩაებას ამ მუშაობაში.

რადგანაც მკითხველს დავპირდი ფსიქო-ტექნიკური დაკვირვებების გაცნობას, ამიტომ შევეხები დაკვირვებების ცალ-ცალკე სახეებს:

1) მასიური;

2) ინდივიდუალური:

პირველი სახის დაკვირვებას, მიზნათ აქვს დასახული, მთელი საბავშო აუდიტორიის განცდების აღნიშვნა იმ დროს, როდესაც მეორე სახის დაკვირვება აშუქებს აღებული ინდივიდუმის—ბავშის—განცდებს.

მასიური დაკვირვების პროცესი შემდეგნაირად სწარმოებს:

დადგმული პიესა წინასწარ იყოფა მომენტებად, შემდეგ პიესის დაწყებისას, პედაგოგი განსაკუთრებული ადგილიდან თვალ-ყურს

ადევნებს აუდიტორიის მოქმედება-განცდებს და აღნიშნავს ამ რეაქციებს. აქ შეიძლება შევხვდეთ შემდეგნაირ რეაქციებს:

1. მხურვალე ტაში;
2. ეხმარებიან მსახიობს;
3. ცალ-ცალკე ამოძახილი;
4. შეშფოთებული მდგომარეობა;
5. დაჭიმული ყურადღება;
6. დუმილი;
7. სამართლიანი სიცილი;
8. საუბარი პიესის მიმდინარეობის შესახებ;
9. სიცილი გარეგნობაზე;
10. უადგილო სიცილი;
11. ფიქრი იმაზე, თუ რა იქნება შემდეგ;
12. სხვადასხვა მხარეს ცქერა;
13. მთქნარება;
14. უადგილო ლაპარაკი;
15. ოცნება გათავებაზე.

რომ დაკვირვების სურათი ნათლად გადაიშალოს მკითხველის წინაშე, მომყავს პიესა „გოჩაზე" 1928 წელს მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაკვირვების ნიმუში. ამასთანავე საჭიროა გაცნობა პიესის მომენტებისა, რომ ნათელი იყოს რეაქციის შეფარდება მომენტებთან.

I მოქმედება.

1. ვურამის ცქერა (თვალიერი) ბავშის თქმა „მოდიან"...
2. ვურამის შემოხტომა, ფეხის ტკენა და ტირილი.
3. ბავშების შემოსვლა, ვურამის ტირილი.
4. ბავშების შემოსვლა ჩხუბით.
5. სიკოს შემოსვლა ჩონგურით და დაძახება „დათო, დათო".
6. დათოს დაძახება „სიდონია, სიდონია" და მისი შემოსვლა.
7. ბავშების უთანხმოება და გოჩას თქმა „კარგა ლაზათიანად დავბეგვეთ".
8. გოჩას მიწევა საცემრად ვურამზე.
9. ვურამის დაჭყანვა, გოჩას მიერ ხელის კვრა და ტირილი.
10. გოჩას მიერ გაბედული თქმა „ქალაქს უნდა წავიდე".
11. გოჩას მოწყენა და ბავშების ფრთხილად მიპარვა.
12. გოჩას და ვურამის შერიგება.
13. ვურამის თქმა „მეტს აღარ წაგეჩხუბები" და კოცნა.

II მოქმედება.

1. ბავშების სიმღერა, გურამის უწესრიგო სიარული.
2. კამათი: თეთრები თუ წითლები სჯობიან.
3. გურამის თქმა „მე მინდა წითელი ვიყო“.
4. გურამის ტირილი და თქმა „ამის შემდეგ, წითელი ვიქნები“.
5. ბავშების ჩხუბი, ჭურჭლის დამტვრევა და სიდონიას გაჯავრება.
6. ბავშების სიმღერა და გურამის იერ სიმღერის გაჭიანურება.
7. სიკოს მიერ ამბის მიტანა, ვოჩას მიერ ფრთხილი მოსმენა.
8. მოღალატის შემოსვლა და გოჩას მიერ დამალვა.
9. გოჩას თქმა „ვაშა, ვაშა“, ტაში, ცეკვა გურამისა.
10. დაძახება: „გოჩა, ახადე სახურავი“.

III მოქმედება.

1. დამარცხების შესახებ ლაპარაკი და ხმაურზე მათი დამალვა.
2. იმერლის და მედუქნის შემოსვლა.
3. ერთმანეთისათვის შუბლის გასინჯვა.
4. მზადება ეკლესიაში შესასვლელად ლოცვისთვის.
5. გენერლისა და ჯარისკაცის გამოვარდნა და შეშინება.

მასსიფოი ლაკიერკვნა ჰიესა „გოჩასზე“ ბიბლიოლი 1929ჯ.



6. თქმა: „აყროყინდა ვირივით“.
7. მალე არ შეიძლება ინგლისელების მოსვლა?
8. გოჩას და გურამის შემოსვლა.
9. გოჩას დაჭერა, ურთიერთ შორის დავა გოჩას ცემაზე.
10. გოჩას მიერ ფეხების გარტყმა მუცელში.

11. გურამის თქმა: „შენ ხომ არა ხარ ძია სიკო“ (პერიოდულად).
12. გურამის დაგორება, ტირილი, თქმა „ხალხი არის“.
13. თოკის გაჭიმვა.
14. გურამის თქმა „არ გამოვიდენ“.
15. თოკში გაბმა.
16. გოჩას აბურთავება.
17. გურამის თქმა ტირილით: „მეც აბურთავება მინდა“.

შემდეგ, მივდივარ ინდივიდუალურ დაკვირვებაზე, მისი ნიმუშის მოყვანით. აქ ანკეტის სახით, შემდეგი საკითხებია გასაგები ბავშისგან, მხოლოდ ეს დაკითხვა უნდა სწარმოებდეს ძალადაუტანებლად და შეუმჩნევლად:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი?
2. ასაკი?
3. სქესი?
4. ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა?
5. სკოლის საფეხური, ჯგუფი?
6. როდის დაიწყო სწავლა?
7. რომელ საბავშო ორგანიზაციაში არის ჩაწერილი?
8. ბავშის გარეგნული და გონებრივი განვითარების თავისებურება?
9. მოქმედება, მოცემული პიესის რეაქციები მასზე.

ნიმუშები: ინდივიდუალური ფსიქო-ტექნიკური დაკვირვება, პიესა „ალტაელი რობინზონები“ (1928 წ.).

მოკლე შინაარსი პიესისა:

ალტაელი რობინზონები გადმოთარგმნილია რუსულიდან და გამოხატავს თანამედროვე ახალგაზდობის მისწრაფებებს: შრომის ინსტიტუტის მოწაფეები მიემგზავრებიან ალტაიში, რესპუბლიკის გაძლიერებისთვის მადნეულობის მოსაპოებლად. მოწინააღმდეგე ძალად გამოყვანილია დახავსებული გენერალი ბაბუკინი, ჭკუიდან გამოსული პორუჩიკი, თუთიყუში და მათი ამალა: ფანატიკოსი ჯარისკაცი.

ახალგაზრდა მოგზაურები, რა თქმა უნდა, დასთურგნიან ამ დახავსებულ ძალას, გაათავისუფლებენ მათგან დაჭერილ ამხანაგ ტანიას, აღმოსავლეთის ახალგაზრდების წარმომადგენელ ოირატ სარიბაშის დახმარებით და მიახწევენ თავის წადილს—აღმოაჩენენ ნავთის ნაკადს, ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორის გეგმის მიხედვით.

პიესის მოქმედება. მე-12 შრომის სკოლის მეორე ჯგუფის მოწაფეზე..... ბავში 9 წლისაა, ვაჟია; სწავლა დაუწყია 7 წლი-

სას; პიონერია, ორგანიზაციაში არის ჩაწერილი; მამა არა ჰყავს, დედა არ მსახურობს, ცხოვრობენ ბიძის ხარჯზე, ეკონომიურად შეიწროებულები არიან; ფიზიკურად—საშუალოდ განვითარებულია. სახე—არაჩვეულებრივად სერიოზული აქვს, ბავშვების ხმამაღლა სიცილი ეხამუშება, მეკითხება: „რას იცინიან?“ ძნელი გამოსარკვევია, ეს არანორმალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს, თუ ვერ ხვდება პიესის ორაზროვან კომიკურ ადგილებს. მაღლა თავის აწევით დიდი ინტერესით უყურებს სცენას. პროფესორის გარეგნობა აკვირვებს მას და „ბერს“ უწოდებს. პროფესორის სიტყვებს ვერ ხვდება. შროის ინსტიტუტის მოწაფეების განზრახვას—ალტაიაში წასვლაზე, ვერ იგებს და შეკითხვაზე მიპასუხებს „მგონი ქუთაისისკენ მიდიან თავთის საყიდლად“. ყმაწვილებს „ბიჭებს“ ეძახის და აღტაცებაში მოდის მათი ყურებით. განსაკუთრებით კი მოსწონს „ჩელდონი“ და შეკითხება: „როცა თავის სახლში წავა, ისევ ისეთი დიდი ცხვირი ექნება? მე შინაარსს განვუმარტავ, რაზედაც ის გულგრილად მეუბნება: „მე, მაგათ ლაპარაკს ყურს არ ვუგდებ, მე ვუყურებ, თუ როგორ იქცევიან“. ეტყობა, იგი მსახიობთა თამაშის შესახებ ამბობს.

მეორე მოქმედებაში რონოდის დეკორაციას ვერ იგებს და განმარტებას მთხოვს.

გარმონის თავისებურება და ხმა ახარებს, ყურს უგდებს და ამბობს: „ეს ძალიან მომწონს“.

მოტყუებით ნაყიდ რძეზე კითხულობს: „რას უზამენ რძეს, დალევენ?“

საზოგადოდ, არა აქვს გარკვეული, რომ ყოველივე ეს ხდება სცენაზე და არა ცხოვრებაში.

ბავშს პორუჩიკის ეშინია და „მილიციონერს“ ეძახის.

მესამე მოქმედებაში წარმართების ლოცვას ალტაიში ვერ ხვდება, მხოლოდ დეკორაციას მოჰყავს აღტაცებაში და ამბობს: „რა ლამაზი ტყეებია“.

სარიბაშის ლაპარაკზე იღიმება და „კიტაიას“ ეძახის—გენერალს და მის „ამალას“ კი—მაიმუნებს და მეკითხება: კიდევ გამოძვრებიან ისინი ხიდან?“

„ტანიას“ დაჭერას ძალიან დარდობს და გულდაწყვეტილი ამბობს: „იმ გოგოს მოჰკლავენ!“, მის განთავისუფლებაზე კი მხიარულად ტაშს შემოჰკრავს. უკანასკნელი მისი სიტყვებია: „მე ეს უფრო ჰომეწონა, ვიდრე „რობინ გუდი!“.

მაშასადამე, ამ დაკვირვებიდან პედაგოგს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ ამ ასაკისთვის ეს პიესა სავსებით გასაგები არ არის და პიესის შინაარსი გაუშუქებელი რჩება მისთვის.

ვ. ფაქაძე

კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის გადიდების დღე ვანის რაიონის სკოლებში.

უდავოა ის ჭეშმარიტება, რომ მასწავლებელთა მთლიანი მასის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია რომელიმე საზოგადოებრივი კამპანიის ჩატარება. არა ნაკლები როლის შესრულება შეუძლია ამა თუ იმ კამპანიის წესიერად ჩატარებაში მოსწავლე ახალგაზრდობას, განსაკუთრებით სოფლად. ისეთი კამპანია, როგორიც არის „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე" არ უნდა რჩებოდეს მასწავლებელთა და მოწაფეთა ყურადღების გარეშე.

ვანის რაიონი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კუთხეს, სადაც გავრცელებულია სხვადასხვა დარგი სოფლის მეურნეობისა (მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.). საჭიროა აღნიშნულ დარგთა ტექნიკურ ბაზარზე გადაყვანა, უკანასკნელს კი ესაჭიროება სოფლის მეურნეობის დარგში სათანადოდ მომზადებული ძალები. ამ მიზნით რაიონში არსებობს გლეხთა ახალგაზრდობის ორი სკოლა, ერთი სასოფლო-სამეურნერ სკოლა და ათწლედი სასოფლო-სამეურნეო განხრით. აღსანიშნავია სხვა სკოლებთან ერთად დასახელებული სკოლების მასწავლებელთა და მოწაფეთა მონაწილეობა კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის დღის ჩატარებაში.

ამ დღის წინ ყველა სკოლაში ეწყობოდა საუბრები კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელობაზე. ეს საუბრები მასწავლებელთა და უფროსი ჯგუფის მოსწავლეთა საშუალებით გადატანილ იქნა გლეხურ მოსახლეობაში. სკოლებმა გამოჰყვეს მიწის ნაკვეთები, რაზედაც დათესილ იქნა პური, რის მთელი მოსავალი გადადებულ იქნება კოლექტივიზაციის ფონდში.

რაიონის ცენტრში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ათწლედის შენობაში, რომელზედაც სასოფლო-სამეურნეო ტიპის და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებმა წარმოადგინეს თავისი ექსპონატები, რომლის საუკეთესო ხარისხის გამო სკოლები დაჯილდოვებულ იქნენ: დროშებით, სასოფლო-სამეურნეო იჯარებით და სხვა. ამ რიგად ჩვენმა სკოლებმა შესძლეს დაემტკიცებიათ გლეხური მოსახლეობის ფართო მასებისათვის, რომ ისინი ზრდიან სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მომზადებულ ძალებს, რომელნიც მიიღებენ უშუალო მონაწილეობას სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ფორმებში ჩამოსაყალიბებლად.

ნ. დავითაშვილი

ყაზბეგის თემში აუცილებელია გაიხსნას საბავშო ბაღი.

საზოგადოდ, როგორც ცნობილია, პედაგოგიკაში ფიზიკურ და სოციალურ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშის აღზრდა-განვითარებისთვის.

ადამიანი გარემოს შვილია, უკანასკნელი მასზე მრავალი გზით მოქმედობს, აძლევს ფორმას მის სულიერსა და ფიზიკურ ზრდას. ეს მით უმეტეს ბავშზე ითქმის, რომელიც განსაკუთრებული ნაზი და ელასტიური ფსიქიკით ხასიათდება. მარქსის დებულება სწორედ აქ მართლდება—„მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას. აღზრდის სოციალურ გარემოს სხვა მომენტებთან ერთად ოჯახი წარმოადგენს. ამ გარამოდან ბავში თანდათანობით იღებს ფსიქიურსა და კულტურულ სახეს.

ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდისთვის.

ბავშობაში შესისხორცებული მავნე ჩვეულებანი სიბერემდე მიჰყვება ადამიანს. ძველი ჩვეულებანი, რომელიც დარჩენილია თანამედროვე მოხევეთა ოჯახში ცუდ გავლენას ახდენს ბავშზე.

უკვე 9-10 წლის ბავშები მიდიან სკოლაში, რომელთაც არავითარი წინასწარი მომზადება არ მიუღიათ, გარდა იმ ჩვეულებებისა, რომელიც გვიან აღმოიფხვრება ხოლმე მათი გონებიდან.

ასეთ არანორმალურ პირობებში, ჩემი აზრით, აუცილებელია და მიზანშეწონილია საბავშო ბაღი, რომ შევძლოთ სრულიად ახალი ადამიანის მიღება.

ნინო დავითაშვილი
ყაზბეგის საბაზო სკოლის მასწ.

ა. საჯაია

ნიგვზიანის 7-წლედის ექსკურსია ქ. ტფილისში.

ერთი წელია, რაც გურიაში დაიწყო საწარმოო გეგმითა და ახალი პროგრამებით მუშაობა. ძველი პროგრამები არ ეყრდნობოდა იმ საკითხებს, რომლითაც სავსეა ახალი სოფელი და ქალაქი. რომ გავცნობოდით და შეგვესწავლა ქალაქის წარმოება, ამისათვის წლიურ საწარმოო გეგმაში შევიტანეთ — მოგვეწყო ექსკურსია ქ. ტფილისში. ზამთრიდანვე დავიწყეთ მატერიალური მხარის მოგვარება: 1) მოვაწყეთ საზოგადო მუშაობა — რონოდების დატვირთვა, 2) დავთე-

სეთ და გავაშენეთ ჩაის კულტურა, რომლისგანაც აღებული თანხა გადავრიცხეთ საექსკურსიო ფონდში, 3) ჭიათურის მარგანეცის ტრესტის წარმომადგენელმა ამხ. მოისწრაფეშვილმა თავისი ჯამაგირიდან დაუნიშნა ღარიბ მოწაფეებს 20 მან. თვეში და მისცა ერთდროული დახმარება 30 მანეთი, 4) სამაზრო განათლების განყოფილებამ მოგვცა 50 %-ანი ლიტერები. 6 ივნისს გავემგზავრეთ 41 კაცის შემადგენლობით სადგურ ჯუმათიდან საკუთარი რონოდით. ტფილისში განსახკომმა ბინა მოგვცა მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში. ექსკურსანტთა შემადგენლობა ასეთი იყო: 10 მასწავლებელი და 31 მოწაფე. ამათგან ტფილისი ნახული ჰქონდა 4 ამხანაგს. შედგენილი გეგმის მიხედვით დავიწყეთ წარმოება-დაწესებულებათა შესწავლა. ჩვენს გეგმაში შედიოდა შეგვესწავლა და დაგვეთვალიერებია:

1. მუზეუმები:
ა) ზოოლოგიური,
ბ) საისტორიო,
გ) პედაგოგიური,
დ) სასოფლო-სამეურნეო,
ე) სარევოლუციო,
1. ქართული სამხატვრო გალერეა,
3. ტრამვაის პარკი,
4. რკინის გზის მთავარი სახელოსნო,
5. რადიოსადგური (ნავთლულში),
6. ბოტანიკური ბაღი,
7. მთაწმინდა და ფუნიკულიორი,
8. გაზეთ „კომუნისტის“ სტამბა და რედაქცია,
9. სამხეცე,
10. „ზაჰესი“,
11. ქართლის სოფლის ოქროყანას შესწავლა — გურიის სოფელთან შედარების მიზნით,
12. ძმათა სასაფლაოს ნახვა,
13. სასოფლო-სამეურნეო სკოლა,
14. ჰაეროდრომი,
15. საქართველოს უნივერსიტეტი,
16. საბავშო ბაღები,
17. სამრეწველო ხასიათის ქარხნები.

აი მთავარი საკითხები, რაიც შედიოდა ჩვენს გეგმაში. ყველგან კარგად გვხვდებოდენ და გვაძლევდენ ახსნა-განმარტებას. გან-

საკუთრებული მადლობის ღირსია სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის გამგე და სარევოლუციო მუზეუმში ამხ. ნოე ხომლეთელი, რომელმაც ვრცლად ახსნა სურათებზე მუშათა კლასის ბრძოლის ისტორია. გან-

ნიგვზიანის ექსკურსანტთა ერთი ჯგუფი

სახკომმა და განკავშირის ც. გამგეობამ გაგვიწია დახმარება, როგორც საერთო ხელმძღვანელობით, ისე მატერიალურადაც.

ზემოხსენებული საკითხების დამუშავებას მოვუნდით 15 დღე.

სოციალისტური მშენებლობის სკოლაში შესწავლილი ყველა საკითხის თვალსაჩინო ახსნამ დიდი შედეგი მოგვცა.

ალექსანდრე საჯაია.
ნიგვზიანის 7-წლედის გამგე.

ა. კოპალეიშვილი

სამტრედიის ათწლიანი შრომის სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა.

სამტრედიის სკოლა 1928/39 სასწავლო წლის დასაწყისიდანვე შეუდგა გეგმიან მუშაობას, როგორც მოწაფეთა აკადემიური ცოდნის ამაღლებისა, ისე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის დარგში. ჩვენმა სკოლამ გასულ წელს ჩაატარა მთელი რიგი პრაქტიკული

მუშაობა საზოგადოებრივი მოქმედების ასპარეზზე, რომელთა შორის აღსანიშნავია: საზაფხულო თესვის, საბჭოთა საანგარიშო-საარჩევნო და უვარგისი რკინის ნაჭრების და ქაღალდის მაკულატურის შეგროვების კამპანია: ყველა ამ სამუშაოს შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთელი მოწაფეობა მოწაფეთა თვითორგანიზაციისა და სკოლის ადმინისტრაციის უშუალო ხელმძღვანელობით.

დავიწყოთ და შევჩერდეთ ცალ-ცალკე საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სკოლა არ არის სასოფლო-სამეურნეო განხრით და არც აგრონომი გვყავს, ამ კამპანიის ჩატარებისათვის მზადება მაინც დროულად დავიწყეთ. საკითხი წინასწარ იქნა დამუშავებული თვით მოწაფეთა შორის, რის შემდეგაც მოწაფეებმა გამოთქვეს სურვილი მასში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ და დახმარება გაეწიათ თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ქვრივობლებისა და წითელარმიელთა ოჯახებისათვის სათესლე სიმინდის მიწოდებით და საყანე ადგილის დახვნა-დათესვით, რაც მართლაც პირნათლად შეასრულეს. ამის შედეგად ის მივიღეთ, რომ მოწაფეების მიერ დახმარება გაეწია ზემოხსენებული კატეგორიის 18 ოჯახს. მათ მიეცათ დამხმარე საბჭოს მიერ შეძენილი სათესლე სიმინდი — 320 კილოგრამი — და მოუხნეს და დაუთესეს 43 ქცევა მიწა. საბჭოთა არჩევნებშიც მივიღეთ აქტიური მონაწილეობა. მოწაფეებმა თითქმის ყველა საარჩევნო უბანში დაარიგეს საარჩევნო უწყებები; არჩევნების დროს მოზრდილი მოწაფე ქალები დააგზავნენ უბნებში. ისინი რჩებოდენ ისეთ ოჯახებში ოჯახის მომვლელებად, სადაც რაიმე მიზეზის გამო დიასახლის ქალებს არ ეძლეოდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებშა. იყო ისეთი შემთხვევები, როცა ქალიშვილი მოწაფეები იტოვებდენ პატარა ბავშებს, უვლიდენ მათ, იხდიდენ ფეხსაცმელს და აცმევდენ ღარიბ დიასახლისის ქალებს, რომლებსაც ამით საშუალება ეძლეოდათ არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა.

ახლა შევჩერდეთ უკანასკნელ საკითხზე. ესაა ძველი უვარგისი რკინის ნაჭრების და ქაღალდის მაკულატურის შეგროვება. ამ ნიადაგზე მოეწყო მუშაობა შაბათობის სახით. შევაგროვეთ 13 ტონა რკინის ნაჭრები და დაახლოვებით 2 ტონა ქაღალდი. მთელ რიგ სამუშაოთა ჩატარებასთან ერთად ჩვენს მუშაობას თან ახლდა ნაკლიც, რომელიც სასწავლო წლის დამთავრებისას შეჯამებულ იქნა, რომ გამოსწორდეს 1929/20 სასწავლო წელს.

აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარებამ ჩვენი სკოლის ავტორიტეტი ᲗᲨრომელი მასის თვალში დიდად გაადიდა. მით დაინახა მშრომელმა

მასამ, რომ საბჭოთა შრომის სკოლა კი არ ზრდის ახალგაზრდობას ჩინოვნიკებად და ბიუროკრატებად, არამედ ისინი აქ იზრდებიან სოციალისტური მშენებლობის საუკეთესო მშენებლებად.

ა. კოპალეიშვილი.
სამტრედიის 10-წლედის მოწაფე.

ქრონიკა

ვემზადოთ საკავშირო პედაგოგიური გამოფენისათვის.

პირველი საკავშირო პედაგოგიური გამოფენა გაიხსნება ქ. ლენინგრადში 1930 წლის 1 ივლისს და გაგრძელდება 15 აგვისტომდე.

გამოფენის მოსამზადებლად და ჩასატარებლად შექმნილია სპეციალური საგამოფენო კომიტეტი, რომელშიაც შედიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო განათლების კომისარიატების, განათლების მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის, ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის, უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების, სატრანსპორტო განათლების ცენტრალური სამმართველოს, ლენინგრადის საოლქო განათლების განყოფილების და სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის წარმომადგენლები. საგამოფენო კომიტეტს თავმჯდომარეობს ნ. კ. კრუპსკაია.

გამოფენის საგანი არის დაწყებითი სწავლა-განათლების საქმე ჩვენში. აქ მოხდება დათვალიერება და ასახვა ჩვენი დაწყებითი სკოლის მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

გამოფენის საორიენტაციო პროგრამა, რომლის გაშლაზე მუშაობს დღეს თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის განსახკომი, შემდეგ საკითხებს შეიცავს:

I. დაწყებითი სკოლის მიზანდასახულობა და ტიპები, დაწყებითი სკოლის ადგილი სახალხო განათლების საერთო სისტემაში.

II. დაწყებითი განათლების ხელმძღვანელობა. მოსახლეობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა სკოლის მუშაობის და ხელმძღვანელობის საქმეში.

III. საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლება, სასკოლო ქსელი.

IV. სკოლა და ნაციონალური საკითხი. ინტერნაციონალური აღზრდა.

V. სკოლა და რელიგია. ანტირელიგიური მუშაობა სკოლაში.

VI. ქალ-ვაჟთა ერთად აღზრდა. მოსწავლე ქალთა პროცენტის გაზრდა.

VII. სასკოლო მუშაობის შინაარსი და მეთოდი.

1) სწავლების სისტემისა და მეთოდების საერთო დახასიათება.

2) დაწყებითი სკოლის პროგრამა.

3) კომპლექსური თემების დამუშავება ყველა წლისთვის.

4) ცალკე დისციპლინების შესწავლა:

ა) მშობლიური ენის,

ბ) ბუნების,

გ) მათემატიკის.

დ) საზოგადოებათმეცნიერების.

5) რევოლუციონური დღეები სკოლაში: ოქტომბრის რევოლუცია, 1 მაისი და სხვა.

6) ბავშვები და ლენინი.

7) სკოლის მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში (საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა).

8) სოფლის სკოლის აგრონომიზაციის და ქალაქის სკოლის პოლიტექნიზაციის საკითხები.

9) მოწაფეთა ჯანმრთელობის დაცვა და ფიზკულტურა.

10) მხატვრული აღზრდა.

11) სასკოლო ექსკურსიები.

12) საბავშო ლიტერატურა, სასკოლო ბიბლიოთეკები.

VIII. საბჭოთა სკოლის მოწაფე.

1) მოწაფეთა შემადგენლობა. სკოლის კლასიური სახე.

2) ღონისძიებანი მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის ბავშთა მოსაწყობად სკოლებში:

ა) უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით და დამხმარე ლიტერატურით.

ბ) უზრუნველყოფა ტანსაცმლით და ფეხსაცმლით.

გ) ცხელი საუზმე.

დ) მოწაფეთა უზრუნველყოფა ტრანსპორტით (სკოლაში მისვლა-მოსვლა).

3. მოწაფეთა თვითორგანიზაცია და ბავშთა კომუნისტური მოძრაობა.

4. სახელმძღვანელო და მასწავლებელი. პედაგოგიური ზემოქმედების ზომები (სასჯელი).

IX სახალხო მასწავლებელი.

1) მასწავლებელთა შემადგენლობა.

2) მასწავლებლის ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა.

3) მასწავლებელთა მომზადება და კვალიფიკაციის აწევა.

4) მასწავლებლის საზოგადოებრივი მუშაობა.

5) მასწავლებელი პროფესიონალურ მოძრაობაში.

X. დაწყებითი სკოლის ბიუჯეტი.

XI. სასკოლო შენობები და მათი მოწყობილობა.

გამოფენაზე თითოეულ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკას ექნება თავისი საკუთარი კუთხე — განყოფილება. საკუთარი განყოფილება ექნება აგრეთვე დათმობილი სატრანსპორტო განათლებას. ამგვარად, გამოფენას ექნება შემდეგი განყოფილებები: 1) საერთო; 2) რუსეთის ს. ფ. ს. რ.; 3) ბურიატ-მონგოლეთის ავტ. ს. ს. რ.; 4) დაღესტნის ავტ. ს. ს. რ.; 5) კაზაკისტანის ავტ. ს. ს. რ.; 6) კალმიკეთის ავტ. ს. ს. რ.; 7) კარელიის ავტ. ს. ს. რ.; 8) ყირგიზეთის ავტ. ს. ს. რ.; 9) ყირიმის ავტ. ს. ს. რ.; 10) ნახჭევნის ავტ. ს. ს. რ.; 11) გერმანიელების ავტ. ს. ს. რ, (ვოლგაზე); 12) ჩუვაშების ავტ. ს. ს. რ.; 13) იაკუტების ავტ. ს. ს. რ.; 14) უკრაინის ს. ს. რ. 15) მოლდავიის ავტ. ს. ს. რ.; 16) ბელორუსიის ს. ს. რ.; 17) საქართველოს ს. ს. რ.; 18) აფხაზეთის ს. ს. რ. 19) აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ.; 20) სომხეთის ს. ს. რ.; 21) აზერბაიჯანის ს. ს. რ.; 22) უზბეკისტანის ს. ს. რ.; 23) თურქმენისტანის ს. ს. რ.; 24) ტაჯიკების ს. ს. რ.; 25) სატრანსპორტო განათლების სამართველო.

ჩამოთვლილ განყოფილებათა გარდა მოწყობილი იქნება უცხოეთის განყოფილება, უცხოეთთან კულტურული კავშირი სრულიად საკავშირო საზოგადოების დახმარებით.

საკავშირო პედაგოგიური გამოფენა მოეწყობა ლენინგრადის მუშათა რაიონის ერთ-ერთი დიდი სკოლის შენობაში. ამ სკოლის შენობას (სკოლის № 20, ახალგაზრდათა კომინისტური ინტერნაციონალის სახელობის) ჩაეყარა საფუძველი 1927 წელს, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე, დასრულდება 1930 წელს). ეს შენობები დაიტევს 1200 მოწაფეს და ის წარმოადგენს ჩვენი კაპიტალურ მშენებლობის საუკეთესო ნიმუშს სახალხო განათლების დარგში. პედაგოგიური გამოფენის ძირითადი ექსპონატები უნდა იძლეოდენ სა-

ბჭოთა სკოლის ნამდვილ სახეს, უნდა ასახავდენ სკოლის მონაწილეობას სოციალისტურ აღმშენებლობაში, სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში, ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციის და პროპაგანდის, პურის დამზადების კამპანიებში, ანტირელიგიური მუშაობის ჩატარების საქმეში და სხვა.

გამოფენამ უნდა მოგვცეს ჩვენი სკოლის შინაარსის, ორგანიზაციის და მუშაობის მეთოდების სრული სურათი.

განზრახული გამოფენის წარმატებით მოწყობისა და ჩატარებისათვის აუცილებელი პირობაა — მასწავლებელთა და მოსწავლეთა ფართე და აქტიური მონაწილეობა ექსპონატების დამზადების საქმეში.

საკავშირო პედაგოგიური გამოფენა უნდა გადაიქცეს ქალაქისა და სოფლის სკოლების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების გრანდიოზულ დათვალიერებად.

დაუსწრებელი კურსები

პედაგოგიური თვითგანვითარებისათვის

№ 10

1929-30 წ.

მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდა კოლექტივში.

შესავალი.

წინა გაკვეთილში ჩვენ ვლაპარაკობდით საზოგადოებრივი ღირებულების შემცველი მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდის შესახებ.

ამ საკითხს ჩვენ ვიხილავდით ცალკეული პიროვნების ყოფაქცევაში გარკვევის მხრით. საკითხის ამგვარი გამოცალკევებული განხილვა ჩვენ გვჭირდებოდა იმისათვის, რომ გაგვეშალა და გამოგვემჟღავნებია ის მთავარი მომენტები, რომლებიდანაც შესდგება ეს მიზანშეწონილი ქცევა. მაგრამ საკითხის ასეთი გამოცალკევებული გაშუქება საკმარისი არ არის იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელთაც ჩვენს წინაშე ვაყენებთ.

რადგან ჩვენი მიზანია **საზოგადოებრივად სრულღირებული ადამიანის, ახალი კომუნისტური ცხოვრებისთვის მებრძოლისა და მშენებლის აღზრდა, ამიტომ უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა საერთოდ კოლექტიური ჩვევებისა და კოლექტივში** მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდას.

დამუშავების გეგმა.

მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდა (კოლექტივში ცხოვრებისა და კოლექტივში მუშაობის უნარის აღზრდა):

1. კოლექტიურად მიზნის დასახვის უნარის აღზრდა.
2. მუშაობის კოლექტიურად მოფიქრებისა და აგეგმვის უნარის აღზრდა.
3. სამუშაოს კოლექტიურად შესრულების უნარის აღზრდა.
4. შესრულებული სამუშაოს კოლექტიურად შეფასებისა და მიღწეულის განმტიცების უნარის აღზრდა.
5. საერთო კეთილდღეობით სარგებლობის ჩვევათა აღზრდა.

კოლექტიური ჩვევების აღზრდის თვალსაზრისით, სასწავლო მუ-

შაობისთვის ბავშების ორგანიზაცია:

1. საერთო ჯგუფური მუშაობა.
2. უჯრედებად, რგოლებად მუშაობა და სხვა.
3. ინდივიდუალური მუშაობა.

მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდა კოლექტივში. კოლექტივში მიზნის დასახვა.

როდესაც ვიხილავდით საკითხს ცალკეული პიროვნების მიერ მიზნის დასახვის შესახებ, ჩვენ მივუთითებდით ამ მომენტის სიძნელისა და ხანდახან დიდი სირთულის შესახებაც.

ჩვენ ვამბობდით, რომ ყველას არ შეუძლია მიზნის დასახვა, რომ არა ყოველი სურვილი და მისწრაფება წარმოადგენს იმას, რასაც ჩვენ მიზანს ვუწოდებთ, რომ მიზნის დასახვის უნარის არსებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იმ მისწრაფებათა და სურვილთა მთელი ჯამიდან, რომლითაც პიროვნება ამ მომენტში არის შეპყრობილი, მან შეიძლოს გამოჰყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი მისწრაფება და გახადოს ის მთავარ მისწრაფებად, რომელიც ყველა დანარჩენ მისწრაფებას იმორჩილებს.

ჩვენ ვამბობდით, რომ ეს არის ძნელი და რთული პროცესი, რომლის შესწავლაა საჭირო და რომელშიც ვარჯიში აუცილებელია.

როდესაც გადავდივართ საკითხზე **კოლექტივში** მიზნის დასახვის უნარისა და **კოლექტიურად** ამ მიზნის განხორციელებისაკენ მისწრაფების შესახებ, ამ პროცესის სიძნელე კიდევ უფრო იზრდება, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო იმ მისწრაფება-სურვილებთან, რომელნიც ერთ ადამიანში არსებობენ, არამედ ცალკე პიროვნებათა დიდი რიცხვის მისწრაფება-სურვილების მთელ ჯამთან.

კოლექტივში მიზნის დასახვა იმას ნიშნავს, რომ შეიძლოთ იმ მისწრაფებათა, მიდრეკილებათა და ტენდენციების მთელი ჯამიდან, რომლიდანაც კოლექტივის ცალკეულ წევრთა განწყობილება იქმნება, გამოჰყოთ ისეთი რამ, რაც შეიძლება მთელი კოლექტივის ქცევის მთავარ მხარედ გადაიქცეს.

აქიდან ცხადია, რომ ეს პროცესი **კოლეტქივში** უეჭველად უფრო რთული და უფრო ძნელია. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კოლექტივ-

ში მიზნის დაყენება არა თუ არ რთულდება, არამედ, წინააღმდეგ, ადვილდება.

ხანდახან კოლექტივიდან გამოცალკევებულსა და თავის ანაბარად მყოფ პიროვნებას უძნელდება განსაზღვრული მიზნის გამორჩევა; მან არ იცის, რომელ მისწრაფებას მისცეს უპირატესობა, არ იცის, რა ჰქნას, რას მოკიდოს ხელი და დაუსრულებელ ყოყმანს განიცდის. ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ კოლექტივში მოხვედრის შემდეგ კი იგივე პიროვნება უფრო ხშირად ადვილად ირჩევს თავისთვის მიზანს.

მაგრამ ჩვენ ყოველთვის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ კოლექტივთან არ გვაქვს საქმე; ხშირად წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ: კოლექტივი დგება ისეთ პირთა მთელი რიგიდან, რომელნიც ცალკე, დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელთაც თავისი **საკუთარი მიზნები** და მოქმედების გზები აქვთ. თუ პიროვნება ასეთ „კოლექტივში“ მოხვდა, ის კარგავს ამ თავის დამოუკიდებელ გზას და დეზორგანიზაციას განიცდის. თუ ჩვენ საქმე გაქვს არა კოლექტვთან, არამედ მრავალგვარი სხვადასხვა ინტერესის მქონე მასასთან, მაშინ ცალკეული პიროვნება მასში იკარგება და კარგავს იმ მიზნებს, რომელთაც მთავარი ადგილი ეჭირათ მის ყოფაქცევაში ასეთ „კოლექტივში“ შესვლის წინ. ახალ საწინააღმდეგო მისწრაფებებს შორის მოქცეული, ის კარგავს მიზანდასახულობას და დეზორგანიზაციას განიცდის.

აქიდან ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: თუ ჩვენ საქმე გვაქვს **ორგანიზაციულ** კოლექტივთან, მაშინ მიზნის დასახვა **ადვილდება**, მაგრამ თუ კოლექტივი არ არის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული და მასში შედიან სულ სხვადასხვაგვარი მიზანდასახულობის მქონე ადამიანები, მაშინ მიზნის წარმოშობის პროცესი კოლექტივის ყოველ წევრში არა თუ არ ადვილდება, არამედ, წინააღმდეგ, **ძნელდება**.

ახლა შევეხოთ მასწავლებლის **როლს**, რომელმაც უნდა აღზარდოს ბავშებში კოლექტიურად მიზნის დასახვის უნარი. ამ შემთხვევაში მასში უპირველეს ყოვლისა უნდა წარმოიშვას საკითხი, თუ როგორ იქნება უკეთესი შესაფერი კოლექტივის შედგენა. თუ კოლექტივი ცუდად იქნება შერჩეული და ბავშები მეტის-მეტად განსხვავებული იქნებიან ასაკის, განვითარებისა და ინტერესების მიხედვით, მასწავლებელს ძალიან გაუჭირდება ამ კოლექტივში მუშაობა და ბავშებში მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდა.

ამ შემთხვევაში მისი ამოცანა გაცილებით უფრო რთული იქნება, ვიდრე მაშინ, როდესაც კოლექტივის წევრებს საერთო ინტერესები, საერთო და გაბატონებული მისწრაფებები აქვთ. ეს ყველასათვის ცხადია.

ამგვარადვე ნათელია, რომ ჩვენ ვერაოდეს ვერ შევქმნით ისეთ პირობებს, რომ ყველა ბავში ერთისა და იმავე ასაკისა და ერთისა და იმავე ინტერესების მქონე იყოს. უმეტეს შემთხვევაში პედაგოგს საქმე აქვს ჭრელ კოლექტივთან, რომელშიც შედიან ბავშები მოსახლეობის სხვადასხვა ფენიდან, განვითარების სხვადასხვაგვარი დონით და სხვადასხვაგვარი ინტერესებით, ისე რომ პედაგოგს უხდება რთული ამოცანის გადაწყვეტა—ბავშების ამ ჭრელი მასის გაწრთვნა იმ მიმართულებით, რომ მათ შესძლონ საერთო მიზნების დასახვა.

რა უნდა ქნას პედაგოგმა ასეთ შემთხვევებში? იმგვარადვე, როგორც ცალკეულ პიროვნებაში მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდის დროს, პედაგოგის წინაშე ამ შემთხვევაშიც წამოიჭრება ამოცანა მიზნის მომწიფების ხელისშესაწყობად წინასწარი დიდი მუშაობის ჩატარების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ პედაგოგმა სტიმული უნდა მისცეს ბავშთა კოლექტივს მიზნის დასახვისაკენ, მან უნდა განამტკიცოს ბავშთა შესაფერი განწყობილება. ისე ოომ ამ განწყობილებამ მთავარი ადგილი დაიჭიროს. საქმე ის არის, რომ მიზანს დაგროვება, შეჯამება სჭირია.

მიზანი არავითარ შემთხვევაში ზევიდან არ უნდა იქნეს ნაკარნახევი. როცა ჩვენ ზევიდან ვაწოდებთ ბავშებს მიზანს, ჩვენ მხოლოდ შევაგონებთ მათ ამ მიზანს და არა ვასწავლით, რომ მათ თვითონ დაისახონ ის.

აქ ლაპარაკი არის არა მარტო იმის შესახებ, რომ მივიდეთ კოლექტივთან აღფრთოვანებული სიტყვით ან შეგონების რაიმე სხვა საშვალებით, გავიტაცოთ მასა და მივაწოდოთ მას საერთო მიზანი. მასიური გიპნოზის ან შეგონების ასეთი საშუალებით ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია საერთო მიზანი დავისახოთ და კოლექტივი ვაიძულოთ, რომ ჩვენ გამოგვყვეს, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება აღზრდის მთავარ ამოცანას, რადგან ჩვენი მიზანია—ბავშების გაწრთვნა **მიზნების დამოუკიდებლად დასახვაში და კოლექტივისთვის საერთო მიზნების დამოუკიდებლად დასახვის** სწავლება.

ამიტომ აქ უნდა იყოს გამოყენებული იგივე პრინციპი, რომელზედაც ჩვენ მივუთითებდით, როცა ინდივიდუალური აღზრდის შესახებ გვქონდა საუბარი.

სანამ მიზანს დავისახავდეთ, აუცილებელია წინასწარ დიდი მუშაობის ჩატარება, რომ აღნიშნული მიზანი თანდათან გროვდებოდეს, მთავარ ადგილს იჭერდეს და ნელ-ნელა ხდებოდეს მოცემული კოლექტივის საკუთარ მიზნად.

ზემოთ აღნიშნულ პირობებში რომელი გზა არის, მაშასადამე, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი? ასეთ პირობებში ყველაზე უფრო მიზანშეწონილ მეთოდად, უეჭველია, უნდა ჩაითვალოს ბავშთა აქტივის საშვალებით მოქმედება (ბავშთა აქტივის გამოყენება). პედაგოგმა დასაწყისში დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს ბავშების იმ ჯგუფთან, რომელიც ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო აქტიურად ჩაითვლება, ე. ი. რომლის შესახებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ყველა დანარჩენ ბავშზე უკეთ მიიღებს და შეითვისებს, როგორც საკუთარს, იმ მიზანს, რომლის დასახვა სასურველია. აქტივთან წინასწარი მუშაობის ჩატარების დროს, პედაგოგი უნდა ცდილობდეს, რომ ამ აქტივის გარშემო ნელ-ნელა შემოკრიბოს იმ ბავშების მთელი რიგი, რომელნიც მას თანაუგრძნობენ, და ასეთი გაფართოებული აქტივის საშუალებით უნდა მიაღწიოს მიზნის დასახვასა და მის თანდათანობით განხორციელებას ბავშთა მთელ კოლექტივში.

საერთოდ უნდა ითქვას შემდეგი: მიზნის კოლექტიურად დასახვის დროს ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ იმ უდიდეს გავლენას ბავშების ყოფაქცევაზე, რომელსაც წაბაძვა ახდენს.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინ, როდესაც კოლექტივში ზოგიერთ ყველაზე მეტად აქტიურ ბავშებში ერთი რაიმე მოვლენა მთავარ ადგილს იჭერს, — წაბაძვის კანონის მიხედვით ეს შესაფერ მოქმედებას იწვევს დანარჩენებშიც.

ჩვენ მხოლოდ იმისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ ეს წაბაძვა იყოს არა შემთხვევითი და წუთიერი, არამედ ბავშების მიერ შეგნებული და შეთვისებული; მათ საკმარისი დრო უნდა ჰქონდესთ მოიფიქრონ თავისი მოქმედება და მათ წაბაძვას უნდა ჰქონდეს არა გიპნოტიური, არამედ ასიმილაციის და საერთო იდეის გადამუშავების ხასიათი. წაბაძვის როლის შესახებ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქტივის როლი ბავშებში წაბაძვის გამოწვევის მხრით უფრო დასაფასებელია, ვიდრე თვით მასწავლებლის ასეთივე როლი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ დროს, როდესაც მასწავლებელი რაიმე წინადადებას აძლევს ბავშებს, ეს ნაკლებ გავლენას ახდენს მათზე და ნაკლებ შანსებს იძლევა იმისთვის, რომ დომინანტად გადაიქცეს, ვიდრე

იმ შემთხვევაში, როდესაც ეს წინადადება თვით ბავშებიდან გამომდინარეობს.

როდესაც რაიმე იდეას იძლევა თვით ბავშთა აქტივი, ის უფრო სწრაფად ვრცელდება და ადვილად იკიდებს ფეხს, ვიდრე მაშინ, როდესაც იგივე იდეა პედაგოგიდან გამომდინარეობს. უმეტეს შემთხვევაში ეს შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ თვით საუკეთესო პედაგოგის მიმართაც კი ბავშებს ერთგვარი თავდაცვითი რეფლექსი აქვთ იმდენად, რამდენადაც პედაგოგი ყოველთვის ისეთი პირი არის, რომელიც მათ ამა თუ იმ მოვალეობას აკისრებს, ან წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებს და სხვა. ბავშების მიმართ კი ეს რეფლექსი არ არსებობს.

ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ კოლექტივში მიზნების დასახვის შესახებ, როგორც ამისთვის საუკეთესო მეთოდზე, ჩვენ მივუთითებთ თვით ბავშებს შორის პატარ-პატარა საინიციატივო ჯგუფების მოწყობაზე.

ამ გზით ჩვენ ნელ-ნელა ვავარჯიშებთ ბავშთა კოლექტივს საერთო მიზნების დასახვაში.

ჩვენ მიერ ნათქვამი შეიძლება მოკლედ ამგვარად შევაჯამოთ.

მიზნის დასახვის უნარი—რთული და ძნელი საქმეა, რომელიც შესწავლილ უნდა იქნეს.

მიზნის დასახვის უნარი კოლექტივში—ზოგჯერ კიდევ უფრო რთულია.

თუ კოლექტივი ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულია, ეს ამოცანა ადვილდება. მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა აქვს **ბავშთა კოლექტივის სწორ ორგანიზაციას**.

კოლექტივში საერთო მიზნების დასახვის საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ბავშთა აქტივს იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგმა მასთან მოფიქრებული და გეგმიანი მუშაობა ჩაატარა.

კოლექტივში მუშაობის წინასწარ მოფიქრება და აგეგმვა.

რაში მდგომარეობს კოლექტივში მუშაობის წინასწარ მოფიქრებისა და აგეგმვის უნარი?

უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს ინდივიდუალური აგეგმვის ის ჩვევები, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით.

მაგრამ მარტო ეს ჩვევები, რასაკვირველია, საკმარისი არ არის.

ამას გარდა უნდა იყოს ჩვევები **ერთმანეთს შორის თავ-თავისი ფიქრებისა და განზრახვების მეგობრული გაზიარების, ამხანაგის დაკვირვებით მოსმენისა და რჩევის საშუალებით მისთვის დახმარების გაწევის, უნარი კოლექტიურად აზროვნებისა და სინდისიერად კამათის ისე, რომ სცნობდე საკუთარ შეცდომებსა და მოწინააღმდეგის აზრის სიმართლეს.** თუ ყველა ეს ჩვევა არის, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს კოლექტიურად მოფიქრებისა და აგეგმვის უნარი.

ახლა ვნახოთ, თუ რა არის ჩვენთვის საჭირო, რომ ეს თვისებები განვითარდეს. ვნახოთ, რა არის ბავშში მოცემული ამ თვისებათა გასავითარებლად.

ბავშის ქცევაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბავშში არის ასეთი თვისებების ჩანასახი.

ბავშს აქვს მოთხოვნილება და მისწრაფება გარშემო მყოფ ადამიანებს გაუზიაროს თავისი ფიქრები და გაიგოს მათი ფიქრები და გრძნობებიც. ყოველ ადამიანში, არა თუ ბავშში, არამედ მოზრდილშიც, უდიდესი მოთხოვნილება არის, რომ სხვა ადამიანებს გაუზიაროს თავისი ფიქრები და **უამბოს** მათ თავისი შთაბეჭდილებების შესახებ.

თავისი აზრებისა და განზრახვების მეორესათვის მეგობრულად გაზიარების უნარის განვითარება და განმტკიცება დიდად არის დამოკიდებული იმისაგან, თუ გარშემო მყოფ პირთ რამდენად შეუძლიათ ამხანაგის ყურადღებით მოსმენა და მისთვის რჩევის საშუალებით დახმარების გაწევა. თუ ეს უკანასკნელი თვისება კოლექტივში მოიპოება, ის, უეჭველია, ხელს შეუწყობს პირველი თვისების— ამხანაგური ურთიერთობის—შექმნისაკენ მისწრაფების განვითარებასაც და, წინააღმდეგ, თუ მეორე თვისება არ ექნა, თუ კოლექტივმა არ გამოიჩინა ყურადღება ამხანაგების მიერ გამოთქმული აზრებისადმი, მაშინ აგრეთვე ბავშებშიც ჩაიხშობა ერთმანეთისთვის მეგობრულად აზრების გაზიარების უნარიც.

ამხანაგების ყურადღებით მოსმენის უნარის აღზრდაში უდიდეს როლს, რასაკვირველია, **მასწავლებელი** თამაშობს. მასწავლებლის **კილო** და მისი საკუთარი **ყოფაქცევა** ამ მხრით უმეტეს შემთხვევაში **გადამწყვეტ** მომენტს წარმოადგენს. მასწავლებლის უნარს ბავშების ყურადღებით მოსმენის მხრით, ისე, რომ ადგილი არ ექნეს მის მიერ ბავშების დაცინვას მათ შემცდარ გამოთქმებზე, ან გადა-

მეტებულ აპლომბს, ავტორიტარულობასა და თავისი შეხედულებების ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუღებლად გამოხატვას, ყურადღებით მოკიდებას ყოველი ბავშის მიერ გამოთქმული აზრისადმი—ყველაფერ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობის უნარის შემუშავებაში და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, სრულიად არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა უნდა მოუწონოს მოწაფეს მის მიერ გამოთქმული ყოველი აზრი.

მასწავლებელმა უნდა მიუთითოს ბავშს მის შეცდომაზე, მაგრამ არა ავტორიტარულად, არა შეუცდომელი შეხედულების სახით, არამედ ფრთხილად, რჩევის სახით, ბავშთან ერთად საკითხის შესახებ მსჯელობის წესით. ამ გზით მასწავლებელი გაწრთვნის მოწაფეს სხვისი შეხედულებების მიუდგომელ და ობიექტურად მოსმენასა და მათ შესახებ მსჯელობაში. ასეთივე გაწრთვნა ავითარებს კოლექტიური აზროვნების და სინდისიერად კამათის უნარს, ისე რომ მოწაფე აღიარებდეს საკუთარ შეცდომებს და სცნობდეს მოწინააღმდეგის შეხედულების სიმართლეს.

ამნაირად პედაგოგის როლი ამ ჩვეის აღზრდის მხრით ძალიან დიდია. მაგრამ მარტო ეს, რასაკვირველია, საკმარისი არ არის.

საჭიროა მასწავლებელი სიფრთხილით მოეკიდოს არა მარტო თავის საკუთარ კილოს ბავშებთან ლაპარაკის დროს, არამედ ბავშების კილოსაც ერთმანეთის მიმართ. მან უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს ბავშების ერთმანეთის მიმართ უსამართლო მოპყრობის არცერთი შემთხვევა.

უნდა ითქვას, რომ თვით ბავშებში არის ერთი ძალიან დასაფასებელი თვისება, რომელიც შეიძლება ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ იქნეს,—ეს არის სამართლიანობის გრძნობა. თვით უსასტიკეს ბავშებში, რომელთაც უყვართ ამხანაგების დაცინვა, სამართლიანობის გრძნობა ძლიერია. მაგრამ ასეთ შემთხვევებში არ არის საჭირო უბრალო შემჩნევის გრძელ მასალად გადაქცევა, საკმარისია, თუ აღნიშნული იქნება ასეთი დამოკიდებულების მიუღებლობა და კიდევ უკეთესი იქნება, თუ მასწავლებელი შეიძლებს აქვე აჩვენოს მოწაფეებს, რომ არაფერი სასაცილო არ იყო იმაში, რაც მოწაფემ სთქვა და რაც მათ დასცინეს, რომ მის სიტყვებშიც იყო აზრი, მხოლოდ მან ვერ შესძლო თავისი აზრის გამოხატვა ისე, როგორც ეს

საჭირო იყო. ამ გზით პედაგოგი თანდათან გაწრთვნის და გაავარჯიშებს ბავშვებს კოლექტიურად აზროვნებასა და ამხანაგების აზრის კოლექტიურად შეფასებაში.

მასწავლებელი დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ბავშვების მიერ გამოხატულ აზრებს და მათი ნაკლის აღნიშვნასთან ერთად უნდა ეცადოს სწორედ ახსნას ის, რის თქმაც ბავშს უნდოდა. ამ გზით პედაგოგი გაავითარებს ბავშებში ყურადღებით მოპყრობის უნარს თავის საკუთარ და ამხანაგების მიერ გამოთქმულ აზრებისადმი და ამავე დროს შეაჩვევს მათ პატივისცემით და ობიექტურად მოეკიდონ ამხანაგების შეხედულებებს.

მოფიქრებულის კოლექტიურად შესრულება.

ახლა შევეხოთ მესამე მომენტს—დასახული მიზნის კოლექტიურად შესრულებას.

წინა დავალებებში ჩვენ შემდეგნაირად გამოვხატეთ ეს მომენტი: „ჩვენს ბავშებში უნდა აღვზარდოთ საერთო, კოლექტიური მოქმედებისადმი მიდრეკილება და უნარი: ა) **საერთო გადაწყვეტილების დამორჩილების, კოლექტივის მიერ დაკისრებული მოვალეობის ბოლომდე შესრულებისა და თავის სადარაჯოზე მტკიცედ დგომის უნარი; ბ) კოლექტიურ ცხოვრებასა და მუშაობის საერთო ტემპთან და რიტმთან შეგუების უნარი; გ) ამ საერთო რიტმსა და კოლექტივთან ერთად შეთანხმებული საერთო მოქმედებიდან გამოწვეული სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობის უნარი.**

ვნახოთ, რა აარის ბავშში, ასე ვთქვათ, მზად მოცემული, დაბადებიდან თანდაყოლილი ამ თვისებათა გასავითარებლად და გასამტკიცებლად.

უეჭველია, ბავშებში არის კოლექტიური ცხოვრებისა და მუშაობის საერთო ტემპისა და რიტმიდან გამოწვეული სიხარულის გრძნობის უნარი. ეს ის უნარია, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივად სოციალურ რეფლექსს, თანამშრომლობის რეფლექსს ვუწოდებთ. როგორც ბავშებს, ისე მოზრდილებს კოლექტიურ, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ მოქმედებაში მონაწილეობის მიღება დიდ სიამოვნებას ჰგვრის.

უეჭველია, რომ ბავშს სჩვევია კოლექტიური შრომით გამოწვეული სიხარული, ისე, როგორც თავისი აზრების მეორესთვის გაზიარების მოთხოვნილება.

მაგრამ ეს თვისებაც შეიძლება დაიხშოს გარემოს მრავალი ხელისშემშლელი პირობის გამო.

უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალისტური გარემო ქმნის ტორმოზების მთელ წყებას, რომელიც ნელ-ნელა ჰკლავს ძალიან დასაფასებელ სოციალურ თვისებებს.

შემდეგ, თუ ჩვენ გვიხდება არაორგანიზაციული მუშაობა, თუ ამა თუ იმ გარეშე პირობების გამო ირღვევა საერთო მუშაობის ტემპი და რიტმი და მუშაობის დროს ჩვენ წინააღმდეგობას ვგრძნობთ, მაშინ მიდრეკილება საერთო შეთანხმებული მუშაობისადმი იხშობა, კოლექტივისტური განწყობილება ირღვევა და იქმნება საწინააღმდეგო სურვილი: „სჯობს თვითონ გავაკეთო, სხვებიდან გამოცალკევებით“.

თუ ადამიანებს შეუძლიათ ერთად მუშაობა, ისე რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, მაშინ თითოეულს ურჩევნია კოლექტივში მუშაობა, მაგრამ თუ კოლექტივი ისეთ პირობებში ჩავაყენეთ, რომ მისი წევრები უთუოდ ხელს შეუშლიან ერთმანეთს, მაშინ უსათუოდ ზოგადი დასკვნა იქნება გამოტანილი, რომ არა თუ ამ პირობებში, არამედ საერთოდაც ინდივიდუალური მუშაობა უკეთესია კოლექტიურზე და ის უსიამოვნო გრძნობა, რომელიც ცუდ პირობებში მყოფ კოლექტივში მუშაობის დროს შეიქმნა, გადატანილი იქნება საერთოდ კოლექტიურ მუშაობაზე.

აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, თუ რამდენად დაკვირვებით უნდა იქნეს ჩვენ მიერ წინასწარ **მოფიქრებული** ბავშებთან მუშაობის მთელი პირობები და ორგანიზაცია იმისთვის, რომ არ ჩავახშოთ ბავშებში კოლექტიური შრომისადმი მიდრეკილება, არამედ შევამუშავოთ მათში კოლექტიური შრომის მოთხოვნილება და მივცეთ მათ შესაფერი ჩვევები.

ხშირად ჩვენ არ ვზრუნავთ იმის შესახებ, რომ უზრუნველვყოთ ბავშებთან მუშაობის საუკეთესო პირობები; არ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ როგორ მოვათავსებთ ბავშებს, როგორი ხელსაწყოები ექნება თითოეულ მათგანს და სხვა, ეს კი მეტისმეტად უარყოფითად მოქმედობს არა თუ ამა თუ იმ კონკრეტული მუშაობის შედეგებზე, არამედ ბავშებში კოლექტივისტური ჩვევების აღზრდაზედაც.

როდესაც ჩვენ ბავშებს კოლექტიური მუშაობის ხელისშემშლელ პირობებში ვაყენებთ, ამით ბავშებში **ანტიკოლექტივისტურ** საძირკველს ვამტკიცებთ და ვქმნით მათში **ანტიკოლექტივისტურ**

განწყობილებასა და ანტიკოლექტივისტურ ჩვევებს. ამიტომ ჯგუფში ბავშვების **შრომის ორგანიზაციის წინასწარ მოფიქრებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს**.

რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი პირობები ცუდია, სკოლაში სივიწროვეა, მერხები ბავშვების შესაფერი არ არის, მოწყობილობა არასაკმარისია, და ამის გამო ჩვენი ამოცანაც მეტისმეტად რთულია. მაგრამ ყველაფერი ეს კიდევ უფრო მეტი კატეგორიულობით აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს ბავშვების მუშაობის ორგანიზაციის განსაკუთრებული დაკვირვებით მოფიქრების შესახებ.

მეორე დასკვნა: აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით კოლექტიური საერთო მოქმედების უნარის აღზრდის შესახებ იმ ტორმოზების მოსპობის საშუალებით, რომელნიც ხელს უშლიან ამ უნარის განვითარებას, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ იმით დავკმაყოფილდეთ, რომ ამ ტორმოზებს მოვსპობთ. უნდა აღვიაროთ, რომ თუ ჩვენ ვიცით, რომ ბავშვებში არის მიდრეკილება კოლექტიური შრომისადმი, ამავე დროს ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებს აქვთ აგრეთვე **ინდივიდუალისტური** და **ეგოისტური მიდრეკილებებიც**. ჩვენი გარემოს საერთო პირობები და ცხოვრების ფორმები ძალიან ბევრ ეგოისტურ ჩვევას ავითარებს, ამიტომ მხოლოდ იმაზე დამყარება, რომ კოლექტივისტური რეფლექსი ჩვენს ბავშვებს დაბადებიდან თანდაყოლილი აქვთ და ჩვენს მიერ საჭიროა მხოლოდ ორგანიზაციის ნაკლის თავიდან აცილება,— არ შეიძლება. აუცილებელია, რომ ჩვენ ყოველმხრივ გავამტკიცოთ ეს რეფლექსი. ამიტომ ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ იმისკენ, რომ ბავშვები არა თუ არ გრძნობდენ კოლექტიური მუშაობის გამო რაიმე უხერხულობას, არამედ, პირიქით, რაც შეიძლება ხშირად იგრძნონ მის გამო დიდი სიხარული და ძალ-ღონის ზრდა.

ეს გამომდინარეობს აღზრდის მთავარი კანონიდან, რომლის არსებითი მხარე შემდეგში მდგომარეობს: თუ გვინდა ბავშში განვითარდეს ესა თუ ის ჩვევა, იმისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ მოქმედება, რომელიც ამ ჩვევის მიღებასთან არის დაკავშირებული, დაუკავშირდეს აგრეთვე შედეგებით სრული დაკმაყოფილების გრძნობას. ამიტომ ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა ‘ოვიფიქროთ ბავშვების კოლექტიური მუშაობისა და განსაკუთრებით საზოგადოებრივი მუშაობის კამპანიების ყველა მომენტი. ამ უკანასკნელებს განსაკუთრებით დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. ყოველი ისეთი კამპანია, რო-

მელიც წარმოადგენს კოლექტიური შრომის აქტს და რომელსაც თან სდევს კმყოფილებისა და ძალ-ღონის ზრდის ძლიერი გრძნობა, ამაგრებს კოლექტივისტური აღზრდის საძირკველს, რაც აძლიერებს და განამტკიცებს კოლექტივისტურ ჩვევებს.

მაგრამ ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კამპანია ისეა მოწყობილი, რომ ის არ გამოიწვევს ბავშებში უარყოფით განცდებს. თუ კამპანიები ცუდად არის მოწყობილი, მაშინ მათ მიერ მოყენებული ვნება უდიდესია—მათ გამო ირღვევა კოლექტივისტური ჩვევები.

ამნაირად, მხოლოდ საერთო სასკოლო მუშაობისა და ცხოვრების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ბავშებში იწვევს სიხარულსა და უდიდეს კმაყოფილებას, მოგვცემს ჩვენ იმ საფუძველს, რომლიდანაც შეიძლება უკვე ვადასვლა შემდეგი უფრო რთული თვისების—**საერთო გადაწყვეტილების დამორჩილების, დაკისრებული მოვალეობის ბოლომდე შესრულებისა და თავის სადარაჯოზე მტკიცედ დგომის უნარის—აღზრდისაკენ.**

ჩვენ ვამბობდით, რომ ბავშებში კოლექტივიზმის გრძნობის გასავითარებლად აუცილებელია კოლექტიური მოქმედებისათვის კარგად მოწყობილი პირობების არსებობა. მაგრამ ასეთი პირობები ყოველთვის არ არის. პირიქით, ძალიან ხშირად ინდივიდუუმს მოეთხოვება, რომ ის შეეგუოს ხელისშემშლელ პირობებში ჩასატარებელი მუშაობის საერთო ტემპს, რომ მან გამოიჩინოს თავისი თავის შეზღუდვის უნარი. თუ ჩვენ მოვინდომებთ მოწაფის გაწრთვნას მხოლოდ კოლექტიური მუშაობის წინასწარ კარგად მოწყობილი მომენტების საშუალებით, მაშინ ჩვენ ვერ განვავითარებთ ბავშებში იმ თვისებებს, რომელნიც აუცილებელია, როცა გარემო დაბრკოლებებს ქმნის საერთო მუშაობისათვის და ამა თუ იმ კონფლიქტებს იწვევს. ამიტომ საჭიროა ბავშების გავარჯიშება საერთო **კოლექტიური ცხოვრების შეგუებაში** არა მარტო მაშინ, როდესაც ეს მუშაობა კარგად არის მოწყობილი, არამედ მაშინაც, როცა ამ მუშაობაში **სიძნელეთა მთელი რიგია.**

კოლექტივში მიღებული ჩვევების კოლექტიური შეფასება, განმტკიცება და შენარჩუნება.

ახლა გადავიდეთ საკითხზე კოლექტიური შეფასების შესახებ. ჯერ ჩვენ ისევ უნდა გავიმეოროთ ის, რაც ჩვენ მიერ იყო ნათქვამი,

როცა ვლაპარაკობდით კოლექტიური მოფიქრებისა და აგეგმვის შესახებ. სწორედ ის თვისებები, რომელიც საჭიროა კოლექტიური მოფიქრებისა და აგეგმვისათვის, საჭიროა აგრეთვე კოლექტიური შეფასებისათვისაც.

საჭიროა ერთმანეთისთვის აზრებისა და განზრახვების მეგობრულად გაზიარების, ამხანაგის ყურადღებით მოსმენისა და მისთვის რჩევით დახმარების გაწევის, კოლექტიური აზროვნებისა და სინდისიერად კამათის უნარი, ისე, რომ აღიარებდე საკუთარ შეცდომებსა და სცნობდე სიმართლეს მოწინააღმდეგის შეხედულებებში.

თუ ეს თვისებები სათანადოდ იქნა განვითარებული, მაშინ შეიქმნება ნიადაგი ჩატარებული მუშაობის სწორედ, კოლექტიურად შეფასებისათვისაც.

მიღწეულის განმტკიცების შესახებ ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით ინდივიდუალური მიღწევების თვალსაზრისით, ე. ი. ამა თუ იმ დარგში ყოველი ცალკე ინდივიდის მიღწევების შესახებ. ნათქვამი, ცხადია, შეეხება აგრეთვე კოლექტიურ მიღწევებსაც. ჩვენ თუ შევიგნეთ, რომ შევასრულეთ ამა თუ იმ საჭირო საქმეების მთელი რიგი, მაგალითად, დავრგეთ ხეები ამა თუ იმ ადგილას, ამა თუ იმ სივრცეზე,—მაშინ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს საზოგადოებრივი მიღწევა შევინარჩუნოთ.

ჩვენ უნდა ვიკისროთ პასუხისმგებლობა ამ ნერგებზე თვალყურის დევნების, მათი მოვლისა და მათი შენარჩუნების შესახებ.

საჭიროა, რომ კოლექტივის მთელი მიღწევები ყოველთვის მისი ყურადღების ცენტრში იყოს მოქცეული, რომ ის სათუთად ეკიდებოდეს და უფრთხილდებოდეს მათ.

ჩვენს აღმზრდელობით მუშაობაში უთუოდ უნდა დაეთმოს ადგილი ვარჯიშს მიღწეულის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის. ჩვენს პრაქტიკაში კი ამას ვერ ვხედავთ.

სანამ საქმე საერთო მიზნის მიღწევას ეხება, კოლექტივს ერთი იდეა აერთიანებს, ის სოლიდარულად მიისწრაფვის ამ მიზნის მიღწევისაკენ. მაგრამ როცა მიზანი მიღწეულია და მიღწეული ისეთ რამედ იქცევა, რასაც დაცვა და გაფრთხილება სჭირდება, აქ ხშირად იწყება მოვალეობის თავზე მოხვევა მეორესათვის. „დეე, მან გააკეთოს, მე მოვალე არ ვარ, მე არ ვარ დამნაშავე“—ეს არის ჩვეულებრივი გამოთქმები, რომელიც ამ დროს გაისმის. საქმე თავის პატრონს კარგავს. ბავშებს ყოფნით ძალა, რომ ყველამ ერთად აი-

ღოს პოზიციები, მაგრამ როცა პოზიცია აღებულია, ყველა ცდილობს მეორეს მოახვიოს თავზე მისი შენარჩუნების მოვალეობა.

ეს მთავარი ბოროტებაა, რომელიც ხელს უშლის სოციალისტურ მშენებლობასაც.

უნდა იქნეს შემუშავებული დამოკიდებულება კოლექტიური ღირებულებისადმი, როგორც საკუთარი ღირებულებისადმი და უნდა ვისწავლოთ საზოგადოებრივი ღირებულების ისე დაცვა და გაფრთხილება, როგოც ინდივიდუალურის.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს თვისებები განვავითაროთ? უეჭველია, რომ, თუ ჩვენ ზემოთ აღნიშნულ თვისებებს სწორედ განვავითარებთ, თუ ბავშებს ხელს შევუწყობთ იმ მხრით, რომ მათში მუდამ იყოს ასოციაციები კოლექტიური შრომის და კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობებს შორის, თუ ჩვენ ვავარჯიშებთ ბავშების უნარს მიზნის კოლექტიურად დასახვისა და მიღწეულის კოლექტიურად შეფასებაში,—ყველაფერი ეს იქნება საფუძველი მიღწეულის მიმართ სწორი დამოკიდებულების შექმნისათვის.

რამდენად უფრო ძლიერად იქნება თითოეული ბავში კოლექტივთან დაკავშირებული, რამდენად უფრო მეტად შეიძლებს ის კოლექტიური მიღწევის დაფასებას, მით უფრო კარგად და სათუთად მოეპყრობა ის ამ საზოგადოებრივ ღირებულებებს.

კოლექტივის საერთო კეთილდღეობის გამოყენების უნარი.

ჩვენ დავამთავრეთ ყველა იმ მომენტის განხილვა, რომელნიც განსაზღვრავენ კოლექტიურად მუშაობის უნარს. გადავიდეთ უკანასკნელ მომენტზე—საერთო კეთილდღეობით სარგებლობის უნარზე, ან იმაზე, რასაც კეთილ ანუ კარგ მეზობლობას უწოდებენ. ისე ჩანს, თითქოს ეს მომენტი ყველა დანარჩენზე მარტივი და ადვილი იყოს. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. როგორც დაკვირვება და ყოველდღიური გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე უფრო ძნელი კოლექტიური ცხოვრების დროს სწორედ კეთილმეზობლობა არის.

ბევრი ჩვენთაგანი კოლექტივში არ მუშაობს ცუდად, მაგრამ ძალიან ცოტა არის ჩვენს შორის, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში მართლაც კარგი მეზობელი იყოს. ჩვენ გვგონია, რომ ეს შემდეგით აიხსნება: კოლექტიური მუშაობა წარმოადგენს შეგნებაში გარკვევით გამოხატულ აქტს. ჩვენ აქტიურად ვისახავთ მიზანს, შეგნებულად ვგეგმავთ მას და შეგნებულად ვცდილობთ მის მიღევას.

ადამიანი ამ შემთხვევაში სავსებით იმყოფება შეგნებული მოქმედების სფეროში და თუ მასში კოლექტივისტური მიმართულება არის შექმნილი, ის არ იქნება ცუდი მუშაკი. კეთილმეზობლობისათვის კი მარტო შეგნებული მოქმედება საკმარისი არ არის. აქ, უმთავრესად, საჭიროა სათანადო ჩვევები.

საერთო კეთილდღეობით სარგებლობის უნარის აღზრდა ძალიან ძნელი ამოცანაა.

აქ, ცხადია, ჩვენ განსაკუთრებით უნდა მივიღოთ მხედველობაში ადვილიდან ძნელზე გადასვლის პრინციპი.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით დაკვირვებით უნდა მოვიფიქროთ ჩვენს სკოლაში მუშაობის პირობები, რომ ნაკლები იქნეს კონფლიქტები, და ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული ბავშების მუშაობის ორგანიზაციის სიძნელეთა გასაადვილებლად.

ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კეთილმეზობლობის უნარის აღზრდას უნდა შევუდგეთ ბავშებში კოლექტივისტური განწყობილების მხოლოდ საკმარისად განვითარების, საერთო შრომისა და საერთო მიზანდასახულობის საფუძველზე.

აქ ჩვენ უნდა გვახსოვდეს აღზრდის მთავარი პირობა: ბავშებში ამა თუ იმ ჩვევის აღზრდისა და განმტკიცებისათვის აუცილებელია, რომ ამ ჩვევაში ხშირი ვარჯიში დაკავშირებული იყოს კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობასთან.

სწავლის დროს ბავშების ორგანიზაცია კოლექტივისტურ ჩვევათა აღზრდის თვალსაზრისით.

წინა თავებში ვლაპარაკობდით ბავშთა კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციის დაკვირვებით მოფიქრების აუცილებლობის შესახებ.

ჩვენ ვამბობდით, რომ ბავშთა კოლექტიური მუშაობის სწორი ორგანიზაცია მთავარი საშუალებაა ბავშებისათვის კოლექტივისტური ჩვევების მისაცემად.

ახლა უნდა გამოვარკვიოთ ზოგადად მაინც კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციის ყველაზე უფრო რაციონალური ფორმები.

ამ მიზნით გავარჩიოთ აქ სასწავლო მუშაობის დროს ბავშთა ორგანიზაციის ფორმები. შემდეგ ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ ბავშთა სასკოლო ორგანიზაციების საკითხს მთლიანად.

ბავშთა ორგანიზაციის რა და რა ფორმა არსებობს ჩვენს პრაქტიკაში სასწავლო მუშაობის დროს? ჩვენი გამოცდილების მი-

ხედვით ჯერჯერობით ვარჩევთ ბავშთა ორგანიზაციის სამ მთავარ სახეს: **მთელი ჯგუფის მუშაობა, უჯრედებად ან რგოლებად მუშაობა და ინდივიდუალური მუშაობა.** ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ რა განსხვავება არის ბავშთა მუშაობის ორგანიზაციის აღნიშნულ ფორმებს შორის და თუ როგორია ამ ფორმების გამოყენების მთავარი მომენტები.

საერთო ჯგუფური მუშაობა.

ვნახოთ, რას წარმოადგენს ეგრეთწოდებული ფრონტალური მუშაობა ან მთელი ჯგუფის ერთად მუშაობა და რაში მდგომარეობს სასწავლო მუშაობის დროს ბავშთა ორგანიზაციის ამ სახის განსხვავებული მხარეები. პირველი, რაც თვალში გვხვდება ჯგუფური მუშაობის დროს, ეს არის **მასიურობა** მუშაობაში—ბავშთა დიდი კოლექტივი ერთსა და იმავე საკითხზე მუშაობს. ეს მასიურობა წარმოადგენს **სტიმულის** მომცემ ძლიერ ფაქტორს. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ჩვენგანისთვის მასის განწყობილებას და რაც უფრო დიდია მასა, რომელიც ჩვენ გარს გვარტყია, ის მით უფრო ძლიერად მოქმედობს ჩვენზე, როგორც სტიმულის მომცემი წამქეზებელი ფაქტორი.

ჯგუფური მუშაობის დიდი ღირსება სწორედ იმაშია, რომ ის წამაქეზებლად მოქმედობს.

არის კიდევ ერთი დადებითი მხარე ჯგუფის ერთად მუშაობაში—ეს არის ბავშთა **გამომჟღავნების დიდი მრავალფეროვნება.** თუ ჯგუფი მთლიანად მუშაობს, ჯგუფები კი ხშირად ძალიან ჭრელია, და მასწავლებელს შეუძლია მუშაობის საინტერესოდ ჩატარება და ბავშების გამოწვევა საკუთარი აზრის გამოხატვაზე,—მაშინ ბავშების მიერ გამოხატული აზრები დიდ ჯგუფში ხშირად ძალიან მრავალფეროვანია, რასაც პატარა ჯგუფში ვერ ვხედავთ.

ეს არის მთელი ჯგუფის მუშაობის მეორე განსხვავებული დადებითი მხარე.

მაგრამ მხოლოდ ამით არ განისაზღვრება ამ ფორმის არსებითი მხარე. არის **უარყოფითი მხარეების** მთელი რიგი, რომელიც საერთო ჯგუფურ მუშაობას ახასიათებს.

რამდენადაც დიდ ჯგუფში ბავშების შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია და არიან ბავშები მუშაობის სხვადასხვა ტემპით, სხვადასხვა აქტივობითა და ნიჭით, მუშაობის სხვადასხვა უნარით, სხვადასხვა

ინტერესებითა და საერთო მიმართულებით, იმდენად აუცილებელია საერთო ჯგუფური მუშაობიდან ცალკეული ბავშვების ჩამოშორება.

იმდენად, რამდენადაც თითოეული ბავში საერთო ჯგუფურ მუშაობაში უნდა შეეგუოს საერთო რიტმს, და მასწავლებელს კი უხდება წინ წასვლა ბავშვების საშუალო ჯგუფთან შეფარდებით,—საუკეთესო ბავშვები იძულებული არიან **ჩამოშორდენ** ამ მუშაობას, რადგან მათი **ინტერესი კლებულობს**; რჩებიან ჯგუფს აგრეთვე სუსტი ბავშვებიც, რადგან ისინი ვერ ასწრებენ საშუალო ბავშვებთან ერთად მუშაობას.

საკმარისია ყურადღების ოდნავი შესუსტება, რომ ისინი კალაპოტიდან ამოვარდენ და მუშაობის მიმართულება დაკარგონ.

პრაქტიკაში ბავშვების ასეთ ჩამორჩენას საერთო ჯგუფური მუშაობიდან საკმაოდ ხშირად ვხვდებით. ეს არის საერთო ჯგუფური მუშაობის პირველი მთავარი უარყოფითი მხარე.

მაგრამ საქმე მარტო ის არ არის, რომ ცალკეული ბავშვები რჩებიან საერთო მუშაობას,—კიდევ უფრო უარესია ის, რომ ბავშვების ჩამორჩენა ხშირად **აბრკოლებს მათ განვითარებას** და ჰკლავს მათში შემდეგი მუშაობისათვის საჭირო უნარს.

ისინი არა თუ აკლდებიან ამა თუ იმ გაკვეთილს ან ჩამორჩებიან მუშაობის ამა თუ იმ მხარეს, არამედ მათი ჩამორჩენა საერთოდ გავლენას ახდენს მათ წინსვლაზე. ხშირად ასეთი მოვლენა ხდება: მასწავლებელი კითხვას აყენებს. იწევა ხელები საპასუხოდ. პირველ რიგში ხელს სწევენ ის ბავშვები, რომელნიც სწრაფად აზროვნებენ. ბავშვებმა ასწიეს ხელები. მასწავლებელი ეკითხება რამდენიმე მოწაფეს. რადგან მას არ აქვს დრო, რომ ყველა მოწაფეს შეეკითხოს, ვინც ხელი ასწია, ამიტომ ის კითხავს მხოლოდ რამდენიმეს და შემდეგ ვადადის სხვა საკითხზე. სანამ მასწავლებელი უსმენდა გამოძახებულ ბავშვებს, იმათ, ვისაც მუშაობის ნელი ტემპი ახასიათებს, ძლივს მოაწრეს შეკითხვის აზრის გაგება.

მასწავლებელი გადადის შემდეგ საკითხზე, და ნელი აზროვნების ბავშვები ძლივს ასწრებენ, რომ მისდიონ მას. ძალიან ხშირად ნელა მოაზროვნე მოწაფე კარგად და ღრმად აზროვნებს. მაგრამ ჯგუფი უკვე სხვა საკითხზე გადავიდა, და მისი აზრიც ბრკოლდება და იჩქმალება. მას სთხოვენ მეორე საკითხზე გადასვლას და ისევ, სანამ ის მოასწრებდეს ამ ახალი საკითხის მოფიქრებას და გაგებას, ჯგუფი უკვე მესამე საკითხზე ვადადის. ეს—რაც შეეხება ნელა მოაზროვნე ბავშვებს.

სწრაფად მოაზროვნე ბავშებისთვის ასეთი მუშაობა სხვა მხრით არის მავნებელი.

ჩვენ საშუალება არ გვაქვს თითოეულ ბავშს მოვუსმინოთ. ბავშების დიდი ჯგუფი სწევს ხელებს. ჩვენ ვიძახებთ ერთ-ორს და სწორი პასუხის შემდეგ ყველა დაბლა უშვებს ხელს. ამნაირად, ექსპანსიურ, სწრაფად აღგზნების უნარის მქონე ბავშებს ჩვენ საპასუხო რეაქციის საშუალებას არ ვაძლევთ და ამით ვაბრკოლებთ მათი აზროვნების პროცესს.

შემდეგი შეკითხვების დროს ბავშები უკვე აღარ სწევენ ხელებს და გაკვეთილის დასაწყისში ცოცხალი და აქტიური ბავშები გაკვეთილის ბოლოს პასიური ხდებიან. ზოგიერთი მასწავლებელი ამის საწინააღმდეგო საშუალებას პოულობს იმ მხრით, რომ ერთად (გუნდად) პასუხის ნებას აძლევს მოწაფეებს.

ასეთი პასუხები თავისთავად არ არის დასაფასებელი, მასწავლებელს არ შეუძლია ეს პასუხები ჯგუფის მუშაობად ჩათვალოს, რადგან მან არ იცის, სახელდობრ ვინ უპასუხა და როგორ. ერთად პასუხს მხოლოდ იმ მხრით აქვს ერთგვარი პედაგოგიური მნიშვნელობა, რომ ის ამშვიდებს რამდენიმე აღგზნებულ ბავშს, რომელთაც საშუალება არ მიეცათ თავისი აზრი გამოეთქვათ. რამდენიმე ასეთი პასუხის შემდეგ ბავშები ისევ აქტიური ხდებიან.

ასეთია საერთო ჯგუფური მუშაობის უარყოფითი მხარეები.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: მუშაობის საერთო ჯგუფურ ორგანიზაციას განსაკუთრებით მაშინ აქვს ფასი, როდესაც ჩვენ მიზნად ვისახავთ ბავშების **აღგზნებას, მათთვის სტიმულის მიცემას, მათ განწყობას** განსაკუთრებით მიზნის დასახვისა და პირველი აგეგმვის მომენტებში, როდესაც საჭიროა ვანწყობილების შექმნა, ემოციის გამოწვევა, მათში აზრების მთელი რიგის დატრიალება, რომ ბავშებმა შეიძლონ ამ აზრების მოფიქრება და მათ გარშემო თავისი ყურადღების შემოკრება გარკვეული მიზანდასახულობის მიმართულებით.

ასეთი მომენტებისათვის საერთო ჯგუფური მუშაობა, როგორც ძლიერი სტიმულის მომცემი, დასაფასებელია. მაგრამ როცა საჭიროა საკითხის დამუშავებასა და რომელიმე პრაქტიკული ამოცანის შესრულებაზე გადასვლა, მაშინ საერთო ჯგუფური მუშაობა არა თუ სასარგებლო, არამედ მავნებელიც არის. საერთო ჯგუფურ მუშაობაში არ ხდება საკითხის **ნამდვილი, ჭეშმარიტი დამუშავება**. პრაქტი-

კოსი მასწავლებლები ამას ძალიან ხშირად გრძნობენ. ჩვენ ვიცით, რომ საერთო ჯგუფური მუშაობა უფრო საინტერესოა, ვიდრე გაკვეთილების ინდივიდუალურად მომზადება, რაც ძველ სკოლაში ხდებოდა. ვიცით, რომ ასეთი მუშაობა იწვევს სკოლის გამოცოცხლებას, სტიმულს აძლევს ბავშვებს, ისე რომ სკოლა ცოცხალ ორგანიზმად იქცევა. მაგრამ ასეთი მუშაობის პრაქტიკული შედეგები ხშირად მეტის-მეტად უმნიშვნელოა.

როცა ჩვენ ვცდილობთ აღვრიცხოთ, თუ ცალკეულმა ბავშვებმა რა დაამუშავეს და რა შეითვისეს საერთო ჯგუფური მუშაობის დასასრულს, ჩვენ ვხვდებით მეტის-მეტად ზოგად წარმოდგენას, ფაქტიური რეალური შედეგებისა და მკაფიო, ნათელი წარმოდგენების გარეშე. ჩვენი სკოლის პრაქტიკაში განსაკუთრებით დგას საკითხი ცოდნის განმტკიცების შესახებ, რადგან საერთო ჯგუფური მუშაობის მიღებული მეთოდი ცოდნის სრული განმტკიცებისათვის ნაკლებად მიზანშეწონილია.

მუშაობის შედეგების აღსარიცხავად ჯგუფურ მუშაობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მიზნის დასახვისა და აგეგმვის დროს.

მუშაობის აღრიცხვის დროს მნიშვნელოვანია შეფასების მომენტი, მუშაობის ღირებულების აღიარება. თუ მუშაობა მთელი ჯგუფის მიერ ცნობილია, როგორც კარგი და მთელი ჯგუფის მიერ არის აღნიშნული მისი დადებითი მხარეები და მოწაფეთა მიღწევები, ასეთ შეფასებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა ყოველი ბავშისათვის ცალკე, რამდენადაც ბავშებს ფართო კოლექტივმა მისცა სტიმული მუშაობისათვის და ბუნებრივად მისი მუშაობის შემფასებლადაც ის გამოდის. ამნაირად ფართო კოლექტივს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ის ერთი მხრით არის შემკვეთი, სოციალურ შეკვეთას აძლევს ცალკე ბავშებს და იმავე დროს არის შესრულებული სამუშაოს ღირსეული მიმღები და შემფასებელი.

ამ მხრით ჯგუფურ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის აძლევს ბავშებს კოლექტივისტურ ჩვევებს და აჩვევს მათ საზოგადოებრივი დავალების მიღებას და ამ დავალების შესრულების შესახებ კოლექტივის წინაშე ანგარიშის ჩაბარებას. აქამდე ჩვენ ვიხილავდით საკითხს მუშაობის ფორმის მიზანშეწონილობის შესახებ მაქსიმალური შედეგების მიღების თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს საკითხი ორგანიზაციის ფორმის ღირებუ-

ლების შესახებ კოლექტივისტური ჩვევების განსავითარებლად. აქ ჩვენ უნდა ვთქვათ, **რომ კოლექტივისტური ჩვევების შეძენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კოლექტიური მუშაობა მაქსიმალურად პროდუქტიულია**, როცა მოწაფეები გრძნობენ, რომ **კოლექტივში მუშაობა უფრო კარგია**, ვიდრე მის გარეშე მუშაობა, რომ მოცემული ფორმა ყველაზე უფრო **მიზანშეწონილი და დასაფასებელია**. მოწაფეები მხოლოდ მაშინ უფრო და უფრო აფასებენ კოლექტივს და მაშინ უფრო მეტად მტკიცდება კოლექტივისადმი დადებითი დამოკიდებულება და სათანადო ჩვევათა მთელი რიგი.

კოლექტივისტური ჩვევების აღზრდა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ინდივიდი **კოლექტივში აქტიურია**; თუ ინდივიდი იძულებულია კოლექტივში პასიური იყოს, მასში იზრდება ანტიკოლექტივისტური ჩვევები. სხვანაირად რომ ვთქვათ, კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციის მხოლოდ ის ფორმა არის მართლაც მიზანშეწონილი კოლექტივისტური ჩვევების აღზრდის თვალსაზრისით, რომელიც იწვევს ცალკე ბავშვების მაქსიმალურ აქტივობას. თუ ბავშთა კოლექტიური მუშიობის ორგანიზაციის ფორმა მათ პასივობას იწვევს, ამით ის იწვევს ბავშებში ანტიკოლექტივისტური ჩვევების აღზრდას. ბავში, **რომელიც იძულებულია პასიური იყოს კოლექტივში, უთუოდ შეიძულებს ამ კოლექტივს**, რამდენადაც პასიური მდგომარეობა უსიამოვნო მდგომარეობა არის, რომელიც აწუხებს მას. ამიტომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საერთო ჯგუფური მუშაობის ფორმების გამოყენების შესახებ, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მუშაობის გამოყენება მხოლოდ მაშინ შევვიძლია, თუ ის მაქსიმალურ აქტივობას იწვევს ბავშებში.

როდესაც საჭიროა გავიტაცოთ ბავშები, ვაგრძნობინოთ მათ მხატვრული ნაწარმოები, ჩავატაროთ პირველი შესავალი საუბარი, როცა ბავშს შეუძლია კიდეც ისმინოს და იმავე ოროს აქტიურიც იყოს, მაშინ საერთო ჯგუფურ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ როდესაც ჩვენ გადავდივართ დეტალურ დამუშავებასა და შესრულებაზე, მაშინ, როგორც უკვე ვთქვით ზევით, მთელი ჯგუფის მიერ მოცემული დავალების დეტალურად დამუშავება ხშირად იწვევს ბავშების მთელი რიგის ჩამორჩენას, ჩამოშორებას მუშაობიდან, მათი მუშაობის შეჩერებას და, მაშასადამე, ზრდის მათში ანტიკოლექტივისტურ ჩვევებს, იწვევს უკმაყოფილებას კოლექტიური მუშაობისადმი, რაც ბავშებს შემდეგ ყოველ კოლექტიურ მუშაობაზე საერთოდ გადააქვთ.

პატარა რგოლებად მუშაობა.

ახლა გადავიდეთ მუშაობის ორგანიზაციის შემდეგ ფორმაზე —უჯრედებად, რგოლებად მუშაობის ფორმაზე.

უჯრედულ-რგოლებრივი მუშაობის სახით ჩვენ გვესმის საერთოდ ბავშების ყოველგვარი ორგანიზაცია პატარ-პატარა განსაზღვრულ კოლექტივებში, იქნება ეს წრე, კომისია, უჯრედი თუ რგოლი.

ამ ფორმის მთავარი არსებითი მხარე მდგომარეობს ბავშთა კოლექტივის განსაზღვრულობასა და მის სივიწროვეში. ასეთი კოლექტივი იმის გამო, რომ ის პატარა და რიცხვობრივად განსაზღვრული არის, კარგავს იმ დიდ დადებით მხარეებს, რომელიც მოიპოება დიდ და ფართო კოლექტივში. მაშასადამე, მისი მნიშვნელობაც სტიმულის გადაცემის მხრით გაცილებით ნაკლებია. მაგრამ ამასთან ერთად ასეთ განსაზღვრულ კოლექტივს თავისი დადებითი მხარეებიც აქვს, რაც არ აქვს დიდ კოლექტივს.

პატარა, კარგად შერჩეული კოლექტივი, როგორც ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, ძალიან ხშირად პიროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ჩვენ დავინახეთ ზემოთ, რომ ხშირად კოლექტივის გარეშე განცალკევებით მყოფი ბავში, რომელიც მოწყენილია და არ იცის რა გააკეთოს, საქმიანი და წესიერი ხდება, როცა კარგად შერჩეულ პატარა კოლექტივში შედის.

სწორედ ეს ღირსება, ბავშთა პატარა კოლექტივის მომწესრიგებელი მნიშვნელობა, იმის მაჩვენებელია, რომ ორგანიზაციის ეს ფორმა უაღრესად მიზანშეწონილია ბავშების წინაშე დასმული საკითხის დეტალურად დამუშავებისათვის.

პატარა განსაზღვრულ კოლექტივში ყოველ ბავშს საშუალება ეძლევა საკმაო აქტივობა გამოიჩინოს მის ძალ-ღონესთან და ნიჭთან შეფარდებით, და მოცემული დავალების ერთად დამუშავება ასეთ პატარა კოლექტივში შეიძლება მართლაც ყოველი ცალკე ბავშის მუშაობად ჩაითვალოს.

მაგრამ პატარა კოლექტივს ეს დადებითი მხარე მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ამ კოლექტივის წევრებს შორის დიდი განსხვავება არ არის მათი განვითარებისა და მომზადების მხრით. პატარა კოლექტივში, რასაკვირველია, არიან როგორც ძლიერი, ისე სუსტი ბავშებიც. ძლიერი ბავშები კოლექტივის წინამძღოლები ხდებიან.

თუ განსხვავება ორგანიზატორებსა და დანარჩენ ბავშებს შორის დიდი არ არის, თუ სუსტი ბავშების მხრით მხოლოდ მცირეოდენი მონდომება არის საჭირო, რომ ძლიერებს გაუთანასწორდენ, მაშინ მათი ერთად მუშაობა ნაყოფიერი ხდება და ბავშების ურთიერთი დახმარება რეალურ და სასარგებლო სახეს იღებს.

მაშინ, ჩვეულებრივად, ძლიერ ბავშს, რომელიც უფრო სუსტს ეხმარება, მხოლოდ მცირეოდენი ძალ-ღონის დახარჯვა ჭირდება, რომ სუსტი ბავში თავის სიმაღლემდე ასწიოს. ამ შემთხვევაში ძლიერი ბავში დიდ კმაყოფილებას გრძნობს თავისი წარმატების გამო— „ცოტათი დავეხმარე ამხანაგს და მას უკვე ცოდნა აქვს, უკვე მოერია საქმეს“.

სუსტ ბავშსაც კმაყოფილება ემჩნევა—„ცოტაოდენი დახმარება გამიწიეს და უკვე გამოვსწორდი“. ბავშის განწყობილება იწევს და ის უკვე სიყვარულს გრძნობს კოლექტივის და თავისი უფრო ძლიერი ამხანაგებისადმი.

მაგრამ, თუ ბავშებს შორის განსხვავება დიდია და ძლიერ ბავშს დიდხანს სჭირდება სუსტ ბავშთან მუშაობა, მისთვის ხანგრძლივად დახმარების გაწევა, ისე რომ შედეგი დიდხანს არ გამოჩნდება, მაშინ ძლიერ ბავშს გულგრილობა იპყრობს, მისი გატაცება წინამძღოლობით სუსტდება და ის მიმართავს მასწავლებელს თხოვნით, რომ სუსტ ბავშებთან მუშაობიდან გაათავისუფლონ. ეს უკანასკნელნიც, თავისი მხრით, უკმაყოფილებას გრძნობენ, კოლექტივში ამის გამო უკმაყოფილება იქმნება და ხშირად ის ფაქტიურად იშლება. თუმცა ხანდახან ასედაც ხდება, რომ ძლიერი ბავში თვითონ კისრულობს სუსტი ბავშების სამუშაოს შესრულებას, რადგან მისთვის უფრო ადვილია ყველაფერი თვითონ გააკეთოს, ვიდრე სუსტი ბავშისთვის მუშაობაში დახმარების გაწევა.

სუსტ ბავშებში ამ შემთხვევაში პარაზიტობა ვითარდება: სხვამ გააკეთა, ამას კი მის გაკეთებულად სთვლიან. ასეთი კოლექტივი, რასაკვირველია, არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს კოლექტივისტური ჩვევების აღზრდის თვალსაზრისით.

ამიტომ კოლექტიური მუშაობის რგოლებრივი ორგანიზაციის ფორმა მხოლოდ მაშინ არის დასაფასებელი, როდესაც განსხვავება ძლიერთა და სუსტებს შორის ძალიან დიდი არ არის, როცა ეს განსხვავება ისეთია, რომ ძლიერს ზედმეტი ძალ-ღონის დაუხარჯავად შეუძლია სუსტისთვის დახმარების გაწევა და უკანასკნელსაც არ სჭირდება ხანგრძლივი დახმარება.

ნათქვამიდან ცხადია, რომ კოლექტიური მუშაობის უჯრედული, რგოლებრივი ორგანიზაციის ფორმის საშუალებით ჩვენ ვზრდით კოლექტივის არა მარტო ჩვეულებრივ წევრებს, არამედ ორგანიზატორებსაც.

თუ ჩვენ ისე ვქმნით კოლექტივს, რომ შესაძლებლობას ვაძლევთ უფრო ძლიერ ბავშებს ნამდვილი დახმარება გაუწიონ სუსტ ბავშებს, ისე რომ მათ მაგივრად არ იმუშაონ, არამედ მხოლოდ გვერდში ამოუდგენ მათ, მაშინ ჩვენ ვავარჯიშებთ ძლიერ ბავშებს იმ ჩვევებში, რომელიც ორგანიზატორისთვის არის საჭირო. წინა დავალებებში ჩვენ ვამბობდით შემდეგს:

„ჩვენ უნდა განვავითაროთ ჩვენს ბავშებში **საერთო იდეის გარშემო ადამიანების შემოკრების** უნარი და მიდრეკილება, მივცეთ მათ კარგი პროპაგანდისტის ჩვევები, სოლიდარობისა და თანხმობის ატმოსფერის შექმნის საკითხის ერთად მოფიქრების და დამუშავებისა და გადაწყვეტილების შეთანხმებით გამოტანის უნარი“.

მეორე მხრით: „უნდა განვავითაროთ ჩვენს ბავშებში **კოლექტიური მოქმედების მოხერხებული ორგანიზაციის უნარი,** მომუშავეთა შორის სამუშაოს სწორედ განაწილების ჩვევა, საერთო ძალების შესაფერი ტემპისა და რიტმის ამორჩევის, წესრიგზე მუდმივი თვალყურის დევნების უნარი და საქმის დასრულებისთვის პასუხისმგებლობის გრძნობა“.

დასასრულ: „ჩვენ უნდა აღვზარდოთ ჩვენს ბავშებში ორგანიზატორის მთავარი თვისება — **თავისი ორგანიზატორული მუშაობის ყოველ მომენტში აცხანაგებისადმი სამართლიანი და თანასწორი დამოკიდებულის გამოჩენის უნარი** პირადი სიმპატიებისა და ანტიპატიებიდან დამოუკიდებლად“. სწორედ ჩამოყალიბებული რგოლებრივი მუშაობის დროს ჩვენ ყველა ამ ჩვევაში ვავარჯიშებთ ბავშებს.

მაგრამ ჩვენს წინაშე ერთი სერიოზული საკითხი დგება. თუ ჩვენ ორგანიზატორებს ძლიერი ბავშებიდან ვზრდით, მაშინ ჩვენ მოგველის საფრთხე ფენებად დაშლის და მუდმივი წინამძღოლების და მუდმივი მასის აღზრდისა, თუნდაც ეს მასა წინამძღოლებთან ახლოს იდგეს.

საბჭოთა კოლექტივისტური აღზრდის მთავარი პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულმა თავის დარგში ორგანიზატორობა შეიძლოს. ჩვეს ისე უნდა მოვაწყოთ მუშაობა, რომ თითოეულმა ბავშმა შეიძლოს ორგანიზატორის როლის შესრულება და ორგანიზაციული ჩვევების თუნდაც მინიმუმის მიღება.

არ უნდა იყვნენ ერთი მხრით ისინი, ვისაც მუდმივად ხელმძღვანელობას უწევენ და მეორე მარით ორგანიზატორობისთვის დაბადებულები. ამ ამოცანის გადაჭრას ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლებთ, თუ ჩვენი ბავშების მუშაობა და ცხოვრება სკოლაში ისე იქნება მოწყობილი, რომ არ იყოს მარტო სასწავლო ერთფეროვანი მუშაობა, არამედ ცოცხალი საქმეების მთელი რიგი. რამდენადაც უფრო მრავალფეროვანი საქმეები ეკისრება ჩვენს სკოლას, მით უფრო შესაძლებელი ხდება ორგანიზაციული ჩვევების აღზრდა.

ჩვენი სკოლა რომ მთლიანად მხოლოდ სწავლისა და სწავლების პრინციპზე იყოს აგებული, მაშინ, რასაკვირველია, ორგანიზატორის როლის შესრულება იმ ბავშებს შეხვდებოდა, რომელთაც სწავლის მეტი უნარი ექნებოდათ, ნაკლებად ნიჭიერები კი იმათ როლს იკისრებდენ, რომლებსაც ხელმძღვანელობის გაწევა ჭირდებათ. მაგრამ თუ სკოლაში არის როგორც საზოგადოებრივი, ისე ფიზიკური და მხატვრული მუშაობა, მაშინ ყოველ ბავშს შეუძლია ორგანიზატორი იყოს, ერთს — სწავლის დარგში, მეორეს — საზოგადოებრივი მუშაობის დარგში, მესამეს — თამაშის დარგში, მეოთხეს — მუსიკის დარგში და სხვა. ყოველ ბავშს შეუძლია შეასრულოს ძლიერის როლი, რომელიც დახმარებას უწევს ამხანაგებს.

ამ შემთხვევაში კოლექტიურ მუშაობას უჯრედში, რგოლში ექნება ურთიერთ დახმარებისა და არა ცალმხრივი დახმარების ხასიათი. ეს არ ნიშნავს, რომ ყოველი ახალი საქმისთვის ჩვენ ახალი კოლექტივები, ახალი რგოლი მოვაწყოთ, ერთი — სწავლისათვის, მეორე — შრომისათვის, მესამე — ფიზიკური აღზრდისათვის, მეოთხე — ხელოვნებისათვის და სხვა. ეს, რასაკვირველია, ქაოსს შექმნიდან და ბავშები ვერ გაერკვეოდენ, თუ რომელი რომელ რგოლში უნდა შევიდეს; სკოლასაც ბავშთა რგოლების გადამეტებით დიდი რაოდენობა მხოლოდ ზიანს მოუტანდა.

მასწავლებლებს, რასაკვირველია, ურჩევნიათ მუდმივი რგოლების შექმნა, რადგან ამას ერთგვარი ეფექტი შეაქვს ბავშების ძუშაობაში. მაგრამ მუდმივი რგოლების არსებობა არ ნიშნავს მუდმივი წინამძღოლების არსებობასაც. თუ ამა თუ იმ რგოლის ფარგლებში ჩვენ სხვადასხვა საქმისათვის შინაგანი ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმა გვაქვს, ერთი სასწავლო საქმეებისათვის, მეორე — საზოგადოებრივი საქმეებისთვის და სხვა, მაშინ რგოლის ორგანიზაციის ფორმა ამისათვის უფრო შესაფერია და ასეთ კოლექტივში ჩვენ შე-

ვიძლებთ ყოველ ბავშში აუცილებლად საჭირო ორგანიზაციული ჩვევების აღზრდას.

ამასთან ერთად ჩვენ გადავწყიტოთ საკითხი წინამძღოლის როლისა და წინამძღოლსა და მასას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, — თითოეული იქნება წინამძღოლიც და კოლექტივის ჩვეულებრივი წევრიც.

დამოუკიდებელი ინდივიდუალური მუშაობა.

გადავიდეთ მუშაობის მესამე ფორმაზე — **ინდივიდუალურ მუშაობაზე.** ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ მუშაობას ჩვენ **კოლექტიური მუშაობის ნაწილად** ვთვლით, როცა ყოველი ბავში დამოუკიდებლად ასრულებს საერთო კოლექტიური მუშაობის ერთ ნაწილს. ასეთი მუშაობის დამახასიათებელია **უაღრესი პასუხისმგებლობა.** ამ მხრით ინდივიდუალური მუშაობა განსხვავდება, როგორც საერთო ჯგუფური, ისე რგოლებრივი მუშაობიდანაც. თითოეულის პასუხისმგებლობის გრძნობა აქ მაქსიმუმს აღწევს. ეს მუშაობა არ უნდა იქნეს დაპირისპირებული კოლექტიურ მუშაობასთან, რადგან ასეთი ინდივიდუალური მუშაობის საშუალებით ჩვენ ვზრდით ყველაზე უფრო მეტად სერიოზულ კოლექტივისტურ ჩვევებს. ასეთი ინდივიდუალური მუშაობა წარმოადგენს კოლექტივის შეკვეთას და სრულდება **კოლექტივის დავალებით.**

რადგან ამგვარი ინდივიდუალური მუშაობა როგორც საერთო ჯგუფური, ისე რგოლებრივი, ფართო კოლექტიური ცხოვრების ფარგლებში ვითარდება, კოლექტივში, როგორც თავის შემკვეთში, ისახება და აქვე პოულობს თავის დასრულებას კოლექტიური შეფასებისა და კოლექტიური აღიარების სახით, — ამიტომ ის წარმოადგენს ბავშთა მუშაობის ორგანიზაციის საერთო სისტემაში უაღრესად საჭირო და აუცილებელ ფორმას.

მაგრამ თუ ინდივიდუალურად მუშაობა ბავშების კოლექტიური ცხოვრებიდან მოწყვეტილია, რაც ხდება მაშინ, როცა მასწავლებელი ბავშს ისეთ დავალებას აძლევს, რომელსაც რგოლის საერთო მუშაობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, — მაშინ ის კარგავს სტიმულის მიმცემ ძალას და სრულიად არ გამოდგება, როგორც კოლექტივისტური ჩვევების აღზრდის საშუალება.

სასწავლო მუშაობის პროცესში ჩვენ მივმართავთ ინდივიდუალურ დავალებებს კიდევ მაშინ, როცა დაინტერესებული ვართ,

რომ ბავშმა რაც შეიძლება გარკვეულათ და მტკიცედ შეითვისოს ესა თუ ის ჩვევა და რაც შეიძლება ზუსტად გამოჰყოს რომელიმე ცნება.

ასეთ შემთხვევებში ჩვენ უნდა მივმართოთ ინდივიდუალურ მუშაობას, რადგან მხოლოდ მაშინ, როცა ბავშმა თავიდან ბოლომდე ყველაფერი თვითონ შეასრულა, ჩვენ შეგვიძლია მართლა დარწმუნებული ვიყოთ, რომ მან ბოლომდე შეითვისა ყველაფერი.

თუ მუშაობა მხოლოდ კოლექტიურად არის მოწყობილი, ის დადებით შედეგებს არ იძლევა, ჩვენს და განსაკუთრებით ბავშის საქმეზე გულის აყრას იწვევს.

როცა ბავში დარწმუნებული არ არის ასეთი კოლექტიური მუშაობის ნაყოფიერებაში, ის სიძულვილს გრძნობს ამ მუშაობისადმი და ხშირად თვითონ თხოულობს: — „მე მომეცით, მე თვითონ ყველაფერს უკეთესად გავაკეთებ". ამიტომ **კოლექტივისტური აღზრდის წარმატების** მიზნით ჩვენ უნდა გავურბოდეთ კოლექტიურად მუშაობის ფორმას მაშინ, როდესაც ეს მუშაობა თავისი ხასიათის მიხედვით ინდივიდუალურად შესრულებას მოითხოვს.

დაწყებითი სკოლის მუშაობის პრაქტიკა.

(პედაგოგიური მუშაობის ნიმუშები, როგორც სავარჯიშო მასალა).

1. სოფლის სკოლის მე-III ჯგუფში კომპლექსის „სოფელი"— დამუშავების მიხედვით.

კომპლექს „სოფელი"-ს დამუშავების დროს ბავშების წინაშე თანდათან გროვდებოდა სოფლის ცხოვრების ამა თუ იმ დარგის სამეურნეო, კულტურული, საზოგადოებრივ — ყოფა - ცხოვრებითი გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებული ამოცანების მთელი რიგი. დაისვა აგრეთვე საკითხიც, თუ რა შეუძლია სკოლას გააკეთოს სოფლის მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად.

ბავშებთან საუბრის დროს პედაგოგი თავს უყრის იმ ცოდნა-წარმოდგენებს, რომელიც ბავშებს მოეპოებათ მათი ცხოვრების გამოცდილებისა და დაბალ ჯგუფებში მუშაობის მიხედვით.

ბავშებმა იციან, თუ როგორი ღონისძიებანია საჭირო ძროხის მეწველეობის გასაუმჯობესებლად, იციან, რომ „ცხენი უნდა ააჩქარო არა მათრახით, არამედ ქერით" და სხვა. პედაგოგი ხედავს, რომ ეს ცოდნა სრულებით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბავშებმა

შეიძლონ შეგნებული მუშაობა საქონლის კვებისა და მისი მოვლის გასაუმჯობესებლად; ის ხედავს, რომ დაწყებული მუშაობა შეიძლება მალე შეჩერდეს იმის გამო, რომ ბავშებს არ მოეპოებათ მის ჩასატარებლად საჭირო ცოდნის მარაგი.

პედაგოგის წინაშე დგება ამოცანა, თუ მანამდე, სანამ ბავშები საქმეს შეუდგებოდენ, როგორ შეაგნებინოს მათ, რომ აუცილებელია კარგად **გაგება**, თუ როგორ არის საჭირო საქონლის კვება და მისი მოვლა, აგრეთვე მისი **გაგება**, თუ რამდენად სწორედ უვლიან და კვებავენ ჩვენს საქონელს, გაუმჯობესების როგორი შესაძლებლობა არსებობს და სხვა.

ეწყობა კოლექტიური საუბარი. ბავშების მიერ გამოთქმულ სურვილზე—საქონლის უკეთესად კვების შესახებ — პედაგოგი ეკითხება ბავშებს: „ვიცით თუ არა ჩვენ, თუ როგორ არის საჭირო საქონლის კვება?“ „ვიცით,—წონის მიხედვით. საჭიროა ძირნაყოფებით გამოკვება“.—„მერე რა რაოდენობით უნდა ვაძლიოთ ძირნაყოფა, და ძროხებს და ცხენებს ერთი და იგივე რაოდენობა უნდა მიეცეს, თუ არა?“—ასეთი და სხვა კითხვები იწვევენ ბავშების მხრით შემდეგ რეპლიკას: „მოდით, გავიგოთ, თუ როგორ არის საჭირო საქონლის გამოკვება“. — „სად გავიგოთ?“ — „ვკითხოთ აგრონომს, წავიდეთ საბჭოთა მამულში“.

აი უკვე ბავშების წინაშე ნათლად იხატება მათი მუშაობის პირველი ამოცანა საქონლის მოვლისა და კვების გაუმჯობესების საქმეში. „უნდა გავიგოთ, უნდა ვნახოთ“—აი ის მიზნები, რომელნიც ბავშების წინაშე ისახება და იზრდება.

აქვე, კოლექტიური საუბრის დროს გადაწყვეტილება გამოაქვთ, რომ საჭიროა ექსკურსიის მოწყობა საბჭოთა მამულში იმის გასაგებად, თუ როგორ კვებავენ და ინახავენ საქონელს და როგორ არის საჭირო მისი მოვლა, მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ ექსკურსია საბჭოთა მამულში, როგორ მოემზადონ ექსკურსიისათვის, რა უნდა გაკეთდეს ამისათვის. გადაწყდა, რომ წინასწარ რამდენიმე ბავში წავა ჯგუფიდან საბჭოთა მამულში იმის გასაგებად, თუ როდის მიიღებენ იქ ექსკურსიას.

კიდევ რამდენიმე ბავშმა უნდა შეკრიბოს სკოლაში და ქოხ — სამკითხველოში არსებული ლიტერატურა საქონლის მოვლის საკითხის გარშემო. პედაგოგი კისრულობს აგრონომთან იმის გაგებას, თუ როგორი ღონისძიებების მიღება არის მის გეგმაში გათვალისწინე-

ბული მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად, რომ შემდეგ შეიძლებოდეს ამორჩევა, თუ ამ მუშაობიდან რა უნდა იკისროს სკოლამ, რომ დახმარება გაუწიოს აგრონომს.

იმის შემდეგ, როცა ბავშების პატარა ჯგუფი საერთო კრებიდან მიღებულ დავალებებს ასრულებს, ეწყობა ექსკურსია საბჭოთა მამულში.

მთელი ჯგუფი ათვალიერებს საქონელს, ისმენს ახსნა-განმარტებას და თითოეული იწერს შენიშვნებს თავისი შთაბეჭდილებების შესახებ.

ექსკურსიიდან მიღებული მასალის დამუშავება მთელი ჯგუფის მიერ ტარდება. მთელი შთაბეჭდილებების და შენიშვნების მოწესრიგებისა და შეჯამების შემდეგ იქმნება საბჭოთა მამულში საქონლის მოვლისა და კვების სურათი.

ბავშები ტყობილობენ, როგორც მათთვის რაღაც ახალს, რომ შეიძლება სოფელში ძალიან გაუმჯობესდეს მეფრინველეობა, ღორების გასუქება, და უკვე წინადადებებს იძლევიან:—„მოდით, გავაშენოთ კარგი ჯიშის ქათმები, ღორები“ და სხვა.

მოხერხებულად დასმული კითხვების საშუალებით პედაგოგს ბავშები იმ დასკვნამდე მიყავს, რომ ჩვენი საქონელი ისეთი არ არის, როგორც საბჭოთა მამულში, რომ ჯერ კიდევ საჭიროა იმის გაგება, თუ რა მოუხდება და რა არ მოუხდება მას.

იქმნება ახალი **ამოცანები**:

1) გამოკვლეულ იქნეს ჩვენი სოფლის მესაქონლეობის ყველა დარგის მდგომარეობა.

2) აგრონომის დახმარებით გათვალისწინებულ იქნეს, თუ რა შეუძლია სკოლას გააკეთოს მის გასაუმჯობესებლად.

3) ჩატარებულ იქნეს გასაუმჯობესებელი მუშაობა.

როგორ უნდა მოეწყოს გამოკვლევა? ბავშებს შემოაქვთ წინადადებების მთელი რიგი. ზოგი ფიქრობს, რომ ყველამ დაიაროს და დაათვალიეროს გლეხის მეურნეობა, ზოგი კიდევ წინადადებას იძლევა, რომ თითოეულმა მიიტანოს ცნობები თავ-თავისი მეურნეობებიდან, სხვები წინადადებას იძლევიან, რომ ჯგუფი დაიყოს რგოლებად და თითოეულმა რგოლმა გამოიკვლიოს მესაქონლეობის სხვადასხვა დარგი.

ყველა წინადადების გარშემო იმართება ცოცხალი მსჯელობა..

იღებენ უკანასკნელ წინადადებას. გადასწყვიტეს, რომ:

1 რგოლი იკვლევს ცხენებს,
2 „ „ ძროხებს,
3 „ „ ცხვრებსა და ღორებს,
4 „ „ ფრინველებს.

მთელი ჯგუფებისთვის ითვალისწინებენ კითხვებს, რომელთა მიხედვით უნდა შეიკრიბოს შემდეგი მასალა:

1. როგორ იკვებება საქონელი (რას აძლევენ, დღეში რამდენჯერ, როდის და რას ასმევენ).

2. როგორ ინახავენ საქონელს (ბინა, ბინის გასუფთავება პატივიდან და სხვა).

3. როგორია ძროხების მეწველეობა.

4. როგორია ცხენის მუშაობა.

5. როგორია დაკლული ძროხების წონა, როგორია ქათმების კვერცხისმდებლობა.

ამის შემდეგ დგება საკითხი: „როგორ უნდა მოეწყოს მუშაობა? როგორ წავლენ რგოლები გამოკვლევის ჩასატარებლად? სახელდობრ სად?

უწინარეს ყოვლისა, მასწავლებელი შემდეგ საკითხს აყენებს: საჭიროა თუ არა, რომ ჩვენ ყველა მეურნეობა დავიაროთ? ირკვევა, რომ ბევრი ერთნაირად უვლის და ჰკვებავს საქონელს. ბოლოს ერთი გადაწყვეტილება გამოაქვთ, რომ საკმარისია 6 მეურნეობის აღება, — ორი მეურნეობის, სადაც საქონლის კვება **საუკეთესოდ** არის დაყენებული, ორის—სადაც **საშუალოდ** და ორისა—სადაც **ცუდად**. მასწავლებელმა, რომელიც კარგად იცნობს სოფლის მეურნეობას, თითო მეურნეობა აირჩია. ამოირჩიეს რამდენიმე ბავში მეურნეებთან მისვლის შესახებ მოსალაპარაკებლად შემდეგ საკითხი დგება: „როგორ უნდა წავიდეთ?“ ზოგიერთები წინადადებას იძლევიან მთელი ჯგუფით წასვლის შესახებ.

ეს უხერხულია. — თითოეული რგოლი წავიდეს თითოეულ აღნიშნულ მეურნეობაში. — მაშინ თითოეულმა მეურნეობამ უნდა მიიღოს ბავშები ოთხჯერ (4 რგოლი), — ესეც უხერხულია.

მაშ როგორ გადავწყვიტოთ ეს ორგანიზაციული ამოცანა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში ყველამ მიიღო მონაწილეობა. ინტერესი საკითხის გადაწყვეტისადმი უჩვეულო იყო. გადაწყვიტეს რგოლების გა-

დაჯგუფება. ექსკურსიისათვის რგოლი დგება ერთი „მეცხენეს“ (ბავშების გამოთქმა), ერთი „მეძროხის“, ერთი „მეღორისა“ და ერთი „მეფრინველისაგან (სადაც რგოლი 4 კაცზე მეტისგან შესდგება, იქ მიდის ორი მეცხენე ან ორი მეძროხე). გაიყვეს მეურნეობები, რომელიც გამოკვლევისთვის იყო დანიშნული, რგოლებს შორის (2 რგოლი იკვლევს თითო მეურნეობას, დანარჩენი ორი კი თითოეული ორ-ორს, სულ იკვლევენ 6 მეურნეობას).

გაკვეთილების გარეშე საათებში რგოლებმა დაიარეს 6 მეურნეობა, ჩაიწერეს პასუხები თავ-თავის კითხვებზე: მეცხენემ — ცხენების შესახებ, მეძროხემ — ძროხების შესახებ და სხვა. სკოლაში ისევ გადაჯგუფდენ „მეცხენეების“, „მეძროხეების“ და სხვა რგოლებში და დაიწყეს შეგროვილი მასალის დამუშავება.

ამ მასალის დამატებით თითოეულმა რგოლმა მიიღო იმათგან, ვისაც ეს დავალებული ჰქონდა ჯგუფის მიერ, თავ-თავისი საკითხების მიხედვით საჭირო ლიტერატურა. მასწავლებელმა თავისი მხრით თითოეულ რგოლს მისცა სოფლის საქონლის რაოდენობის საერთო რიცხვი.

როდესაც მასალა დამუშავდა და ჩამოყალიბდა რგოლებში, ჯგუფმა მოისმინა რგოლების მოხსენებები, სადაც სოფელში მესაქონლეობის მდგომარეობის სურათებთან ერთად მოცემულია მითითებები (წიგნებიდან ამოღებული და საბჭოთა მამულში ექსკურსიიდან შეგროვებული), თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საქონლის მოვლა და მისი შენახვა. პედაგოგმა მოუთხრო ბავშებს აგრონომის ლენინსძიებების შესახებ სოფლის მეურნეობის ამ დარგის გასაუმჯობესებლად; მან სთქვა, რომ ჩვენს რაიონში **მთავარ** დარგს წარმოადგენს მეწველი საქონელი.

ჯგუფს, რომელიც წინად ითვალისწინებდა მუშაობის მთელ წყებას მეფრინველეობისა და მეღორეობის გასაუმჯობესებლად, ახლა ის გადაწყვეტილება გამოაქვს, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა დახმარების აღმოჩენა ძროხების მეწველობის გასაუმჯობესებლად.

ამ აზრს ყველა ეთანხმება.

პედაგოგის დახმარებით მთელი ჯგუფი გეგმავს შემდეგ მუშაობას.

1. ქოხ-სამკითხველოში მოეწყოს მოსახლეობისათვის შემდეგი შინაარსის მოხსენება: — რა ვავიგეთ საქონლის წესიერად მოვლის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ერთ-ერთ მეურნეთაგანს საკუთარ ძროხებზე გაატაროს ცდა ძროხების წესიერად კვების შესახებ მას შემდეგ, რაც აგრონომიდან მიიღებს რჩევა-დარიგებას და დახმარებას.

2. თემის: „როგორ მუშაობენ და ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში შინამრეწველები და ხელოსნები“— დამუშავების გამოცდილებიდან.

[(ქალაქის სკოლის მესამე ჯგუფი).

საუბარში იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ და ცხოვრობენ ის შინამრეწველები და ხელოსნები, რომელთაც ბავშვები უშუალოდ იცნობენ (ბავშვების მშობლები და ნათესავები), ირკვევა, რომ მათი ცხოვრებისა და შრომის პირობები მეტის-მეტად მრავალგვარია, ზოგი კერავს ტანსაცმელს, ზოგი ამზადებს ფეხსაცმელებს, ზოგი — თუნუქის ჭურჭელს და სხვა. ზოგი მუშაობს მარტო, ზოგი არტელებით (ნადებით), ზოგი მუშაობს კარგ, ნათელ სახელოსნოებში, ზოგი—სარდაფებში და სხვა.

ყველა ამ ცნობას ბავშვები იმ დასკვნამდე მიყავს, რომ თითოეულს არ შეუძლია უშუალოდ გაეცნოს მუშაობის ყოველ სახეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს სახეები მრავალია და ბევრი დრო იქნება საჭირო, მეორე ის, რომ შინამრეწველები და ხელოსნები ხშირად პატარ-პატარა ბინებში მუშაობენ და მთელი ჯგუფი ვერ შეიძლებს იქ წასვლას.

ამიტომ გადაწყვეტილება გამოაქვთ რგოლების საშუალებით გაეცნონ სხვადასხვა შინამრეწველისა და ხელოსნის მუშაობას და შემდეგ უამბონ ამის შესახებ მთელ კოლექტივს. მოილაპარაკეს, რომ ყოველი რგოლი ამ მიზნით შეადგენს კითხვებს. იმისთვის, რომ კითხვების შედგენის დროს დაბრკოლებებს არ შეხვდენ, მოიფიქრეს კოლექტიურად, თუ რომელ მხარეებს უნდა მიექცეს ყურადღება გამოკვლევის დროს (როგორი ბინაა, რას აკეთებენ, ვინ მუშაობს, მანქანები და ხელსაწყოები, სამუშაო დღე, სად ასაღებენ საქონელს, როგორ ცხოვრობს ოჯახში და სხვა).

ამნაირად რგოლებს ამა თუ იმ სახელოსნოს გამოსაკვლევად საჭირო კითხვების დამოუკიდებლად დამუშავების დროს უკვე აქვთ კოლექტივიდან მიღებული სახელმძღვანელო მითითებები, რომელნიც საზღვრავს უდებენ მათ. ზათი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ მეტი კონკრეტობა შეიტანონ კითხვებში სწორედ მოცემულ სახე-

ლოსნოსთან, მოცემულ შინამრეწველთან შეფარდებით, — ეს პირველი, და მეორე ის, რომ მოკლედ და ნათლად ჩამოაყალიბონ თავისი კითხვები, მესამე — ჩასწერონ ისინი იმავე წესით, როგორც გამოკვლევა იწარმოებს და, დასასრულ, გაინაწილონ ერთმანეთს შორის ის მუშაობა, რომელიც ექსკურსიის დროს უნდა იქნეს შესრულებული.

ყველა რგოლის მიერ გამოკვლევისათვის დამუშავებული საკითხები და მათ მიერ დასახული მუშაობის განრიგება (მუშაობის ორგანიზაცია) მოსმენილ უნდა იქნეს და შესწორდეს საერთო კოლექტიური საუბრის დროს.

ერთმანეთს უთანხმდებიან იმის შესახებ, რომ ყოველ რგოლს, თუ ეს საჭირო შეიქნა გამოკვლევის ჩატარების დროს, ექსკურსიაზე გადაჯგუფება უნდა შეეძლოს. მაგალითად, თუ რგოლის მოსაზრებები მუშაობის რაოდენობის შესახებ არ გამართლდა, მაშინ თითოეული, რომელმაც მუშაობის თავისი ნაწილი უკვე შეასრულა, ეხმარება ამხანაგს, რომლის სამუშაო უფრო ბევრი და უფრო ძნელი აღმოჩნდა.

რგოლების მიერ გამოკვლევის მოხდენის შემდეგ იმავე რგოლების მიერ ხდება გამოკვლევის დროს შეგროვილი მასალის გადამუშავება.

რგოლი, რომელიც, მაგალითად, მეჩექმესთან იყო, აგროვებს ერთ კოლექტივში იმ მასალის ნიმუშებს, რომლიდანაც კერავდენ ფეხსაცმელებს, ხატავს მეჩექმის ინსტრუმენტებს და ნივთის წარმოების პროცესს; ხატავს და ხაზავს საჩექმე-სახელოსნოს ბინის გეგმას, ასწერს მეჩექმის მუშაობას და სხვა.

დასასრულ ყოველი რგოლი თავის შიგნით ანაწილებს მუშაობას მის მიერ ჩატარებულ მუშაობასთან მთელი ჯგუფის გაცნობის მიზნით და ემზადება მოხსენებისათვის.

დამუშავების უკანასკნელ ეტაპს წარმოადგენს საერთო კრება, რომელზედაც ყოველი რგოლი მოხსენებას აკეთებს. ყოველი რგოლი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა გაიგო მან გამოკვლევის დროს და მოხსენების საილუსტრაციოდ მოყავს კოლექციებში, ნახატები და სხვა.

რგოლების მოხსენებების მოსმენის შემდეგ ტარდება კოლექტიური საუბარი, რომელშიაც ჯამი უკეთდება ბავშვების მიერ შეგროვებულ ყოველ ცნობას სხვადასხვა შინამრეწველების და ხელოსნების მუშაობის შესახებ და ხდება სადაო დასკვნების გამოტანა. ეს დასკვნები მუშავდება კოლექტიური თხზულების სახით, რომელიც ჩაიწერება რვეულში.

3. ᲗᲔᲛᲘᲡ „ტყე“ — დამუშავების გეგმა.

(სოფლის სკოლის მე-III ჯგუფებისათვის).

დავალება პირველი. გაიგონ, თუ როგორ არსებობს ტყეში ხეები და ბალახი.

1. გაიგონ, თუ ხეების როგორი ჯიშებია ჩვენს ტყეში. როგორი ხეებიდან შედგება ჩვენი ტყე. იმის განმარტება, თუ როგორი სახელი შეიძლება ტყეს დაერქვას: ფოთლოვანი, წიწვიანი თუ შერეული.

2. შეგროვდეს ჩვენი ტყის სხვადასხვა ჯიშის ხეების შტოების, ქერქისა და ხის ნაჭრების ნიმუშები, გაკეთდეს კოლექცია შემდეგი სათაურით: — „ჩვენი ტყის ხეების ჯიშები“.

3. დათვალიერებულ იქნეს, თუ როგორ იზრდება ფიჭვი და ნაძვი და მოხდეს მათი შედარება ერთმანეთთან: მათი გარეგნული შეხედულების შედარება (ფიჭვის ჩრდილოვან გვერდზე აღნიშნულ იქნეს შტოების უქონლობა და მათი არსებობა ნაძვზე), ამოითხაროს პატარა ფიჭვი და ნაძვი და ერთმანეთთან შედარებულ იქნეს მათი ფესვები (აღინიშნოს ფიჭვის გძელი და სწორი და ნაძვის მოკლე და მიწის ზედაპირზე დაფენილი ფესვები). ჩაიხატოს ფიჭვისა და ნაძვის ფესვების სურათი.

4. მიმდინარე საკითხის დროს გამოტანილ იქნეს დასკვნები ფიჭვისა და ნაძვის ზრდის განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებების შესახებ.

5. დათვალიერებულ იქნეს გადახერხილ ხეზე ფიჭვისა და ნაძვის გარდი-გარდმი გადანახერხი და გამოირკვეს საუბრის დროს, თუ როგორ შეიძლება წიწვიანი ხეების ასაკის განსაზღვრა (წლიური წრეები და სხვა).

6. დათვალიერებულ იქნეს, თუ უმეტეს შემთხვევაში როგორი ხეები იზრდება ტყეების გაჩეხილ ადგილებზე,

7. დაუკვირდენ, თუ როგორ მრავლდება ფოთლოვანი ხეები— ვერხვის და არყის ხე.

8. მიმდინარე საუბრის დროს გამორკვეულ იქნეს არყის ხისა და ვერხვის ზრდის დამახასიათებელი თვისებები და იმის მიზეზი, თუ წიწვიანი ტყეების გაჩეხილ ადგილებზე რატომ იზრდებიან ისინი სწრაფად.

9. წაკითხულ იქნეს (თუ წიგნი იქნა) ამ ხეების არსებობის კარგი აღწერა.

10. დათვალიერებულ იქნეს, თუ რით განსხვავდება გაშლილ ადგილას გაზრდილი ხე ტყეში გაზრდილისაგან (შედარებისათვის აღებულ იქნეს ერთისა და იმავე ჯიშის ხეები. უფრო მოხერხებულია შესადარებლად ფიჭვის აღება).

11. დათვალიერებულ იქნეს იმ ხეების მთელი რიგი, რომელნიც იზრდებიან სხვა ხეების ქვეშ: როგორ იზრდებიან დაჩრდილულ ადგილას პატარა ნაძვი და ფიჭვი.

12. შედარებულ იქნეს ერთმანეთთან ორი ერთისა და იმავე სიმაღლის პატარა ნაძვი, რომელთაგან ერთი იზრდება ტყეში და მეორე ტყის პირას.

განისაზღვროს მათი წლოვანება და გამოირკვეს, თუ რომელი მათგანი გაიზრდება უკეთ.

13. დათვლილ იქნეს, თუ რამდენი ხე მოდის ერთსა და იმავე სიდიდის ფართობზე ძველსა და ახალ ტყეში.

14. მიმდინარე საკითხების დროს, კონკრეტული მაგალითების საშუალებით გამოაშკარავებულ იქნეს, რომ ყოველი ხის ცხოვრება ტყეში დამოკიდებულია სხვა ხეების ცხოვრებიდან (ბრძოლა სინათლისა, წყლისა და საზრდოსათვის).

15. შედარებულ იქნეს, თუ სად უფრო სქლად იზრდება ბალახი; ხშირ ტყეში თუ ტყის მიდამოზე; დათვალიერებულ იქნეს, თუ რიგ არის ნიადაგი დაფარული ხშირ ნაძვნარში.

16. მიმდინარე საუბრის დროს გამოირკვეს, რომ ბალახი იქ უფრო სქელი იზრდება, სადაც მეტი სინათლეა.

17. გამოირკვეს ტყის ყველაზე უფრო გავრცელებულ ბალახოვან მცენარეთა სახელები.

18. თუ შესაძლებლობა არის, ამოითხაროს ისინი ფესვიანად და გახმობის შემდეგ შენახულ იქნეს. დაკერდეს ქაღალდზე და მოეწეროს სახელი.

19. ყვავილების მთელი რიგის საშუალებით დათვალიერებულ იქნეს ყვავილების მოწყობილობა.

20. მიმდინარე საკითხების დროს გამოირკვეს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ყვავილის მთავარ ნაწილებს და როგორ ხდება ყვავილის დამტვერვა.

21. დათვალიერებულ იქნეს, თუ როგორ იზრდება ამ დროის სოკოები.

მეორე დავალება. ტყის სასარგებლო და მავნებელი ცხოველების გაცნობა.

1. მოინახოს ტყეში ტყის სხვადასხვა პეპლები და მათი მუხლუხოები და დაკვირვების გზით გამოირკვეს, თუ რით იკვებებიან მუხლუხოები.

2. მიმდინარე საუბრის დროს გამოირკვეს, თუ რით არიან მავნებელი ტყის პეპლების მუხლუხოები და როგორ ვითარდებიან პეპლები.

3. მოხდეს ხანგრძლივი დაკვირვება მუხლუხოების ზრდასა, მათ გადაქცევაზე ჭუპრად და პეპლების გამოსვლაზე.

4. მიმდინარე საუბრის დროს გამოირკვეს, თუ რით არიან ისინი მავნებელნი.

5. მოინახოს ახლად მოჭრილი ხეების ქერქში ქერქიჭამია და მისი კვერცხები.

6, მიმდინარე საუბრის დროს გამოირკვეს, თუ რით არიან ისინი მავნებელნი.

7. თუ საჭირო იქნება, სურათების საშუალებით გაეცნონ კოდალასა და გუგულის გარეგნულ შეხედულებას.

8. საუბრისა და სურათების დახმარებით გამორკვეულ იქნეს, თუ როგორ არის მოწყობილი ამ ფრინველების სხეული, როგორ ცხოვრობენ ისინი და რით არიან სასარგებლო.

9. დაუკვირდენ ტყის ფრინველებს (იმათ, რომელთაც გაეცნობიან ექსკურსიის დროს). გამოირკვეს, თუ რით იკვებებიან ისინი ან რით შეუძლიათ გამოკვება მათი ნისკარტის მოწყობილობის მიხედვით. მავნებელი არიან, თუ სასარგებლო.

10. ჩაიხატოს ტყის სასარგებლო და მავნებელი ცხოველები.

11. დათვალიერებულ იქნეს ტაბულაზე, თუ რა განსხვავებაა მწერიჭამია და მარცვლეულობის მჭამელი ფრინველების ნისკარტებს შორის.

12. ერთად საუბრის დროს გამოირკვეს (წინასწარ თითოეულმა უნდა გაარჩიოს ეს), თუ ნაცნობი ფრინველებიდან რომელი შეიძლება მიეკუთვნოს ნისკარტის ფორმის მიხედვით მარცვლეულობის მჭამელს და რომელი — მწერიჭამიებს და შემოწმდეს, თუ რამდენად შეეფერება ეს იმას, რაც ჩვენ გამოცდილებით ვიცით ამ ფრინველების კვების შესახებ.

13. ჩაიხატოს მწერიჭამია და მარცვლეულობის მჭამელი ფრინველების ნისკარტები.

14. თუ წიგნი იშოვება, წაკითხულ იქნეს ტყის ცხოვრების კარგი აღწერა.

დავალება მესამე: გამორკვევა, თუ როგორ იყენებენ ტყეს.

1. შინ გავება, თუ როგორ ვიყენებთ ჩვენს ტყეს.

2. თითოეულმა გაიგოს შინ და გამოარკვიოს საუბრის დროს, თუ რა ჯიშის ხიდან რა არის გაკეთებული.

3. შედგენილ იქნეს შემდეგი შინაარსის დასურათებული ტაბულა: „რა ხიდან რა კეთდება“.

4. გამოირკვეს საუბრის დროს, თუ რა და რა ნივთიერებას ვიღებთ ხიდან.

5. ხიდან მიღებულ ნივთიერებათა კოლექციის შედგენა (კუპრი, ფისი, სკიპიდარი და სხვა).

6. წაკითხულ იქნეს მოთხრობა ტყის წარმოებათა შესახებ.

7. თუ მახლობლად არის ტყის წარმოების რომელიმე დარგი, მაგალითად, მენახშირეობა, მოხდეს მისი დათვალიერება.

8. საუბარში გამოტანილ იქნეს დასკვნები ტყით სარგებლობის შესახებ.

9. თითოეულის მიერ მოფიქრებულ იქნეს და სადაო მსჯელობის დროს გამოირკვეს, თუ როგორი ზიანს აყენებენ ტყეს ადამიანები და რის გაკეთებაა საჭირო, რომ გაუმჯობესდეს ტყის მეურნეობა.

10. აღნიშნულ იქნეს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის ტყეს და როგორ უნდა ვიზრუნოთ მის შესახებ.

დავალება მეოთხე: დახმარების აღმოჩენა ტყის სამართველოსათვის ხეების დარგვასა და ახლადდარგული ხეების მოვლაში:

კითხვები თვითშემოწმებისათვის.

1. როგორ უნდა აღვზარდოთ ბავშებში შემდეგი უნარი:

ა) კოლექტივში მიზნის დასახვის.

ბ) კოლექტივში მუშაობის წინასწარ მოფიქრებისა და აგებვის.

გ) მოფიქრებულის კოლექტიურად შესრულების.

დ) მიღწეულის კოლექტიურად შესრულების, განმტკიცებისა და დაცვის.

ე) საერთო კეთილდღეობით სარგებლობით.

2. კოლექტივისტური ჩვევების აღზრდის თვალსაზრისით როგორი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს საერთო ჯგუფურ მუშაობას?

3. რა მნიშვნელობა აქვს უჯრედულ ანუ რგოლებრივ მუშაობას კოლექტივისტური ჩვევების აღზრდისათვის და ამ მიზნით როგორ უნდა იყოს ის ჩამოყალიბებული?

4. ბავშვების დამოუკიდებელი ინდივიდუალური მუშაობა რა პირობებში ავითარებს კოლექტივისტურ ჩვევებს?

საკონტროლო დავალებები:

მთელი სამუშაო მასალის წაკითხვის შემდეგ შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1. ყურადღებით წაიკითხეთ „დაწყებითი სკოლის მუშაობის პრაქტიკიდან“ პირველი ორი მაგალითი და განიხილეთ, თუ როგორი იყო ბავშვების ორგანიზაცია გაშლილი თემების დამუშავების სხვადასხვა მომენტში?

მოიფიქრეთ, თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ბავშვების ორგანიზაცია რამდენად უწყობდა ხელს ბავშვებში კოლექტივისტური ჩვევების აღზრდას.

2 წაიკითხეთ თემის „ტყე“ დამუშავების სქემატიური გეგმა და მოიფიქრეთ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მუშაობა ამ გეგმის მიხედვით:

ა) რა უნდა გაკეთდეს ექსკურსიებზე და რა უნდა გაკეთდეს სკოლაში.

ბ) ბავშვების როგორი ორგანიზაცია უნდა შეიქმნას მუშაობის დროს — რა უნდა გატარდეს ჯგუფის მიერ, რა — რგოლების მიერ და რა ინდივიდუალურად. თუ საჭირო იქნება რგოლებრივი მუშაობის ორგანიზაცია, მაშინ როგორ უნდა მოეწყოს მუშაობა ფითოეულ რგოლში ანუ უჯრედში.

3. მოიგონეთ, როგორი ორგანიზაცია ჰქონდათ თქვენს ბავშვებს რომელიმე თემის დამუშავების დროს და როგორ მიზანს ისახავდით, როცა ბავშვების ასეთსა თუ სხვაგვარ ორგანიზაციას ქმნიდით?

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლენინი (სურათი) 331
ლენინის ანდერძით დიადი მუშაობის ექვსი წელი მ. ორახელაშვილი 332
შრომის სკოლების მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში ლ. ციხისთავი 337
როგორი სახელმძღვანელოები გვესაჭიროება პ. აფხაძე . 347
ათწლიანი შრომის სკოლის პროფესიონალიზაციის საკითხი შ. სიხარულიძე 350
ხაზმეცნიერება შრ. სკოლებში და საზმეცის მასწავლებელთა კვალიფიკაცია ს. რეხვიაშვილი 356
ეგნატე ნინოშვილი ვ. ხუროძე 363
სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ სექტორში საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა. ი. ძიძიგური 371
პოლიტგანათლების მუშაობა კოლმეურნეობაში მ. ბრეგვაძე 377
სოციალისტური შეჯიბრი და სკოლა წ. მექვაბიშვილი . 379

ჩვენი სკოლების მუშაობიდან

საქართველოს ცაკის ბავშთა კომისიის მცხეთის საბავშო ახალშენის მუშაობა 1928—29 წ. ს. მელიქიშვილი . 389
მასწავლებელთა თვითგანვითარება წრეობრივი მუშაობის გზით ბ. ძიძიშვილი 397
რა გვიშლის ხელს ქართული მართლწერის სათანადო სიმაღლეზე დაყენებაში ე. მორჩილაძე 400
პედაგოგიური მუშაობა მოზარდ მაყურებელთა თეატრში ე. ხერხეულიძე 402
კოლექტივიზაციის და მოსავლიანობის გადიდების დღე ვანის რაიონის სკოლებში პ. წაქაძე 408
ყაზბეგის თემში აუცილებელია გაიხსნას საბავშო ბაღი ნ. დავითაშვილი 409
ნიგვზიანის 7-წლედის ექსკურსია ქ. ტფილისში ა. საჯაია . 409
სამტრედიის ათწლიანი შრომის სკოლის საზოგადოებრივსასარგებლო მუშაობა ა. კოპალეიშვილი 411

ქრონიკა

ვემზადოთ საკავშირო პედაგოგიური გამოფენისათვის 413

დაუსწრებელი კურსები

მიზანშეწონილი ყოფაქცევის აღზრდა კოლექტივში (მეათე დავალება) 62

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი შ. სიხარულიძე